Д 591
3

გამოცემა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

კ. პ. კანდელაკი.

# ანგარიშთა და საქმეთა წარმოება

## წვრილ კრედიტის

# საკოოპერაციო დაწესებულებაში.

„საქმეთა გამუდმებით რიგზედა და წესიერად წარმოება, რომელსაც ყველაფერში დიდი მნიშვნელობა აქვს, უმთავრესი თავმდებია საკრედიტო დაწესებულების წარმატებისა.“

ა. ი. ჩუპროვი

ტფილისი
სტამბა ბარ. ა. კილაძისა
1914

# წინასიტყვაობა.

ეს წიგნი კრებულია იმ ლექციებისა, რომელსაც ავტორი კითხულობდა ტფილისში წელს, ივლისში, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწყობილს საკოოპერაციო კურსებზე.

ვისაც ჩვენში ანგირიშთა წარმოების საქმე აინტერესებს, იმას, რა თქმა უნდა, მოეხსენება, რომ ქართულ ენაზე არ მოიპოება, არამც თუ ცალკე სახელმძღვანელოები ანგარიშთა სხვადასხვა სპეციალურ დარგისა, არამედ საზოგადოდ სახელმძღვანელო, რომელშიაც მსურველს შეეძლოს პოვნა ანგარიშის წარმოების, ბუხგალტერიის ელემენტარულ ცოდნისა.

საკოოპერაციო კურსებზე ჩვენ მიერ წაკითხული ლექციები პირველი ცდა იყო ანგარიშის წარმოების ახსნა-განმარტებისა ქართულ ენაზე. როგორც პირველი ცდა, რასაკვირველია, იგი არ იქნებოდა უნაკლულო. ამიტომ ყოველ საფუძვლიან შენიშვნას მკითხველისას საზოგადოდ ამ წიგნის და კერძოთ ქართულ ტერმინოლოგიის შესახებ ჩვენ დიდის ყურადღებით და მადლობით მივიღებთ.

ამ შრომის გამოქვეყნება განვიზრახეთ საკოოპერაციო კურსების მსმენელთა თხოვნის გამო და ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წინადადებისა და დადგენილების თანახმად.

კურსებზე გაგონილის წაკითხვა, გახსენება, აუცილებლად საჭიროა მსმენელისათვის, თუ უნდა საგანი კარგად შეისწავლოს. ამ მხრივ წიგნის გამოცემა მართლაც საჭირო იყო. მაგრამ არის სხვა გარემოებაც, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოთ.

წინსვლა კოოპერაციის საქმისა შეუძლებელია, თუ თვით ხალხში არ აღმოჩნდნენ ამ საქმის მეთაურნი და ხელმძღვანელნი. კოოპერაცია საზოგადოების ფართო ნაწილის, მასსის, საქმეა. ხოლო, როგორც სახალხო საქმის, კოოპერაციის საქმის წარმოება ყველასათვის გასაგებ სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. ეს აუცილებელი პირობაა კოოპერაციის ბუნებრივ განვითარებისათვის. დღესაც ბევრია ჩვენს საკოოპერაციო დაწესებულებათა გამგეობაში პატივცემული, გამჭრიახი და ფრიად სანდო კაცი, რომელნიც ცხოვრებაში გამოცდილებით აღჭურვილნი, ზოგ ინტელიგენტზე გაცილებით უფრო კარგად წაიყვანენ პატარა სოფლის ბანკის საქმეებს, მაგრამ ენის უცოდინარობის გამო ახლა ყურმოჭრილნი ყმანი არიან ანგარიშის მწარმოებლისა.

ცხადია, ასეთი მოვლენა საშინლად ჰვნებს კოოპერაციის განვითარების საქმეს.

უნდა ვეცადოთ—ამათაც შესძლონ სარგებლობა იმ ელემენტარულ ცოდნით მაინც, რომლითაც დღეს უცხო ენის ყოველს მცოდნეს შეუძლია ისარგებლოს. მაშინ ჩვენებურ კოოპერატორთა რაზმს ახალნი მუშაკნი მიემატებიან, კოოპერაცია უფრო დაუახლოვდება ხალხს და მაშინ ჰპოვებს მკვიდრსა და მადლიან ნიადაგს განვითარებისათვის.

ავტორი

ოკდომბერი 1916 წ.
ქ. მოსკოვი

# შესავალი.

**მნიშვნელობა ანგარიშთა წარმოების ცოდნისა კერძო კაცთა და საზოგადო დაწესებულებათათვის.**

თეორიას და ისტორიას კოოპერაციისას, საზოგადოების ფართო ნაწილი თუ არა, ცოტად თუ ბევრად, ინტელიგენცია მაინც სწავლობს. დღეს ძვირად შეხვდებით ისეთ სახელმძღვანელოს პოლიტიკურ ეკონომიისას, სადაც კოოპერაციის შესახებ არ იყოს ლაპარაკი; კოოპერაცია ადგილს პოულობს ეკონომიურ მეცნიერებაში და ვისაც ეკონომიური მეცნიერება საზოგადოდ აინტერესებს, მან დაახლოებით მაინც იცის საკოოპერაციო მოძრაობის თეორიული ნაწილიც.

სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით საკოოპერაციო დაწესებულებაში ანგარიშის წარმოების შესახებ. ანგარიშის წარმოება საზოგადოდ ათვალისწუნებულია. მართალია, ანგარიშსაც კავშირი აქვს ეკონომიურ ცხოვრებასთან და, მაშასადამე, ეკონომიურ მეცნიერებასთან, მაგრამ ძვირად თუ ვისმე ახსენდება ეს გარემოება და, ანგარიშის არამც თუ შესწავლას, უბრალო გაცნობასაც არავინ ყურადღებას არ აქცევს.

რა არის ანგარიში?—ციფრები, ციფრები და ციფრები... ძნელია, მართლაც, მშრალმა ციფრებმა გაიტაცოს, დააინტერესოს ადამიანი! და ჩვენც ვეჩვევით ამ „ციფრებისადმი“ უყურადღებობას და, თუ მოვალეობა არ გვაიძულებს, მგონი ისე მოვხუცდეთ, არც ერთი საანგარიშო დავთარი არ გადავათვალიეროთ, არც ერთი ანგარიში არ გავიცნოთ. „ციფრებიან“ წიგნებს ვერიდებით, გაზეთშიაც „ციფრებიანი“ სტატია რომ შეგვხვდება, გვერდს აუვლით ხოლმე...

ანგარიში კი გაცილებით მეტის ყურადღების ღირსია და ყურადღების ღირსია არა იმათი მხოლოდ, ვისაც სპეციალურ საქმეთ გაუხდია ანგარიშის წარმოება, არამედ ყველასი, ვისაც თავის საკუთარ საქმის, თუ თავის ქვეყნისა და საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრების მიმდინარეობა აინტერესებს, და ყველაფერ ამას თვალყურს ადევნებს.

დღითი-დღე კარ-ჩაკეტილი ცხოვრება ჩვენის ქვეყნისა ირღვევა; ყოველი წევრი საზოგადოებისა თანდათან ებმება ათასგვარ ხილულ და არა-ხილულ ძაფებით თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების საზოგადო ტრიალში. დღეს არ შეიძლება ითქვას, რომ ვისმე --სულ ერთია მდიდარია თუ ღარიბი—შეეძლოს თავისი კერძო ცხოვრება მოაწყოს ისე, რომ რაიმე ვაჭრულ, კომერციულ, ხელშეკრულებასთან არ შეხვდეს საქმე. თუ არავითარი წარმოდგენა არა აქვს ასეთის საქმისა, ცხადია, ყოველთვის მცოდნეს უნდა მიმართოს; ისე, როგორც უცოდინარი წერა-კითხვისა წერა-კითხვის მცოდნეს დაეძებს ხოლმე ყოველ ბარათის წასაკითხავად, უნდა ეძიოს ანგარიშის მცოდნე და თავისი აზრი და პლანი სხვის, გარეშე კაცის, მოსაზრებაზე უნდა დაამყაროს. და ეს მაშინ, როცა მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ქიშპობაზე, კონკურენციაზე, არის დამყარებული და კანონმდებლობაც კი დარაჯად უდგას კომერციულ საქმეების საიდუმლოდ დაცვას.

საჭიროება ანგარიშთა წარმოების ცოდნისა არ განისაზღვრება კერძო სარგებლობის ფარგლებითაც.

რამდენადაც კულტურული ცხოვრება საზოგადოებისა იზრდება და წინ მიდის, იმდენად მრავალ გვარი დაწესებულება არსდება არა მარტო ქალაქებში, ახლა სოფლებშიაც არსებობს მრავალი კულტურული, საქველმოქმედო, ეკონომიური ხასიათის და სხვა დაწესებულებანი და, რა დაბრკოლებანიც უნდა გადაელობოს წინ, იმედი უნდა ვიქონიოთ, მათი რიცხვი მაინც თანდათან იმატებს.

ყოველი ჩვენგანი წევრია ერთის ან რამდენისამე ასეთის საზოგადოებისა, ხოლო, როგორც წევრნი საზოგადო დაწესე-

ბულებისა, ახლო მონაწილეობას უნდა ვიღებდეთ და ვიღებთ მის ცხოვრებაში. ხოლო არ არსებობს დაწესებულება, რომლის მოქმედებას ნივთიერი კერძოობა არ ჰქონდეს. თავი გავანებოთ სავაჭრო და სხვა ეკონომიურ ხასიათის დაწესებულებას, ავიღოთ, მაგალითად, სასკოლო კომისიები, სცენის მოყვარულთა წრენი, სახალხო უნივერსიტეტები, დრამატიული საზოგადოებანი და სხვ. ესენი ხომ შორს არიან აღლსა და სასწორზე, მაგრამ მითხარით ერთი — ხომ-კი იქნებოდით წევრი ასეთის საზოგადოებისა — საჭიროა, თუ არა, აქაც ანგარიშის ცოდნა, შეგხვედრიათ, თუ არა, აქაც საქმე ანგარიშთან?

განა ასეთნი დაწესებულებანი კი არ მოითხოვენ ხარჯთაღრიცხვის შედგენას, შემოსავალ-გასავლის, მოგებისა და ზარალის გაგებასა და სხვ.?

მაშ, რაღა უნდა ითქვას უფრო რთულ, ანგარიშის მხრივ უფრო საპასუხისმგებლო, ეკონომიურ ხასიათის დაწესებულების შესახებ? მონაწილეობის მიღება და ხშირად კამათიც და ხმის მიცემა ისეთ საქმეში, რომელიც კარგად არ გაგვეგება, ხომ რიგიანობა არ არის და ხშირად ვნებს იმ საქმეს, რომელსაც ჩვენ თანაუგრძნობთ და რომელსაც გულით გვინდა ვემსახუროთ კიდეც.

ჩვენში, სამწუხაროდ, არც სკოლა, არც საზოგადოება ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას და, თუმცა ხშირად რთულ, ალგებრაულ ამოცანების გამომცნობელნი ვართ, უბრალო პრაქტიკულ ხასიათის ანგარიშს ჯეროვანად ვერ გავარჩევთ, ანალიზს ვერ მოუხერხებთ.

სამწუხაროა ეს მოვლენა და ამის შედეგი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენს საზოგადო კრებაზე ორატორები ხშირად იმას „არღვევენ“ და იმას ხდიან საკამათოდ, რაც მცოდნისათვის ცხადი უნდა იყოს; ხოლო იმას კი ვერ ამჩნევენ, რაც ყველას თვალში უნდა ეჩხირებოდეს. უცოდინარობაა ამის მიზეზი და ეს ატყვია კიდეც ბევრს ჩვენ საქმეს.

**ანგარიშის წარმოების მნიშვნელობა საკოოპერაციო დაწესებულებათათვის.**

თუ ასეთია მნიშვნელობა ანგარიშის წარმოების ცოდნისა საზოგადოდ, გაცილებით უფრო მეტია იმის მნიშვნელობა, უფრო საპასუხისმგებლოა იგი კოოპერატიულ დაწესებულებათა წევრთათვის და განსაკუთრებით ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელთათვის.

სწორედ ანგარიშის წარმოების უცოდინარობამ დაჰღუპა ჩვენში და სხვაგანაც არა ერთი და ორი საკოოპერაციო დაწესებულება.

კოოპერაცია ახალი საქმეა. იმას ისედაც, როგორც ყოველ ახალ საქმეს, იჭვის თვალით უყურებს საზოგადოების ფართო ნაწილი. ამიტომ გაორკეცებულის ენერგიისა და ცოდნის გამოჩენაა საჭირო, რომ ნდობა დაიმსახუროს საზოგადოების, ე. ი. წევრთა, თვალში და საზოგადოდ ყველასაგან, ვისაც იმასთან რაიმე საქმე ექნება. სარკე დაწესებულების მოქმედებისა კი მისი ანგარიშია. ანგარიშის წარმოების არევა ჰნიშნავს დაწესებულების მთელის საქმეების არევას. ამასთანავე, როცა ერთი კოოპერატივი ირღვევა და იღუპება, მარცხდება საზოგადოების თვალში თვით იდეა კოოპერატიულ მოძრაობისა და, ვინ იცის, რამდენის ხნის იდეიური ნამუშევარი ნაცარმტვერად იქცევა. კვლავ დიდის ხნის მუშაობაა საჭირო, რომ საზოგადოების თვალში აღადგინოთ დაკარგული ნდობა კოოპერაციისადმი.

საზოგადოების ნდობაზეა და იმით არის რომ ცოცხლობს ყოველი კოოპერატიული დაწესებულება, ხოლო განსაკუთრებით ნდობაზეა დამყარებული მთელი მომავალი ბედი საკრედიტო კოოპერატივებისა.

ნორმალურ, ჩვეულებრივ მოვლენათ არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენში დღეს ასში 99 საკრედიტო კოოპერატივი სახელმწიფო ბანკის და მხოლოდ და მხოლოდ იმის დახმარებით სცხოვრობს. სახელმწიფოს წარმომადგენელნიცა და მით უფრო კოოპერატორები ფიქრობენ, რომ ეს არ არის სასურველი მოვლენა. თუ კოოპერაცია თვითმოქმედებაა,

თუ ამ თვითმოქმედებაზე ვლაპარაკობთ ბევრს და იმაზე ვამყარებთ იმედებს კოოპერაციისას, კოოპერატიულნი დაწესებულებანი ყოველგვარ გარეშე გავლენისაგან—სულ ერთია, სახელმწიფო იქნება იგი, თუ კერძო კაცთა ქველმოქმედება—შორს უნდა იდგეს და მხოლოდ თვით-მოქმედებასა და შინაგან თვისსა უნდა პოულობდეს ძალას, ძლიერებას. თვითმოქმედება არის უძვირფასესი თვისება კოოპერატიულ მოძრაობისა.

დღეს ყველამ იცის, რომ თუ საკრედიტო კოოპერატივი საზოგადოების ნდობას დაიმსახურებს, ადვილად იშოვის თვით საზოგადოებაში სახსარს დამოუკიდებლად არსებობისათვის. ეს სახსარი გახლავთ შესანახად მობარებული ფული. ყოველი საკრედიტო დაწესებულება, უდიდესი ბანკებიც, უმთავრესად ამ ფულით ცხოვრობენ: იღებენ შესანახად ფულს იაფ სარგებლით და უფრო დიდ სარგებლით ასესხებენ.

სოფელშიაც არის ფული. მე არ მოგახსენებთ ჩარჩების ქონებასა. არა, ზოგი ღარიბიც ინახავს შავის დღისათვის ორიოდე გროშს: დასამარხავად, გასათხოვრისათვის, ობლისათვის და სხვ. ეს გროშები დღეს ან ჩვარშია გახვეული და ყუთში გდია ან უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფო შემნახველ კასებში არის დაბინავებული. ყველა სიამოვნებით მოიტანს ამ ფულს საამხანაგო ბანკში, თუ იმედი ექნება, რომ ფული არ დაეკარგება და დროზე მიიღებს.

**ზნეობრივნი და საზოგადოებრივნი მოვალეობანი ანგარიშის მწარმოებელთა.**

ასეთის იმედის შთაბერვა კი თვით ბანკზე, მის ანგარიშის წარმოებაზე, დიაღ, ანგარიშის წარმოებაზე, არის დამოკიდებული. თუ ანგარიში არეული გაქვთ, არ იცით, როდის რა მოთხოვნილება გაქვთ, როდის ვინ უნდა გაისტუმროთ და ვისგან როდის, რამდენი უნდა მიიღოთ, უპირველესად ყოვლისა აბრკოლებთ და ზარალს აყენებთ იმათ, ვისაც თქვენთვის ფული მოუბარებია, და მერე თქვენც ზარალი მოგდით. ასეთ გარემოებაში, აბა, რა პირით შეგიძლიათ მოსთხოვოთ ვისმე, შავის დღისათვის და მწარე ოფლით დაზოგვილი ორიოდე გროში თქვენ მოგაბაროსთ საპატრონოდ? ან

მოგაბარებთ კი? და რომ მოგაბაროთ კიდეც, რა დიდ ზნეობრივ მოვალეობას ჰკიდებთ ხელს, როცა ანგარიში არ იცით და საქმე არეული გაქვთ?!

ჩვენი მტერნი და მოყვარენი ხშირად გვეუბნებიან ხოლმე, რომ ჩვენ უკულტურონი ვართ, დამოუკიდებლად საქმის წაყვანა არ შეგვიძლია, თვითმოქმედებისათვის არა ვართ ჯერ მომზადებულნი და ერობა, რომლის შესახებ არა ერთი და ორი თხოვნა და მოთხოვნა წასულა ჩვენგან, ჩვენთვის ნაადრევია. კოოპერატიული დაწესებულებანი პატარა, დამოუკიდებელი უჯრედებია საზოგადოების თვითმოქმედებისა; ისინი ფეხს იდგამენ ჩვენს სოფელში და ჩვენს ხელშია ახლა ამ კოოპერატივების ხელმძღვანელობა, ჩვენს ხელშია ახლა ვამცნოთ ქვეყანას, რომ ჩვენ არა მარტო სიტყვა გვაქვს, საქმიანი ხალხიცა ვართ და შეგვიძლია დამოუკიდებლად ეკონომიურ დაწესებულებათა წაყვანა და ხელმძღვანელობა. დიაღ, არიან, თუ არა, ღირსეულნი ხელმძღვანელნი ეკონომიურ დაწესებულებათა ჩვენში, ეს, სხვათა შორის, კოოპერატიულ დაწესებულებათა მოქმედებამ უნდა გვიჩვენოს. ინტელიგენციის როლი დიდია კოოპერაციის განვითარებისათვის სოფლად და ეს დახაშრულება ინტელიგენციისა უმთავრესად ანგარიშისა და საქმის წარმოებათა გაშოიხატება.

ანგარიშისა და საქმის წარმოება თავის ბეჭედს ასვამს მთელს მოქმედებას კოოპერატივისა.

**იურიდიულნი მოვალეობანი**

ასეთია მნიშვნელობა ანგარიშის წარმოებისა კოოპერატიულ დაწესებულებისათვის და ანგარიშის მწარმოებელთა ზნეობრივი და საზოგადოებრივი მოვალეობა. მაგრამ არის კიდევ მოვალეობა იურიდიულიც, პასუხის მგებლობა, განმარტებული კანონით და კანონის წინაშე.

კანონი საზოგადოებრივ (публичное) მნიშვნელობას აძლევს, არამც თუ საზოგადო დაწესებულებაში წარმოებულ დავთრებს, არამედ კერძო დაწესებულებაშიც; იგი ავალებს ყველას, ვინც სავაჭრო, კომერციულ, საქმეებს აწარმოებს, იქონიოს დავ-

თრები. კანონი დავთრების წარმოებისა უძველეს, რომის იმპერიის, დროიდან არსებობს.

**კანონი ანგარიშის წარმოების შესახებ.**

დღეს ევროპაში, როგორც განათლებულ ქვეყანაში, კანონი თუმცა ბრძანებს დავთრები აწარმოეთო, მაგრამ არ აიძულებს, უსათუოდ ესა და ეს დავთარი უნდა გქონდეთო: სულ ერთია, დავთარი რანაირიც გინდათ გქონდესთ, ხოლო ნათლად კი სჩანდეს იქიდან შენის საქმის ვითარებაო. რუსეთის კანონმდებლობა უფრო შორს მიდის და ითხოვს, თუ სახელდობრ რა და რა დავთარი აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოვაჭრეს. დავთრების უქონლობით არამც თუ არავის არ შეუძლია თავის მართლება, სასტიკად ისჯება დამნაშავე დავთრების უქონლობისა და ურიგოდ წარმოებისათვის. აქ წვრილმანებსაც კი ყურადღება აქვს მიქცეული. ასე, 1174 მუხლი სასჯელთა დებულებისა (уложеніе о наказаніяхъ) და 676 და 677 მუხლი სავაჭრო წესდებისა ამბობს, რომ რისმე წაშლა ან ამოფხეკა ან ხაზსა და ხაზს შუა დავთარში რისმე ჩაწერა არ შეიძლება და, თუ რამ შეგცდათ, შეცდომა ფრჩხილებში უნდა ჩასვათ და წითელის მელნით გაუსვათ ხაზი, ისე რომ სჩანდეს, რა იყო დაწერილი, და იმის ზევით ხელმეორედ სწორედ უნდა დასწეროთო.

განსაკუთრებული კანონი ანგარიშის შესახებ კოოპერატიულ დაწესებულებათათვის არ არსებობს და ყველაფერი, რაც ნათქვამია კანონში სავაჭრო დაწესებულებათა შესახებ საზოგადოდ, შეეხება როგორც სავაჭრო კოოპერატივებს, ისე საკრედიტოსაც.

**კანონი კოოპერატიულ დაწესებულებათა შესახებ საზოგადოდ.**

რაკი კანონზე ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვა საზოგადოდ კანონმდებლობაზე კოოპერატიულ დაწესებულებათა შესახებ. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ არამც თუ კოოპერატიულ დაწესებულებაში ანგარიშის წარმოების შესახებ არ არსებობს განსაკუთრებული კანონმდებლობა ჩვენში (რუსეთში), განსაკუთრებული კანონმდებლობაა

არ არსებობს საზოგადოდ კოოპერატიულ დაწესებულებათა შესახებ. არც განსაკუთრებული კანონმდებლობაა და არც დაწესებულებაა ისეთი, რომელიც განაგებდეს საზოგადოდ კოოპერატიულ დაწესებულებათა საქმეს.

ყოველ დარგს კოოპერაციისას თავისი უფროსი ჰყავს ძ სულ სხვა-და-სხვა უწყება განაგებს რუსეთში კოოპერაციის საქმეს. ასე, მომხმარებელნი საზოგადოებანი ემორჩილებიან შინაგან საქმეთა მინისტრს, რომლის ახლობელი წარმომადგენელია ადგილობრივი გუბერნატორი; სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასა და ამხანაგობას ნებას ჰრთავს და თვალყურს ადევნებს მიწათმოქმედების სამინისტრო; შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობას... ძნელი სათქმელია ვინ: შინაგან საქმეთა სამინიტრო საგუბერნიო კომიტეტების სახით, ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბანკის სახით, თუ სამმართველო წვრილ კრედიტის საქმეებისა თავის წვრილ სესხის ინსპექტორების შტატით, თუ ყველა ესენი ერთად?..

ამ გამოურკვევლობას, უწყებათა შორის განცალკევებულ მოქმედებას დიდი ზარალი მოაქვს კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებისათვის, რადგანაც გაერთიანება სხვა-და-სხვა უწყებას დაქვემდებარებულ ამხანაგობათა ერთ დაწესებულებით ან კავშირთ შეუძლებელია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, ყველა კოოპერატიულ დაწესებულების „სიეზდებზე“ საკითხს კოოპერატიულ კანონმდებლობის შესახებ ცენტრალური ადგილი ეჭირა.

წვრილის კრედიტის დაწესებულებანი ამ მხრივ სხვა კოოპერატივებზე კარგ გარემოებაში იყო და არის რუსეთში. ამ დაწესებულებათა შესახებ, როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე წესი იყო გამოცემული (წესი, დებულება — **положенiе** და არა კანონი — **законъ**) და ახლაც არსებობს „დებულება წვრილის კრედიტის ამხანაგობათა შესახებ“, სადაც გარკვეულია ყოველივე წვრილმანი ამ დაწესებულებათა შესახებ.

ჩვენში არსებობს ეგრეთ წოდებული ნორმალური წესდება სხვა-და-სხვა კოოპერატივისა და, თუ გინდათ თავის დრო-

ზე ეღირსოთ ამხანაგობის (კოოპერატივის) დასაარსებლად ნებართვის აღებას, ასეთი ნორმალური წესდება სიტყვა-სიტყვით უნდა გადასწეროთ. თუ ასე არ მოიქეცით ე. ი. თუ რამ ცვლილება ჩაურთეთ წესდებაში, ვერ ეღირსებით ნებართვის აღებას დიდხანს; რამდენიმე თვე, წელიწადი გაივლის, რადგანაც ყოველივე ცვლილება წესდებაში მინისტრმა უნდა დაამტკიცოს.

მოგეხსენებათ, რომ არსებობს ეგრედ წოდებული „4 მარტის 1906 წლის კანონი", რომლის თანახმად გუბერნატორებს ნება ეძლევათ დაამტკიცონ საზოგადოებანი. სამწუხაროდ, საკოოპერაციო დაწესებულებანი ამ კანონის გარეშე სდგანან.

პრაქტიკამ შეიმუშავა ერთნაირი წესი ამხანაგობის დაარსებისა: როცა ნორმალური წესდება არ აკმაყოფილებს ამხანაგობათა დანიშნულებას და განზრახვას, ხოლო სამინისტროში თხოვნა ნებართვისა დიდიხნის ლოდინს მოითხოვს, დამაარსებელნი წესდების მაგიერ სდებენ ხელშეკრულობას ურთიერთ შორის, დამტკიცებულს სანოტარიუსო წესით. მაგრამ აქაც ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზია: ხელშეკრულების წესითა და არა წესდებით შემდგარს ამხანაგობას არა აქვს იურიდიულ პირის უფლება; ეს უფლება კი საჭიროა ყოველ ამხანაგობისათვის, რომელიც სადღეისო-სახვალიოდ არ არსდება და აქვს მომავალი.

ამნაირად, ნიშნობლივი თვისება ჩვენში კოოპერატიულ დაწესებულებათა უფლებრივ მდგომარეობისა არის სამინისტროში შემუშავებულ „ნორმალურ" წესდების დიდი მნიშვნელობა და მთავრობისაგან წინასწარის ნებართვის აღება.

დასავლეთ ევროპაში თუ კოოპერატიული მოძრაობა სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ და ამასთანავე ძლიერია, ამის ერთ ხელშემწყობ გარემოებათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ არავითარი დამაბრკოლებელი, შემაფერხებელი მიზეზი კანონის მხრივ წინ არ ეღობება.

თუმცა იქ ზოგი სახელმწიფო რუსეთის ერთ გუბერნიასაც კი არ აღემატება თავის სივრცით (და, მაშასადამე, ეკონომი-

ური, კულტურული და სხვა ვითარება თითქმის ერთნაირია), კანონი მაინც არ აიძულებს კოოპერატივის დამაარსებელთ უსათუოდ „ნორმალურ" წესდებით იხელმძღვანელონ; ისინი არ არიან შებორკილნი, შეუძლიათ იმოქმედონ ადგილობრივ გარემოებისა და საჭიროების მიხედვით. შეადგინეთ რა სახის ამხანაგობაც გინდათ, მხოლოდ იგი ემსახურებოდეს კი წევრთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას და არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების ინტერესებს, დაასახელეთ რაიონი მოქმედებისა, წევრთა უფლებანი და მოვალეობანი და თქვენ არავითარი ნებართვის აღება არ დაგჭირდებათ,—შეატყობინეთ მხოლოდ ამხანაგობის დაარსება მოსამართლეს ან განსაკუთრებულ რეგისტრატორს, რომელიც ჩაურთავს ახალ ამხანაგობას ამხანაგობათა სიაში (რეესტრში).

**კანონი კოოპერ. დაწეს-ში ანგარიშის წარმოების შესახებ.** რაკი ასეთი თავისუფლებაა წესდების შედგენისა, ცხადია, ყოველივე წვრილმანი იქ გამოტოვებულია და ამხანაგობის სურვილზეა დამოკიდებული. კანონი, რასაკვირველია, იქაც იცავს როგორც კერძო, ისე კოოპერატიულ დაწესებულებაში მესამე პირთა ინტერესებს, ე. ი. ინტერესებს იმ გარეშეთა, რომელთაც რამ საქმე აქვთ თქვენს დაწესებულებასთან; მაგრამ არ გაიძულებს, მაინცა და მაინც ასე თუ ისე გამოხაზო ქაღალდი. იქ გეუბნებიან: აწარმოვე დავთრები როგორც გნებავს, ხოლო წლის დამლევს კი შეიძლებოდეს თქვენის დავთრებიდან ყველა საჭირო ცნობის მიღება. თქვენს ნაჩვენებ ცნობებს მერე ჩვენ გავსინჯავთ. ამ უკანასკნელ დანიშნულების მისაღწევად ინგლისში, მაგალითად, არსებობს განსაკუთრებული ინსტიტუტი საჯარო რევიზორებისა. როგორც კერძო, ისე საზოგადო დაწესებულებათა ანგარიშებს ამოწმებს არა სარევიზიო კომისიები, როგორც ჩვენში—რომელთაც ხშირად ანგარიშისა არაფერი არ გაეგებათ—არამედ ეს ნაფიცი რევიზორები. კოოპერატივიც თავის ანგარიშს წარუდგენს ასეთ რევიზორს, იგი შეადარებს იმის საბუთებსა და დავთრებს და ანგარიშზე ხელს

მოაწერს. რევიზორის ხელის მოწერა კი იმის თავმდებია, რომ ანგარიში სწორედ არის შედგენილი.

ჩვენში თუ წესდების შედგენა დიდის ზრუნვისა და გავლენის ქვეშ მიმდინარეობს, მით უფრო მეტს ზრუნვასა თხოულობს ანგარიშისა და საქმის წარმოება. წვრილი კრედიტის დაწესებულებებზე, ე. ი. შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მთავრობას, რადგანაც იგი ბევრ ფულს აბინავებს ამ დაწესებულებებში და საქმის არევა აქ უპირველეს ყოვლისა ხაზინისათვის იქნებოდა საზარალო.

122 მუხლი სანიმუშო წესდებისა პირდაპირ ამბობს, რომ ანგარიში შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობაში უნდა სწარმოებდეს იმ წესით, რა წესსაც მთავრობა უჩვენებსო. აქვე მოკლედ ნაჩვენებია, თუ სახელდობრ რა უნდა იწერებოდეს ასეთ ამხანაგობათა დავთრებში (მუხლი 121 და სხვ.). ანგარიშისა და საქმის წარმოებაზე (წვრილის კრედიტის დაწესებულებაში) თვალყურის საგდებათ მთავრობას დანიშნული ჰყავს ჩვენში განსაკუთრებულნი მოხელენი, წვრილის კრედიტის ინსპეკტორები, რომელნიც მუდამ მოგზაურობენ და თვალყურს ადევნებენ ანგარიშის წარმოებას წვრილის კრედიტის დაწესებულებაში. ისინი არამც თუ კონტროლს უწევენ დაწესებულებას, ხშირად ინსტრუქტორის როლსაც ასრულებენ და ასწავლიან გამგეობის წევრთ ანგარიშისა და საქმის წარმოებას.

**ენა და ანგარიში.** რა ენაზე უნდა სწარმოებდეს ანგარიში საზოგადოდ და კერძოდ კოოპერატიულ დაწესებულებაში?

ევროპის სახელმწიფოთა კანონმდებლობა ამბობს: დავთრების წარმოება შეიძლება ყველა ენაზე, გარდა იმ ენისა, რომლის მოლაპარაკე ერი ახლა აღარ მოიპოვება დედამიწაზეო. რუსეთის კანონმდებლობაში მოხსენებულია ამნაირ ენათ ენა ებრაული. ებრაელმა დავთარი უნდა აწარმოვოს ან რუსულად ან იმ ადგილობრივ ენაზე, რომელზედაც საზოგადოდ არის საქმის წარმოება იქ, სადაც ებრაელი მოვაჭრე სცხოვრობს §§ 674 და 675 Устава торговаго, აგრეთვე იხ. Г. Ф. Шершеневичъ „Курсъ торговаго права" ტ. I 200 გვ. 1908 წ.).

აქედან ცხადია, რომ ვაჭარს და სავაჭრო დაწესებულებას შეუძლია აწარმოვოს დავთრები დედა-ენაზედაც. დედა-ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოოპერატიულ დაწესებულებათათვის, რადგანაც სოფელში და საზოგადოდ მშრომელ ხალხში ძნელია ამორჩევა ისეთ კაცთა, რომელთაც სახელმწიფო ენაზე საკმაოდ იცოდენ წერა-კითხვა, თუმცა საქმისათვის კი შეიძლება ძლიერ გამოსადეგნიც იყვნენ. მართალია, ერთის მოანგარიშის, ენის მცოდნის, შოვნა კი შეიძლება, მაგრამ არც ის ვარგა, რომ მარტო ერთი აწარმოებდეს საქმეს და მთელ გამგეობას და წევრებს იმის ნაწარმოებისა არაფერი გაეგებოდეთ. ამ ნიადაგზე შესაძლებელია მრავალი ბოროტ-მოქმედება.

მთელის რუსეთის კოოპერატორთა პირველ კრებაზე (1908 წ.) მართალი სთქვა ერთმა ორატორმა (ოსტროუმოვი): თუ ანგარიშის წარმოება კოოპერატიულ დაწესებულებაში ისეთი რთული დარჩა, როგორც დღეს არის, საქმის წარმოება ამხანაგობაში კოოპერატიული კი არ იქნება, არამედ იქმნება ერთის მოანგარიშისა, რომელიც, რასაც უნდა, იმას მიაჩეჩებს გამგეობას და იმაზე მოაწერინებს ხელსაო (იხ. Труды I съѣзда, 279 გვ.).

**სამშობლო ენა და კოოპერატ. დაწეს-ში ანგარიშის წარმოება.**

დიაღ, სამართლიანი სიტყვებია და ამას ის შეგვიძლია კიდევ დაუმატოთ, რომ ასევე, და უფროც, არა კოოპერატიული იქნება და არის საქმის წარმოება იქაც, სადაც ერთად-ერთ მოანგარიშის გასაგებ ენაზე იქნება ყოველივე დაწერილი.

არამც თუ გამგეობა და საბჭო, რომელთაც აბარიათ საქმის გაძღოლა და რომელნიც პასუხის მგებელნი არიან კანონისა და საზოგადოების წინაშე, აუცილებლად უნდა კითხულობდნენ და ესმოდეთ ის, რასაც ხელს აწერენ, არამედ სამართლიანობა და საქმის ინტერესი მოითხოვს, ყოველივე ეს გაეგებოდეს თითოეულ წევრს ამხანაგობისას. იმავე ინგლისში, რომელიც დედაა არამც თუ საზოგადოდ კულტურის, განსაკუთრებით

კოოპერაციისა, ყოველ წევრს უფლება აქვს განსაზღვრულ დროს მოითხოვოს თავისი სახელდებული ანგარიშები და გადაათვალიეროს. ამაზედ ჩვენებურ კოოპერატივის წევრსაც არ ეტყვიან უარს, მაგრამ ვის რად უნდა უფლება გამოუსადეგარი?

სამართლიან მოთხოვნილებას ენის შესახებ ანგარიში გაუწია მთავრობამაც და ჯერ 28 თებერვალს 1898 წ. და მერე 27 მარტს 1906 წ. უმაღლესად გამოიცა ცირკულიარი, რომ პოლონეთის სხვა-და-სხვა გვარ საზოგადო დაწესებულებაში შეიძლება ადგილობრივ ენის ხმარება ისეთ საქმეების წარმოებისათვის, რომელსაც მთავრობის დაწესებულებასთან არა აქვს დამოკიდებულება; ამისთანა შემთხვევაში კი საქმე უნდა სწარმოებდეს პოლონურადაც და რუსულადაც (იხ. С. В. Бородаевскій „Сборникъ по мелкому кредиту" 1912 წ.—313 გვ.).

ჩვენში ასეა საქმე. ზოგი წვრილ კრედიტის დაწესებულება (განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში) აწარმოებს დავთრებს ქართულად, ზოგი—რუსულად. არც ინსპექტორები, არც მთავრობის რევიზორები, ქართულ ენის აშკარა წინააღმდეგნი არ ყოფილან, ხოლო მოითხოვენ სათაურები იწერებოდეს აუცილებლად რუსულადაც (ზოგი ინსპექტორი იმასაც თხოულობს, რომ ტექსტიც ორსავე ენაზე იწერებოდეს). ჩვენ ვფიქრობთ, რაკი არიან ამხანაგობანი, სადაც ანგარიში სწარმოებს ქართულად და არც ინსპექციას, არც რევიზიას ისინი მაინცა-და-მაინც არ შეუვიწროებია, ცხადია, ყველა დაწესებულებაში ანგარიში ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, ხოლო სათაურები უჯრა-ფარდებისა რუსულადაც იყოს წაწერილი, რათა მთავრობის მოხელეებს შეეძლოთ მუდამ კონტროლი.

ამნაირად, სამშობლო ენაზე ანგარიშის წარმოების წინააღმდეგი არ არის ძირითადი კანონები, იმის საჭიროება პრინციპიალურად აღიარებულია (ცირკულიარი პოლონეთის შესახებ) უმაღლესად და აშკარაა ყველასათვის, ვისაც ცოტაოდენი საქმე მაინც ჰქონია კოოპერატივებთან, გარეშე ამ პირობისა, შეუძლებელია კოოპერაციის განვითარება.

# საქმის წარმოება.

**საკრედიტო და შემნახ.-გამსესხ. ამხანაგობანი.**

ყველა თქვენგანი უნდა იცნობდეს წესდებას წვრილ კრედიტის დაწესებულებათა: შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობათა. ყოველ საქმის წარმოების ქვა-კუთხედი არის ცოდნა წესდებისა, რომელშიაც განსაზღვრული არის უფლებანი და მოვალეობანი საქმის პატრონისა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია აქ დიდხანს შევჩერდეთ წესდებაზე და იმის ღირსება-ნაკლულევანების აღნუსხვაზე და უნდა შევეხოთ წესდებას იმდენად, რამდენადაც იგი საჭირო იქნება ჩვენის პირდაპირის საგნის ასახსნელად და განსამარტებლად.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ „წვრილის კრედიტის" დაწესებულებას რუსეთის იმპერიის კანონმდებლობა უწოდებს მრავალგვარ კასებს: სასოფლო ბანკებს, საუფლისწულო ბანკებს, საობლო კასებს, საერობო კასებს, შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობას და სხვ. (არიან гминныя кассы, башкирскія кассы და სხვ.).

ამათში მხოლოდ შემნახველ-გამსესხებელი და საკრედიტო ამხანაგობანი არიან ისეთნი დაწესებულებანი, რომელნიც აკმაყოფილებენ და შეეფერებიან კოოპერატიულ დაწესებულებათა მოთხოვნილებას და ჩვენც იმ მრავალგვარ წვრილ კრედიტის დაწესებულებათა შორის, რომელიც დავასახელეთ, მხოლოდ ამ ორ დაწესებულებათა ანგარიშისა და საქმის წარმოებაზე გვექნება ლაპარაკი.

მოგაგონებთ იმასაც, რომ ეს ორი დაწესებულება თითქმის არაფრით განირჩევა ერთმანეთისაგან: ძირითადის თანხის შედგენა საკრედიტო დაწესებულებაში არაა საჭირო, იგი შოულობს საჭირო ფულს ძირითად თანხისათვის გარეშე პირ-

თაგან ან სახელმწიფო ბანკიდან, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრნი-კი თვითონ აგროვებენ ძირითად თანხისათვის საჭირო ფულს—საპაიო გადასახადის სახით.

წესდებაც ასე განმარტავს განსხვავებას ამ ორ დაწესებულებას შორის: საკრედიტო ამხანაგობის დანიშნულებაა გაუადვილოს წევრებს წარმოება და გაუმჯობესება მეურნეობისა სესხის მიცემითა და სხვ. (მუხ. 1); შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დანიშნულებაა მოუხერხოს წევრებს - ამხანაგებს გადარჩენილ ფულის შოგროვება და გაუადვილოს მათ წარმოება და გაუმჯობესება მეურნეობისა სესხის მიცემითა და სხვ. (მუხ. 1).

ერთის სიტყვით, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს, სესხის გაცემის გარდა, საგნად ფულის, უმთავრესად ძირითად თანხის, შეგროვებაც (თორემ შესანახად ხომ საკრედიტო ამხანაგობანიც იღებენ ფულს) გაუხდია.

ჩვენი საქმე არაა ახლა, როგორც ვსთქვით, იმის გამორკვევა, რომელი სჯობს ამ ორ დაწესებულებაში; ვიტყვით მხოლოდ, რომ ვინც აფასებს დამოუკიდებლობას კოოპერატიულ მოძრაობისას, იგი ეტრფის უფრო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა განვითარებას, იმიტომ რომ, რამდენად მეტი საკუთარი თანხა აქვს დაწესებულებას, იმდენად იგი გარეშე გავლენისაგან დამოუკიდებელია. მაგრამ ჩვენს გარემოებაში, როცა ფულს იძლევიან და იმასაც ვერ ვხმარობთ, არჩევანზე ლაპარაკი სულ ზედმეტია: ორივე სასარგებლოა და ძლიერ კარგია, თუ კარგად გაუძღვებით...

რაკი უმთავრესი განსხვავება ამ ორ დაწესებულებას შორის საპაიო კაპიტალია, ანგარიშიცა და საქმის წარმოებაც მხოლოდ იმ ფარდებში განსხვავდება, როცა საქმე საპაიო თანხას შეეხება. სხვაფრივ ყოველივე ერთნაირად სწარმოებს.

როგორც მოგეხსენებათ, საკრედიტო ამხანაგობის დაარსება არაა ძნელი. საკმარისია ოცმა მესაკუთრე კერძო მეურნემ (ხელოსანმა, სოფლის მეურნემ და სხვ.) დაიწყოს შუამდგომ-

ლობა და მთავრობაც ნებართვას იძლევა. მაგრამ ნებართვის აღება კიდევ არ ჰნიშნავს იმას, რომ საქმე უსათუოდ იხეირებს. მართალია, სახელმწიფო ბანკი ჰგზავნის მოხელეს, წვრილ კრედიტის ინსპექტორს, პირობების გასაცნობათა და გამოსარკვევად, მაგრამ ეს არ კმარა. უპირველეს ყოვლისა თვით საქმის მეთაურთ უნდა ჰქონდეთ საქმე გამორკვეული და ნათლად წარმოდგენილი.

**წევრთა მოვალეობანი.** ფულს იძლევიან, მაგრამ საჩუქრად-კი არა, სესხად და ჩვენ პასუხის მგებელნი ვართ, როგორც იმ ვალისა, რასაც თვითონ ავიღებთ, ისე ამხანაგობის საქმეთა მთელის ვითარებისა. პასუხის მგებლობა-კი, თანახმად § 21 წესდებისა, შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ე. ი. პასუხს ვაგებთ მთელის ჩვენის ქონებით, ან განსაზღვრული. უკანასკნელ შემთხვევაში რაოდენობა პასუხის მგებლობისა არ შეიძლება იყოს ორჯელ მეტზედ ნაკლები იმ კრედიტისა ანუ ნდობისა, რომლითაც სარგებლობს თვითონ ამხანაგი.

პასუხის მგებლობაზე მითითება თავიდანვე საჭიროა, იმიტომ რომ ბევრს ჰგონია, ფულს გვირიგებენ და მერე შეიძლება კიდეც გვაპატიონო. იყო შემთხვევები, როცა ზოგი წევრი ბანკისა ჰკითხულობდა გულუბრყვილოდ: „ახლა რომ მანიფესტი იყო, ხელმწიფემ ბანკის ვალი გვაპატივა თუ არაო?..“ ამიტომ მეთაურნი, სანამ თხოვნას გაგზავნიდნენ და საქმის განხორციელებას შეუდგებოდნენ, კარგს იზამენ მოიწვევდნენ საქმის მცოდნეს ახსნა-განმარტებისათვის, გამოიწერდნენ სახელმწიფო ბანკიდან წესდებას ქართულ ენაზე და სხვა პოპულიარულ წიგნაკებსაც და გააცნობდნენ მომავალ წევრებს ყოველსავე უფლებასა და მოვალეობას.

როცა საქმე გამორკვეულია და გამოცდილი კაცები ამბობენ, აქ გამოდგება საკრედიტო ამხანაგობაო, იწერება თხოვნა.

**ნებართვის აღება.** თხოვნა უნდა დაიწეროს წვრილის კრედიტის საგუბერნიო კომიტეტის სახელზე. თხოვნის ფორმა შემუშავებული აქვს და დაბეჭდილი წვრილ კრე-

დიტის უმთავრეს გამგეობას და უფასოდ შეიძლება მიიღოთ ადგილობრივ სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან (ე. ი. ქუთაისის გუბერნიაში—ბათუმის განყოფილებიდან, ტფილისსაში—ტფილისის კანტორიდან) ან წვრილ კრედიტის ინსპექტორისაგან. თხოვნაში ნაჩვენები უნდა იყოს ადგილი, სადაც ამხანაგობის გამგეობას ექნება ბინადრობა და რაიონი ამხანაგობის მოქმედებისა (ე. ი. ჩამოითვლება სოფლების სახელები), სახელწოდება ამხანაგობისა (სოფლის სახელი), საიდან შოულობს ამხანაგობა ფულს ძირითად თანხისათვის, თუ სახელმწიფო ბანკს უნდა სთხოვოს იგი, რამდენის თხოვნას აპირობს, თუ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსებას აპირებთ, რა ეღირება პაი, რაოდენი კრედიტი გადაუწყდება თითოეულ კაცს (უდიდესი ნორმა), რამდენი გინდათ ითხოვოთ სახელმწიფო ბანკიდან მოკლე ვადიანი სესხი, რაოდენობა წევრის პასუხის მგებლობისა. დაბოლოს უნდა დაასახელოთ რწმუნებული, ვისაც ანდობთ შუამდგომლობის დაწყებს და აღნიშნოთ მისი ადრესი. თხოვნას ხელს აწერენ დამსწრენი, ხელის მოწერას დაამოწმებს მამასახლისი.

ხელის მოწერის წესი საზოგადოდ ასეთია: ხელის აწერენ ესა, ესა და ესა და, რადგან იმათ ხელის მოწერა არ იცოდნენ, მათ მაგიერ და ჩვენთავათაც ხელს ვაწერთ ესა, ესა და ესა. ყოველივე ეს (ხელის მოწერის წესი) გადითარგმნება რუსულად და მერე დაამოწმებს თხოვნას მამასახლისი.

საჭირო არაა წარდგენა წესდების პროექტისა, რადგან თხოვნაში არის მოხსენებული, რომ ვითხოვთ თანახმად 1905 წლის 14 სეკდ. ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებასთან; მაგრამ თუ დასახელებულ წესდებაში რაიმე ცვლილების ჩართვა გსურსთ, ეს აუცილებლად უნდა აღნიშნოთ თხოვნაში.

**თხოვნა.** აი თხოვნის ფორმაც: *)

Въ (*такой-то*) губернскій комитетъ по дѣламъ мелкаго кредита.

---

*) რა თქმა უნდა, თხოვნა რუსულად უნდა დაიწეროს; ფორმაც რუსულად მომყავს.

Мы, нижеподписавшіеся, жители (*такихъ-то селъ, такого-то общества и уѣзда*) просимъ разрѣшить намъ устроить (*такое-то ссудо-сберегательное или кредитное товарищество*) по образцовому уставу, утвержденному г. Министромъ Финансовъ 14 сентября 1905 г. (*или съ нижеуказанными отступленіями*).

Товарищество будетъ именоваться (*такимъ-то*). Участниками товарнщества могутъ быгь лица, проживающія (*въ такихъ-то селахъ* — ის სოფლები რაც ზევით დაასახელეთ). Правпеніе товарищества будетъ находиться въ (такомъ-то селѣ). Основной капиталъ товарищества 3000 руб. составляется такимъ образомъ: 500 руб. пожертвованы общимъ собраніемъ членовъ Саметохскаго Общества Взаимнаго Кредита, а 2500 руб. просимъ выдать намъ въ ссуду изъ Государственнаго Банка (თუ შემნახ.-გამსესხ. ამხანაგობაა — изъ средствъ комитета по дѣламъ мелкаго кредита). Условія этихъ ссудъ, утвержденныя г. Министромъ Финансовъ, намъ извѣстны и мы таковыя принимаемъ.

(თუ შემნახვ.-გამსესხებ. ამხანაგობაა, აქ უნდა ჩაემატოს: размѣръ полнаго пая опредѣляется въ (25 руб., 30 руб., 40 руб. და სხვ).

Высшій размѣръ кредита, который можетъ быть открытъ товарищу, опредѣляется въ 150 р., а вмѣстѣ съ ссудою подъ залогъ хлѣба и другихъ сельско-хозяйственныхъ предметовъ,—въ 300 р.

Каждый товарищъ отвѣчаетъ по обязательствамъ товарищества не менѣе, чемъ въ два раза противъ открытаго кредита.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

(აქ ჩაუმატებთ, თუ რამ ჩამატება სასურველად მიგაჩნიათ ნორმალურ წესდებაში).

Просимъ объ открытіи товариществу краткосрочнаго кредита въ Государственномъ Банкѣ въ размѣрѣ 6000 руб.

Уполномачиваемъ по этому дѣлу входить въ сношенія со всѣми правительственными учрежденіями и должностными лицами - Ивана Самсоновича Капетадзе, проживающаго въ сел. *такомъ-то*. Конверты на имя уполномоченнаго должны быть адресованы такъ:

Ст. *такая-то* (ფოსტის ადრესი) Ивану Самсоновичу Капетадзе.

Священникъ Іосифъ Захарьевичъ Модзгвришвили.

Крестьянинъ Соломонъ Петровичъ Гомадзе.

Дворянинъ Элизбаръ Луарсабовичъ Таткаридзе.

Жители с. Камарети крестьяне: Иванъ Беридзе, Хахула Уишвили, Спиридонъ Самебадзе и т. д., а за нихъ, неграмотныхъ, по ихъ личной просьбѣ, и за сабя лично росписался Моисей Трабахадзе.

ხელის მოწერის სინამდვილეს აქ დაამოწმებს ან ბოქაული, ან სოფლის მამასახლისი. შეიძლება, რასაკვირველია, ხელი ქართულადაც მოაწერონ. მაშინ ხელის მომწერთა ქვემოდ იწერება: переводъ грузинскихъ подписей: крестьянинъ Соломонъ Петровичъ Гомадзе, дворянинъ Элизбаръ Луарсабовичъ Таткаридзе და სხვ. და სხვ. და მერე დამოწმდება.

**რაიონი მოქმედებისა.** როგორც დაინახეთ, თხოვნაში საჭიროა დასახელება მოქმედების რაიონისა. აქ კარგი მოფიქრებაა საჭირო. დიდი რაიონი არაა კარგი. ამხანაგობა წევრთა საერთო პასუხის მგებლობით ჰმოქმედობს. ამისათვის საჭიროა, რომ ისინი ერთმანერთს იცნობდნენ და ერთმანერთს ენდობოდნენ. გარეშე სოფლების მცხოვრებთა გაცნობა არც ისე ადვილია, შეიძლება ადვილად შევცდეთ ვისმე წევრათ მიღების დროს. მაგრამ არც სულ პატარა რაიონი ივარგებს. თუ სოფელში 20—30 კომლზე მეტი არ სცხოვრობს, ყველაც რომ წევრათ ჩაეწეროს ამხანაგობაში, 400—500 თუმანს ამ ორმოც წევრს ხომ ვერ ჩაუგდებთ ხელში და 40—60 თუმანი რომ ვასესხოთ, ეს ხარჯს ვერ დაჰფარავს.

ამნაირად, თავიდანვე იმის გამოანგარიშებაა საჭირო, თუ საშუალო რიცხვით ერთ წევრს რამდენი ფული უნდა მივასესხოთ სულ, რომ ხარჯი დავფაროთ და მცირე რამ სარგებლობაც ვნახოთ.

თუ არავითარ ცვლილებას წესდებისას არ ვთხოულობთ და არც ფულს ძირითად თანხისათვის ან მოკლე ვადიან სესხათ არ ვთხოულობთ, ჩვენს თხოვნას ამტკიცებს საგუბერნიო კომიტეტი (რასაკვირველია, წინასწარ გამოჰგზავნის წვრილ კრედიტის ინსპექტორს ცნობათა შესაკრებად). თუ რაიმე მუხლს წესდებისას ვცვლით ან ფულს ვთხოულობთ — სადაა ისეთი ბედნიერი ამხანაგობა, ფულს არ თხოულობდეს — მაშინ ჩვენს თხოვნას უპირველესად განიხილავს მიმღები კომიტეტი (учет-

ный комитетъ) სახელმწიფო ბანკისა და თავის დასკვნით გადასცემს საგუბერნიო კომიტეტს, რომელიც აგრეთვე განიხილავს და ჰგზავნის წვრილ კრედიტის მთავარ გამგეობაში საბოლოოდ გადასაწყვეტად.

რადგან ჩვენში არც ერთი დაწესებულება წვრილის კრედიტისა არ არსდება სახელმწიფო ბანკიდან ფულის გამოუტანელად, ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენმა თხოვნამ გრძელი გზა მალე ვერ გაიაროს და პასუხი მალე ვერ მიიღოთ.

აი, როგორც იქმნა, ჩვენმა რწმუნებულმა მიიღო ქაღალდი: ნება დაგრთესთ, შეგიძლიათ დააარსოთ ამხანაგობა, სესხადაც ამდენი და ამდენი ფული მოგეცემათო.

**პირველი საზოგადო კრება.** ახლა საჭიროა დავნიშნოთ საზოგადო კრება. საზოგადო კრებაზე არჩეულ უნდა იქმნენ გამგეობა და საბჭო. საზოგადო კრებასვე შეუძლია აირჩიოს მზრუნველი (83 მუხლი წესდებისა).

მზრუნველის თანამდებობა, როგორც მოგეხსენებათ, საპატიო თანამდებობაა, ამიტომ მზრუნველად ჩვეულებრივ ირჩევენ ისეთს, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ამხანაგობის წინაშე. მზრუნველი არ შეიძლება იმავე დროს არჩეულ იქმნას გამგეობის წევრათ.

გამგეობისათვის უნდა ავირჩიოთ არა ნაკლებ სამის წევრისა და ორის კანდიდატისა, ხოლო საბჭოსათვის — არა ნაკლებ სამის წევრისა და ერთის მათის კანდიდატისა. ყველა ეს თანამდებობის კაცი არჩეულ უნდა იქმნას საიდუმლო კენჭის ყრით.

პირველ საზოგადო კრებას, რომელსაც დამფუძნებელ კრების ხასიათი აქვს, მოიწვევენ ჩვეულებრივ დამფუძნებელნი. უპირველეს ყოვლისა კრებას უნდა მოხსენდეს, რა მიზეზებმა გამოიწვია ამხანაგობის დაარსება. ჩვეულებრივ საკმარისია წაიკითხონ წვრილის კრედიტის სამმართველოდან მოსული ქაღალდი, რადგან აქ ჩამოთვლილია უმთავრესი საფუძველი ამხანაგობის მოწყობისა.

თანახმად წესდების 15 მუხლისა, დამფუძნებელ წევრთა

ხელი უნდა მოაწერონ ხელ-წერილს, რადგან ამდენ ხანს ისინი კერძო კაცნი იყვნენ და მხოლოდ ხელ-წერილზე ხელის მოწერის შემდეგ ეძლევათ უფლება ამხანაგობის წევრისა.

ხელ-წერილისა ანუ ვალდებულების ქაღალდის ფორმა შედგენილია წვრილ კრედიტის სამმართველოს მიერ. აქ ნათქვამია, რომ თქვენ უფლება გაქვთ, თქვენი ქონება ისე მოიხმაროთ, როგორც გსურთ, რომ წესდება წაკითხული გაქვთ და მოვალეთ სთვლით თქვენს თავს იმის მოთხოვნილებას დაემორჩილოთ, რომ ყველა წესი, ამხანაგობაში შემოღებული, სავალდებულო იქნება თქვენთვისაც, რომ არც სხვა საკრედიტო, არც შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში და არც საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში წევრათ არ ირიცხებით და სხვ.

**ზოგიერთი განმარტება წევრთა მიღების შესახებ.**

ამნაირად შესდგება პირველი საზოგადო კრება სრულ-უფლებიან წევრთა, რომელსაც ოც კაცზე ნაკლები არ უნდა დაესწროს. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება. მოჰხდება ხოლმე, რომ თხოვნაზე უწერია ხელი და დამფუძნებლად ითვლება არა სასურველი კაცი. ხშირად ასეთნი კაცნი მეთაურობენ კიდეც საქმის მოწყობას. სასურველია ამათი მოშორება, მაგრამ როგორ მოვიქცეთ?

ასეთ შემთხვევაში რამდენიმე დამფუძნებელი აცხადებს: ჩვენს თავს კენჭი უყაროთო. ამ აზრის წინააღმდეგ ვერავინ წავა. კენჭის ყრა, რასაკვირველია, დაფარული იქნება და ამ დროს შეიძლება გაშავება და თავიდან მოშორება არა სასურველთა.

შესაძლებელია თუ არა მღვდელი ჩაეწეროს წევრათ საკრედიტო და შემნახვ.-გამსესხებელ ამხანაგობაში? ამას ხშირად იკითხვენ ხოლმე, რადგანაც მღვდელს, ჩვენის კანონების ძალით, არ შეუძლია, მაგალითად, თამასუქით ისესხოს ფული. უმართებელესმა სინოდმა განმარტა, რომ მართლმადიდებელ სარწმუნოების მღვდლებს (სხვა სარწმუნოებისას წინადაც შეეძლოთ) შეუძლიანთ იყონ სრულ-უფლებიანნი წევრნი საკრედიტო კოოპერატივებისა, ე. ი. არამც თუ უბრალო წევრათ,

არამედ შესაძლებელია არჩეულ იქმნენ გამგეობისა და საბჭოს წევრადაც (Цир. упр. по дѣл. мелк. кр. 19 февр. 1909 г. № 129).

მეათე მუხლი წესდებისა ამბობს, რომ წევრებათ შეიძლება მიიღონ ისინი, ვისაც აქვს თავისი მეურნეობა, ხელობა ან წარმოება. ხშირად იკითხვენ ხოლმე: შეგვიძლია მივიღოთ ჩვენს ამხანაგობაში წევრათ მასწავლებელი ან ექიმი, რომელთაც ჩვენს სოფელში არავითარი საკუთრება არა აქვთ? რადგან ასეთები არიან ძლიერ სასარგებლონი ამხანაგობისათვის და ხშირად ეხმარებიან ამხანაგობას, როგორც ანგარიშის წარმოებასა, ისე მართვა-გამგეობაში, წვრილის კრედიტის უმთავრესმა გამგეობამ განმარტა, რომ ასეთ კაცთა ამხანაგათ მიღება, არამც თუ არაა აღკრძალული, პირ-იქით, სასურველია და, რაკი წევრებათ ჩაეწერებიან, მერე ყოველივე უფლება წევრისა, წესდების თანახმად, ექნებათ მინიჭებულიო (Цирк. Упр. по дѣл. мелк. кр. отъ 10 апр. 1907 г. № 76).

## ფორმა ხელ-წერილისა, რომელსაც იძლევა ამხანაგი.

| შენიშვნა ამხანაგობის გამგეობისა. | |
|---|---|
| | ამხ. წევრად მიღებულია № ამხ. წევრად მიღებულია № |
| | თანახმად . . . . . . . . . . . ოქმისა.*) |
| | " . " . . . . . 191 წ. № |
| | გაირიცხა ამხანაგობიდან " . . " . . . . . . . 191 წ. |
| | ამხანაგობის საქმეებში პასუხისმგებლობა შეწყვეტილ იქმნა |
| | " . . . . . . . . . . . . . 191 წ. |

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . **ამხანაგობას**

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი . . . . . . . . . . . გთხოვთ მიმიღოთ ამხანაგობის წევრად და თან გიცხადებთ, რომ მაქვს უფლება მოვიხმარო ჩემი ქონება ჩემის სურვილისამებრ; ვაწარმოვებ საკუთარ მეურნეობას; ამხანაგობის წესდება წაკითხული მაქვს და არც ერთ სხვა საკრედიტო თუ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში და აგრეთვე საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში წევრად არა ვარ; ამხანაგობის წევრათ მიღების შემდეგ მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს, სავსებით დავემორჩილო ამხანაგობის წესდებას და ამხანაგობაში არსებულ ყველა წესს, და ვკისრულობ, სხვა ამხანაგებთან ერთად საურთიერთო პასუხის გებას ამხანაგობის ვალდებულებასა და ზარალში, თანახმად წესდებისა და ამხანაგობაში შემოღებულ წესისა.

. . . . . . . . . . . 191 წ.

(ხელს ვაწერ) . . . . . . . . . . . . . . . . . . .

და რადგან მან წერა არ იცის, მის მაგიერ, თანახმად მის პირადის თხოვნისა, ხელს ვაწერ . . . . . . . . . . .

*) გამგეობისა ანუ საზოგადო კრებისა.

Форма $\frac{№ 39}{1907 г.}$

## ცნობანი ამის მეორე გვერდზე მოხსენებულისა.

რამდენი მომუშავეა ოჯახში, ორისავე სქესისა .

რიცხვი მუდმივ მომუშავეთა, ორისავე სქესისა .

რამდენი დღიური ან ქცევა მიწა აქვს:
- ნადელის ან საზიარო . . . . . .
- საკუთარი . . . . . . .
- მთელი სათესი ერთად . .

რამდენი სული საქონელი ჰყავს:
- ცხენი.
- ხარი
- ძროხა. . . . . .
- წვრილ ფეხი . . .
- . . .

რამდენი შენობა აქვს:
- სახლი. .
- ბეღელი . . . . .
- ფარდულ-კარაპანი . .
- . .
- . .

ღირებულობა:
- საკუთარის მიწისა .
- საქონლისა.
- შენობისა. . . .
- სულ დანარჩენის ქონებისა. . . .

რას მუშაობს:
- უმთავრესი .
- სხვათა-შორისი. . .
- . . . .

191 . . წ. . . . . დღესა.

**არჩევნები თანამდებობის კაცთა.** როგორც წინად ვსთქვი, პირველი საქმე საზოგადო კრებისა, ხელ-წერილის ჩამორთმევის შემდეგ, არის გამგეობისა და საბჭოს წევრთა არჩევა.

აქ ვერ შეუდგები გამგეობის და საბჭოს წევრთა მოვალეობა-უფლების გარჩევას. ეს განმარტებულია თვით წესდებაში. თავისთავად ცხადია, რომ არჩეულ უნდა იქმნენ თავის პატიოსნებით და გამოცდილებით ცნობილნი. გარდა ამისა, როცა თანამდებობის კაცებს ვირჩევთ, არ უნდა დაგვავიწყდეს. რომ შიგ უნდა მოჰყვნენ ისეთნი, რომელნიც გამოდგებიან თავმჯდომარეთ, მოანგარიშეთ (თუ მოანგარიშის კერძოდ დაქირავება არ შეგვიძლია) და სხვ.

არჩეულ უნდა იქმნან ეს კაცნი (არა ნაკლებ სამის წევრისა გამგეობისათვის და ორის მათის კანდიდატისა და არა ნაკლებ სამის წევრისა და ერთის მათის კანდიდატისა საბჭოსათვის) ფარულის კენჭის ყრით და სამის წლის ვადით.

**ხარჯთ-აღრიცხვა.** მეორე საკითხი, რომელიც საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, არის ხარჯთ-აღრიცხვა.

ყოველ საქმის გონიერი პატრონი, ვიდრე საქმეს ხელს მოჰკიდებდეს, ივარაუდებს, ეს საქმე მოგებას მოუტანს თუ არა; იანგარიშებს, რამდენი ექნება შემოსავალი და ამ ნავარაუდევ შემოსავლის მიხედვით გაანაწილებს მოსალოდნელ ხარჯსაც.

ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. საქმის პატრონის მოადგილე საამხანაგო საქმეში არის გამგეობა. მაგრამ გამგეობაც ხომ პირველ კრებაზე უნდა იქმნას არჩეული და ხარჯთ-აღრიცხვაც ჩვეულებრივ პირველ კრებაზე უნდა დამტკიცდეს. ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის (გეგმის) შედგენისათვის დამფუძნებელთ უნდა იფიქრონ, გამოცდილ კაცებს ჰკითხონ და მომზადებულნი წარსდგნენ საზოგადო კრების წინაშე.

რა ხარჯები ექმნება ჩვენს ამხანაგობას?

ვსთქვათ, ბინა უფასოთ ვიშოვეთ, რომელსამე სკოლაში ან სასოფლო სამმართველოში დაგვითმეს ოთახი, გამგეობა უჯამაგიროდ გვემსახურება. გვჭირია დავთრების შეძენა, ქაღალდისა და სხვა საკანცელარიო ნივთის ყიდვა და სხვ.

რაც შეეხება რკინის შკაფს, საწერს მაგიდას, სკამებს—ყველა ეს დიდხანს გაგვიძლებს; ამიტომ ამაზედ დახარჯულ ფულიდან ხარჯში მხოლოდ 10% ანუ მეათედს ჩავსწერთ.

ჩვენი უმთავრესი ხარჯია სარგებელი ნასესხებ და შესანახად მობარებულ ფულისა.

აუცილებელ საჭიროებათ მიმაჩნია აგრედვე ჯილდო მიეცეს თავიდანვე ანგარიშის მწარმოებელს. ამას ბევრი ჯაფა აწევს და მუქთად მისის შრომის მოხმარება რიგიანი საქმე არ იქნება. უსასყიდლო შრომა იშვიათადაა ნაყოფიერი და ამიტომ, სამართლით, გამგეობასაც კი უნდა ეძლეოდეს ჯამაგირი. მაგრამ ამათ კიდევ შეუძლიათ და მოეთხოვებათ საზოგადოების მოღონიერებამდის მაინც იმუშაონ საზოგადო საქმისთვის უსასყიდლოდ, არც იმდენი დრო დაეკარგებათ; ხოლო ამასვე არ უნდა მოვითხოვდეთ მოანგარიშესაგან, რომელიც ხშირად იძულებული იქნება დილიდან საღამომდის ჩაჰკირკიტებდეს დავთრებს. მაშ, ჩვენს ხარჯთ-აღრიცხვაშიც ჩაურთოთ ჯამაგირი მოანგარიშისა—თვეში 5 მან.

ჩვენი წლიური ხარჯი იქნება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სარგებელი**: | გრძელ ვადიან სესხის | 2000 მ. | 6% | 120 მ. |
| | მოკლე ვადიან სესხის | 3000 მ. | 5% | 150 მ. |
| | შესანახათ მობარებულ | 1500 მ. | 7% | 105 მ. |
| | ჯამაგირი მოანგარიშეს . | | . | 60 მ. |
| | საკანცელარიო ხარჯი . . . . . . | | | 40 მ. |
| | 10% ქონების (200 მან. რკინის შკაფი, 50 მან.—სხვა რამეები . . . | | . . | 25 მ. |
| | მოულოდნელი ხარჯი . . | | . | 25 მ. |
| | | | სულ . . | 525 მ. |

ვიანგარიშეთ ხარჯი. ახლა შემოსავალიც ვიანგარიშოთ.

ჩვენს განკარგულებაში იქნება დაახლოვებით 6500 მან. (2000 მ.—გრძელ ვადიანი სესხი, 3000 მ.—მოკლე ვადიანი და 1500 მობარებული). აქედან 500 მან. მაინც გვექნება დაბანდებული: ქონებაში, კასაში ნაღდად და სხვ. დაგვრჩა

6000 მ. ეს ფული რომ 8% გავასესხოთ, შემოგვივა 480 მ., რომელიც ხარჯსაც კი არ დაჰფარავს. ჩვენ კი ცოტა სარგებელიც უნდა ვნახოთ, რადგანაც რამდენისამე წლის შემდეგ სახელმწიფო ბანკის გრძელ ვადიანი სესხი უნდა გავისტუმროთ და საკუთარი ძირითადი თანხა უნდა შევადგინოთ. მაშ, უკანასკნელი 10—12% უნდა ავიღოთ. 10% მოგვცემს მოგებას 600 მ. ხარჯია 525 მ., დაგვრჩება წმინდა მოგება 75 მ.; ხოლო თუ 12% ავიღეთ, შემოგვივა სარგებელი 720 მან. და წმინდა მოგება (720—525) დაგვრჩება 195 მ.

ცხადია, თუ საწარმოვო თანხა 5—6 ათას მანეთზე მეტი არ გვექნა, სარგებელს 10—12% ნაკლებს ვერ დავაწესებთ, ხოლო რამდენადაც გაიზრდება საქმე და რამდენ-დაც მეტი თანხა გვექნება, სარგებელსაც იმდენად შევამცირებთ.

ამნაირად %% რაოდენობის დანიშვნა მჭიდროდ შეკავშირებულია ხარჯთ-აღრიცხვასთან. და ეს შეეხება არა მარტო ასაღებ, არამედ მისაცემ სარგებელსაც. მისაცემ %% შესახებ უნდა ითქვას, რომ შესანახად მობარებულ ფულზე ახლა ქალაქებშიაც კი იძლევიან ბანკები 6—7%, ხოლო სოფლის საკოოპერაციო ბანკში 7-8% ნორმალური მოვლენაა, განსაკუთრებით თუ თვით ეს ბანკი 12% ახდევინებს.

**წესები.** შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა, კრებამ უნდა შეიმუშაოს წესები საქმის წარმოებისა ამხანაგობაში და დაჰნიშნოს დრო, როდის ექნება გამგეობას სხდომები. ჩვეულებრივ კრება იწონებს და იღებს იმ წესებს, რომელიც შემუშავებულია წვრილის კრედიტის სამმართველოს მიერ. ეს წესები გამოკიდებული უნდა იყოს გამგეობის სადგომში, რათა ყველას შეეძლოს იმის გაცნობა.

დასასრულ კრებამ უნდა მისცეს გამგეობას რწმუნების ქაღალდი სესხის ასაღებად სახელმწიფო ბანკიდან, როგორც ძირითადის თანხისათვის, ისე მოკლე ვადიან სესხისათვის. აგრეთვე იმის რწმუნებაც, რომ კერძო კაცთაგანაც ისესხონ ფული, თუ ეგ მოსახერხებელი იქნება და ხელსაყრელ პირობით გასცემს ვინმე.

**ოქმი საზოგადო კრებისა.** ამ რწმუნების შესახებ განსაკუთრებულის ქაღალდის დაწერა არაა საჭირო, ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ ჩართულ უნდა იქმნას საზოგადო კრების ოქმში.

ამავე კრებამ უნდა გადასწყვიტოს — თუ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა არსდება — პაის რაოდენობა და ვადა პაის სრულად შემოტანისა.

კრების გათავების შემდეგ, ოქმს ხელს აწერენ ჯერ დამსწრენი და მერე თავჯდომარე კრებისა.

**შეერთებული სხდომა.** საზოგადო კრების შემდეგ ინიშნება შეერთებული სხდომა გამგეობისა და საბჭოსი. ესენი გაინაწილებენ სხვა-და-სხვა თანამდებობასა: ვინ იქნება თავმჯდომარე, ხაზინადარი, ანგარიშის მწარმოებელი. ესენივე უნიშნავენ წევრებს კრედიტს.

გადაწყვეტილ კრედიტის რაოდენობა უნდა აღინიშნოს მაშინვე წევრთა დავთარში, სახელ-დებულ ანგარიშების დავთარში და საწევრო წიგნაკში. ეს უკანასკნელნი დაურიგდება წევრებს (დავთრების შესახებ ქვევით გვექნება ვრცლად ლაპარაკი).

ვიდრე ძირითადს თანხას არ შეაგროვებს, გამგეობას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. რწმუნება აქვს, მაშ, შეუძლიან მიღება ამ თანხისა, თუ ვინმესგან მოელის. ერთი აუცილებელი წყარო ძირითადის თანხისა არის სახელმწიფო ბანკი.

**საჭირო ცნობანი სახელმწ. ბანკისათვის.** ამ თანხის მისაღებად საჭიროა წარდგენა სახელმწიფო ბანკში შემდეგის საბუთებისა:

1. ხელ-წერილი.

2. წესები სესხის მიღებისა სახელმწიფო შემნახველ კასების თანხებიდან, გამგეობის ხელ-მოწერილი და ბეჭედ-დასმული;

3. პირი საზოგადო კრების ოქმისა;

4. პირი გამგეობისა და საბჭოს წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევის შესახებ და

5. სია და ცნობანი გამგეობისა და საბჭოს წევრთა და მათ კანდიდატთა შესახებ და

6. ხელ-მოწერის ნიმუში გამგეობის წევრთა და კანდიდა-ტებისა, ბეჭედ-დასმული.

ყოველივე ეს თხოვნასთან ერთად წარდგენილი იქნება სახელმწიფო ბანკში ან პირადათ ან ფოსტით. უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. თუ თხოვნას ფოსტით ჰგზავნით, უნდა ითხოვოთ აგრედვე, რომ ფული გამოგიგზავნონ.

დასახელებულ ქაღალდების ფორმებს ქვევით მოვიყვანთ.

იშვიათად დაკმაყოფილდება ამხანაგობა სესხით ძირითად თანხისათვის. იგი თხოულობს აგრედვე მოკლე ვადიან სესხსაც. სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას უფლება აქვს მისცეს კრედიტი 10 ათას მანეთამდის, ხოლო, თუ ამხანაგობა მეტს თხოულობს, თხოვნა სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილების მიერ წარედგინება ცენტრალურ კანტორას (პეტერბურგში).

**მოკლე ვადიანი სესხი.** მოკლე ვადიანი სესხი გამოიტანება ვექსილებით, რომელიც უნდა დაიწეროს არა უდიდეს ცხრა თვის ვადისა. უნდა ეცადოთ, ვადა ვექსილისა მაშინ მოვიდეს, როცა თავისუფალი თანხები მოგროვდება, ე. ი. დაახლოვებით იმ დროს, როცა ჩვენს მოვალეებსაც ვადა უთავდებათ.

14. ანდერძი ფულის პატრონისა უნდა იყოს გამოთქმული ნათლად და მარტივად, რომ მერე საეჭვოდ არა დარჩესრა. განცხადება ანდერძის შესახებ (სახელი, მამის სახელი და გვარი, ვისაც ფულს უტოვებენ და სხვ.) უნდა ჩასწეროს გამგეობის წევრმა „ანდერძის დავთარში", რომელშიაც აგრეთვე ხელს მოაწერს თვით პატრონი ფულისა და არა ნაკლებ გამგეობის ორის წევრისა. თუ თავისი სურვილი პატრონმა წერილით განაცხადა, შინაარსი წერილისა უნდა იქმნას ჩაწერილი ამავე დავთარში, იმისგანვე ხელ-მოწერილი, და თუ რამ ეჭვი დაიბადა, ამ დავთრით უნდა იხელმძღვანელონ.

15. თუ ანდერძი გამგეობის რომელისამე წევრის სასარგებლოდაა შედგენილი, ამ წევრს გამგეობისას არ შეუძლიან დაესწროს ანდერძის შედგენასა და დავთარში ჩაწერას.

16. თუ ანდერძის დამტოვებელმა არ იცის წერა, მის მაგიერ ხელს აწერენ ორი მოწმე და ამათ შორის არ შეიძლება იყოს ის, ვისაც ანდერძით ფული უნდა ერგოს.

17. ფულის შემომტანის წიგნაკში და პირად ანგარიშში აღინიშნება, რომ ფული პირობით არის შემოტანილი ან ანდერძითა. თუ იგი მოისურვებს, მის წიგნაკში გადაიწერება მთლად ეგ პირობა ან ანდერძი, მაგრამ ძალაში რჩება მხოლოდ ის, რაც ამხანაგობის დავთარშია.

18. ანდერძი შეიძლება გამოიცვალოს ყოველ დროს თვით ფულის პატრონის მიერ იმავე წესით, როგორადაც პირველად დაიწერა. თუ ანდერძი წიგნაკში იყო ჩაწერილი, იგი უნდა გამოერთვას და მის მაგიერ მიეცეს ახალი.

19. ფულის პირობით შემომტანს შეუძლიან თავიდანვე უფლება დაიტოვოს პირობის გამოცვლისა ან ფულის წინდაწინ გატანისა. თუ ის უფლება დაიტოვა, ახალი პირობა იწერება იმავე წესით, როგორითაც პირველი პირობა დაიწერა. ხოლო თუ პირობა სულ მოისპო და ფული გადავიდა ვადით ან უვადოთ შემოტანილის წესზე, იგი უნდა აღვნიშნოთ დავთრებში ჯერ ვითომ გატანილი, როგორც პირობითი, და მერე შემოტანილი—მეორე დავთარში. პატრონსაც ძველის წიგნაკის მაგიერ ახალი მიეცემა. აგრეთვე ახალი წიგნაკი ეძლევა ძველის მაგიერ, თუ პირობა გამოიცვალა.

20. შენახული ფული იმას ეკუთვნის, ვის სახელზედაც წიგნაკი არის დაწერილი. წიგნაკის გადაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ამას პატრონი განუცხადებს გამგეობას; გამგეობა ძველ წიგნაკს მოსპობს და ახალ წიგნაკს აძლევს ახალს პატრონს, ხოლო დავრთრებშიც შესაფერ ცვლილებას ჩაურთავს. ფული პირობით შემოტანილი ან ნაანდერძევი არ შეიძლება გადაწერილ იქმნას სხვის სახელზე. შესაძლებელია მხოლოდ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება 19 მუხლს, პატრონმა გაიტანოს და ისევ შემოიტანოს, როგორც ახალი თანხა.

21. ფულის შემნახველს თუ წიგნაკი დაეკარგა, წერი-

ლობითი განცხადება უნდა შეიტანოს გამგეობაში; მისი ხელის მოწერა, თუ გამგეობას პირადი ცნობა არა აქვს, უნდა იქმნას დამოწმებული სოფლის მამასახლისის ან პოლიციის მიერ; გამგეობა მისცემს იმას მაშინვე ახალ წიგნაკს წარწერით, რომ იგი დაკარგულის მაგიერია, ამასვე დაჰნიშნავს იმის პირად ანგარიშზე; ძველი წიგნაკი ამით უქმდება. მაგრამ თუ რამ ეჭვი ეპადება გამგეობას, შეუძლიან ახალ წიგნაკის მიცემა შეაჩეროს ორის კვირით და ამ ხნის განმავლობაში ცნობანი შეჰკრიბოს.

შენიშვნა. თუ ფული შემოტანილია არა სრულ წლოვანის სახელზე, განცხადებას წიგნაკის დაკარგვის შესახებ იძლევა ფულის შემომტანი.

22. ფულის მიღება და შემოტანა შეიძლება ყოველთვის, როცა ამხანაგობაში საქმის წარმოებაა.

23. ფული და სარგებელი მიეცემა ფულის პატრონს წიგნაკის წარმოდგენისათანავე; ხოლო მის მემკვიდრეებს ან რწმუნებულს—შესაფერ საბუთების წარმოდგენის შემდეგ.

24. ფული პირობით შემოტანილი ან ნაანდერძევი მიეცემა თანახმად 13—16 მ.მ. მოხსენებულ წესისა და სარგებელიც დავთარში შეტანილ პირობათა და განკარგულებათა მიხედვით.

25. ფულის, თანახმად 13—16 მუხ. ნაანდერძევისა, მიღება შეიძლება, როცა მემკვიდრე წარმოადგენს მოწმობას მამასახლისისას, პოლიციისას ან ღვდლისას ფულის პატრონის გარდაცვალების შესახებ; მოწმობის წარმოდგენა არაა საჭირო, თუ ეს გარემოება თვით გამგეობამაც იცის.

26. მცირე წლოვანი ან არა სრულ წლოვანი დამოუკიდებლად ხმარობს იმ ფულს, რომელსაც თვითონ შემოიტანს. მაგრამ ანდერძის მიღება ამათგან არ შეიძლება.

27. თუ პოლიცია, სასამართლოს ბოქაული ან სოფლის მამასახლისი მოითხოვს ვისმე შესანახად მობარებულ ფულის დაჭერას, ვალდებულნი არიან, აღმასრულებელ ფურცელს გარდა, წარმოადგინონ თვით წიგნაკი ამხანაგობის მიერ მი-

ცემული, სასამართლოს ან პატრონის მიერ წარწერილი, ფულის მიცემის შესახებ.

28. ვადით შემოტანილი ფული დღიდან ვადის გასვლისა ითვლება უვადოთ შემოტანილ ფულის პირობაზედ, აგრედვე პირობით შემოტანილი და ანდერძით დატოვებულიც ერთის თვის შემდეგ დღიდან აღნიშნულ პირობის შესრულებისა.

29. უვადოთ შემოტანილი ფული, რომლისთვისაც პატრონს 30 წლის განმავლობაში არც მიუმატებია რამ, არც გაუტანია თავნი ან სარგებელი, რჩება ამხანაგობის სრულ საკუთრებად. საზოგადო კრების საქმეა, ჩარიცხავს იმას ძირითად თუ სპეციალურ თანხაში.

30. სარგებელი თავნზე ითვლება მთელის თვეებისა და მთელ მანეთზე.

31. ვადით შემოტანილ ფულის სარგებელი ეძლევა პატრონს ნახევარ-ნახევარ წლისა, პირობით შემოტანილ ფულისა კი——თანახმად პირობისა.

32. უვადოთ შემოტანილ ფულზე სარგებელი ითვლება შემოტანის შემდეგ მომავალ თვის 1 რიცხვიდან. თუ თვის განმავლობაში რამდენჯერმე შემოიტანეთ და გაიტანეთ, სარგებელი ითვლება უმცირეს ნაშთზე. როცა უკანასკნელ ფულსაც გაიტანენ, სარგებელი ამ დანარჩენისა ითვლება მიმდინარე თვის 1 რიცხვამდის.

33. გაუტანელ სარგებელზე სარგებელი არ ითვლება, გარდა მე-9 მ. მოხსენებულ შემთხვევებისა.

34. თუ ამხანაგობამ სარგებლის რაოდენობა შესცვალა, ეგ ცვლილება შედის ძალაში ერთის თვის შემდეგ დღიდან დადგენილებისა.

35. ვადით შემოტანილ ფულის სარგებელი ვადის გასვლამდე არ შეიძლება გამოიცვალოს.

36. სარგებელი შესანახად მობარებულ ფულისა თავისუფალია სახელმწიფო გადასახადისაგან (Уст. о пр. нал. ст. 456, п. 2, по прод. 1895 г.)·

37. შესანახად მობარებულ ფულის ანგარიში ინახება სრულიად საიდუმლოთ და შეიძლება იქმნას გამოცხადებული მხოლოდ მთავრობისა ან სასამართლოს კანონიერ მოთხოვნილების თანახმად. დამნაშავენი ამ საიდუმლოს გამომჟღავნებაში გამგეობის წევრნი და სხვა მოხელენი დაისჯებიან 1157 მ. სასჯ. დებ. თანახმად. (ციხე ოთხის თვიდან ერთ წელიწად და ოთხ თვემდე).

ეს წესები გამოკიდული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას. აგრედვე შეიძლება (და კარგიც იქნება) დაიბეჭდოს იმ წიგნაკის ბოლოში, რომელიც ეძლევა ამხანაგობიდან ფულის შემომტანს.

ქვევით ჩვენ მოგვყავს ფორმები ორის დავთრისა. პირველში იწერება ყველა გამგეობის სახელით გაგზავნილი ქაღალდი. რუსულად ასეთ დავთარს უწოდებენ „исходящая"-ს ე. ი. დავთარი გასულ ქაღალდებისა.

### ა ი ფ ო რ მ ა:

| №№ по порядку. რიგისამებრ. | Время отправления. დრო გაგზავნისა. | | Кому и о чемъ? (содержаніе бумагъ) ვის და რის შესახებ (ქაღალდების შინაარსი) | Примѣчаніе. შენიშვნა. |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | Мѣсяцъ. თვე. | Чис. რიც. | | |

ამ დავთრის დამატებაა დავთარი, რომლითაც წერილებს დაარიგებენ (разносная).

ა ი ფ ო რ მ ა:

| 191 г. წ. Мѣсяцъ и число. თვე და რიცხვი. | №№ пакетовъ. №№ პაკეტებისა. | **Кому адресовано.** ვის ეგზავნება. | Число пакетовъ. რაოდენობა პაკეტებისა. | **Росписка получателя.** ხელის მოწერა მიმღებისა. |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

მეორე დავთარში იწერება ყველა ქაღალდი, მიღებული ამხანაგობის მიერ. ასეთ დავთარს რუსულად უწოდებენ „входящая"-ს, ე. ი. დავთარი შემოსულ (მიღებულ) ქაღალდებისა.

ა ი ფ ო რ მ ა:

| №№ по порядку. №№ რიგისამებრ. | Время поступленія. დრო მიღებისა. | | За какимъ № бумага. რა ნომერი აქვს ქაღალდს. | **Отъ кого и о чемъ?** (содержаніе бумаги) **ვისგან და რის შესახებ** (ქაღალდის შინაარსი) | Отмѣтка объ исполненіи. აღნიშვნა შესრულებისა. |
|---|---|---|---|---|---|
| | Мѣсяцъ თვე. | Чис. რიც. | | | |
| | | | | | |

ზევით მოყვანილ ოპერაციების და შესანახად მობარებულ ფულის წესებს გარდა, გამგეობას გამოკიდული უნდა ჰქონდეს თავის სადგომში თვიური ბალანსი და აგრეთვე სხვა-დასხვა, წევრთათვის სავალდებულო და სასარგებლო, დადგენილება და ცნობა. კარგი იქმნება აგრეთვე, თუ სადგომის კედლებს დაამშვენებს სურათები გამოჩენილ კოოპერატორთა და საზოგადო მოღვაწეთა. ხშირად სურათი დააფიქრებს წევრს და მოასურვებინებს გაიგოს სურათში გამოხატულის ცხოვრება და მოღვაწეობა. გაგება და გაცნობა გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებისა კი ერთი საშუალებათაგანია ადამიანის აღზრდისა, განვითარებისა.

---

## საზოგადო ცნობანი ანგარიშის წარმოების შესახებ.

არც ერთ დაწესებულებას—სულ ერთია, კერძო იქნება, აქციონერული თუ კოოპერატიული, თავისი საკუთრება არა აქვს. ყველაფერი, რაც დაწესებულებას აქვს, ეკუთვნის ან ერთს—საქმის პატრონს, ან რამდენსამე (ამხანაგობას), ან მთელ საზოგადოებას. დაწესებულება მოვალეა ამათ წინაშე და ყველაფერი, რაც დაწესებულებას მიუღია ამათგან, ნასესხებათ, დაწესებულების ვალათ უნდა ჩაითვალოს.

**ძირითადი თანხა.** მაგალითისათვის ავიღოთ ნავთის კერძო ფირმა. კერძო პატრონი გადასდებს განსაზღვრულ თანხას ნავთის წარმოების დასაწყებათ; იგი ამბობს: აი ასი ათასი მანეთი გადამიდვია, ამ ფულით ნავთის წარმოება მინდა დავიწყოვო. ასე არსდება ნავთის მწარმოებელი ფირმა. იმის პატრონი ახლა ერთია. ფირმას არაფერი ჰქონია, მხოლოდ ახლა მიიღო პატრონისაგან ასი ათასი მანეთი და პატრონს შეუძლიან, როცა სურს, უკანვე წაიღოს ეგ ფული.

ამნაირად, ეგ ფული არ არის დაწესებულების საკუთრება, იგი მისი ვალია, თუმცა მევალე ან კრედიტორი თვით დაწესებილების პატრონია.

ერთის ადგილას ჩვენ შეგვიძლია, რასაკვირველია, წარმოვიდგინოთ რამდენიმე და მთელი საზოგადოებაც (ამხანაგობა აქციონერული, კოოპერატიული, საზოგადო, სახელმწიფო დაწესებულებანი და სხვ.) და საქმის დასაწყები თანხაც შეიძლება შეგროვდეს, როგორც ერთის, ისე რამდენმესაგან.

რადგან საქმეს საფუძველი ამ თანხით ეყრება, ეგ თანხა საფუძველია საქმისა, ანუ, როგორც ამბობენ, არის ძირითადი თანხა.

რაკი დაწესებულებას საძირკველი ჩაეყრება, იმას შეუძლიან მერე თვითონაც იშოვოს ფული—მიიბაროს შესანახათ, ისესხოს ბანკებიდან, კერძო კაცთაგან და სხვ. ამ გზით ნაშოვნი ფულიც დაწესებულებას შეუძლიან დროებით მოიხმაროს.

**პასსივი.** ყველა იმ ვალს ანუ ყველა იმ თანხას, რომელიც შემოსულა დაწესებულებაში სხვა-და-სხვა მევალეთაგან (კრედიტორებისაგან) და მათ შორის საქმის პატრონისაგან და რომლითაც დაწესებულება სარგებლობს საქმის საწარმოებლათ (ასესხებს, ჰხარჯავს და სხვ.), ერთის სიტყვით, რაც მის არსებობის სალსარს შეადგენს, ეწოდება ერთად პასსივი *). ანგარიშის წარმოებაში პასსივი ჩვეულებრივ დაყოფილია მუხლ-მუხლად (სტატიებათ), რათა ცხადი იყოს, თუ სახელდობრ საიდან, რა წყაროებიდან შეგროვილა მთელი ის თანხა (პასსივი), რომლითაც დაწესებულება სარგებლობს.

ახლა ავიღოთ წვრილ კრედიტის დაწესებულებათა ანგარიშის წარმოება. რა თანხები უნდა ჩაიწეროს პასსივში, რა მუხლებისაგან შესდგება ამ დაწესებულებათა პასსივი?

თუ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას დავაარსებთ, შეგროვილი გვექნება საპაიო თანხა. ვსთქვათ, შეგვიგროვებია 300 მან. ეს იქნება ჩვენის ამხანაგობის პასსივის პირველი მუხ-

*) პასსივში იწერება აგრედვე აღებული სარგებელიც, რადგან ესეც (სარგებელი) საანგარიშო წლის დამლევამდის დაწესებულების განკარგულებაშია, ემატება იმის საწარმოვო თანხებს.

ლი. მეორე უტყუარი სალარი სახელმწიფო ბანკიდან აღებული ვალია—ვსთქვათ, ძირითად თანხისათვის 1000 მ. და მოკლე ვადიანი სესხიც 3000 მ. ამას გარდა შესანახათაც მოგვაბარეს 200 მან.

ჩვენის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის პასსივი იქნება:

| | | |
|---|---|---|
| ა. ძირითადი თანხა და სპაიო თანხა . . | მან. | 1300 — |
| ბ. აღებული სესხი . . . . . . | | 3000*)— |
| გ. შესანახათ მობარებული ფული . | „ | 200 — |
| სულ . | „ | 4500 — |

ეგ სამი სალარი გვაქვს ჯერ-ჯერობით, ხოლო როცა საქმე გაიზრდება, სხვა წყარო და სალარიც აღმოგვიჩნდება—გარდამავალი თანხები, სპეციალური თანხები, სარგებელი და სხვ., რომელზედაც ქვეით გვექნება ლაპარაკი.

ჩვენ დავასახელეთ, თუ საიდან შემოსულა ეგ ფული. უნდა დავასახელოთ თუ არა ისიც, რა უყავით, რა დანიშნულება მივეცით ამ ფულს? შენახული გვაქვს კასაში, დავხარჯეთ, თუ გავასესხეთ?

**აქტივი.** აი იმ ანგარიშებს, რომელიც გვიჩვენებს, თუ სად არის პასსივში აღნიშნული, ჩვენთან შემოსული ფული, ჰქვია ერთად აქტივი ანუ აქტივის ანგარიშები. ცხადია, თუ პასსივის ანგარიშები მაჩვენებელია იმისი, რამდენი თანხა შემოსულა ჩვენს განკარგულებაში, ხოლო აქტივის ანგარიშები იმისი, რა დანიშნულება მიგვიცია ამ თანხებისათვის, ჯამი აქტივისა და პასსივის ანგარიშებისა ყოველთვის ერთმანერთს უნდა უდრიდეს.

დაუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. ჩვენის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის პასსივია 4500 მან. სადაა ეგ ფული?

*) ძირითადი თანხა 1000 მ., რასაკვირველია, აღებული სესხია, მაგრამ, რადგან იგი გძელ ვადიანია, ცალკე მუხლათ ირიცხება (ძირითადი თანხა).

—ჯერ სულ კასაშია. ამიტომ ჩვენის ამხანაგობის ანგარიშების მდგომარეობა ასეთი იქნება:

**პასსივი.**

ა. ძირითადი და საპაიო თანხა . მან. 1300—
ბ. აღებული სესხი . . . . „ 3000—
გ. შესანახათ მობარებული ფული „ 200 - მან. 4500—

**აქტივი.**

კასა . . . . . . . . . . . . . . . მან. 4500-

ჯამი აქტივისა (4500 მ.) უდრის პასსივის ჯამს (4500 მ.) ეს იყო 1 მაისს.

ორ მაისს შემოიტანა შესანახათ გ. ვეფხვაძემ 100 მან. სად ჩავსწეროთ ამ ფულს, აქტივში თუ პასსივში?—რასაკვირველია, პასსივში (ჩვენი ვალია). მაშ მიემატა პასსივს ასი მანეთი. იყო 4500 მ.+100=4600 მან.

რა იქმნა შემოსული ასი მან.? კასაშია. მაშ კასასაც მიმატებია 100 მ. იყო 4500 მ.+100 მ.=4600 მან.

ჯამი აქტივისა კვლავ უდრის პასსივის ჯამს.

საქმე გართულდა. 3 და 4 მაისს შევიძინეთ მოძრავი ქონება, ე. ი. რკინის შკაფი, მაგიდა, სკამები და სხვ., სულ 300 მან.; გავასესხეთ 500 მან., წვრილმანი ხარჯი იყო 4 მ. 50 კ.. შემოვიდა საპაიო 30 მან., სარგებელი (500 მანეთისა) 15 მან., გაიტანეს შესანახათ მობარებულ ფულიდან 100 მან.

ამნაირად, ჩვენის ანგარიშების მდგომარეობა შეიცვალა.

**პ ა ს ს ი ვ ი.**

| | იყო: | მიემატა: | მოაკლდა: | არის: |
|---|---|---|---|---|
| ა. ძირითადი და საპაიო თანხები . . . | მ. 1300 | მ. 30 | მ. — | მ. 1330 |
| ბ. აღებული სესხი . | „ 3000 | „ — | — | „ 3000 |
| გ. შესანახად მობარებული ფული . . | „ 300 | „ — | „ 100 | „ 200 |
| დ. სარგებელი . . . | — | „ 15 | „ — | „ 15 |

სულ 4545—

## ა ქ ტ ი ვ ი.

| | იყო: | მიემატა: | მოაკლდა: | არის: |
|---|---|---|---|---|
| ა. კასსა . . . | მ. 4600 | მ. 45 *) | მ. 904 50**) | მ. 3740 50 |
| ბ. გაცემული სესხი . . . | „ — | „ 500 — | „ — — | „ 500 — |
| გ. მოძრავი ქონება . . . . | „ — | „ 300 — | „ — — | „ 300 — |
| დ. ხარჯი . . . | „ — | „ 4 50 | „ — — | „ 4 50 |
| | | | სულ . . | 4545 — |

ჯამი აქტივისა კვლავ უდრის ჯამს პასივისას. ცხადია, ეს ყოველთვის ასე იქმნება, რადგანაც აქტივი მაჩვენებელია მხოლოდ იმისი, თუ სადა გვაქვს დაბინავებული პასსივში ნაჩვენები თანხები. ხშირად კერძო მუხლები (ანგარიშები) პასსივისა ან აქტივისა იცვლება; მაგალ. რომელიმე ანგარიში დაიკლებს; სამაგიეროდ, მეორე მუხლი იმავე აქტივისა ან პასსივისა მოიმატებს. მაგალ., კასსაში 5 მაისს 4600 მან. მაგიერ (2 მაისს იყო) 3740 მ. 50 კ.; სამაგიეროდ აქვე, აქტივში ახალი ანგარიშები გაჩნდა: მოძრავი ქონება, გაცემული სესხი და ხარჯები. ამ ცვლილებას გავლენა არა ჰქონია აქტივის ჯამზე; მართალია, ნაღდი ფული არ არის კასაში, მაგრამ არის, სამაგიეროდ, ქონება 300 მან., გასესხებული გვაქვს 500 მ. და დავხარჯეთ 4 მ. 50 კ., კასის მაგიერ ახალი ბინა გაუჩინეთ ფულს. გავლენა იქონია ჯამზე უკან გატანილმა 100 მან. და შემოსულმა სარგებელმა 45 მ. ასე, 4600 მ.—100 მ.+45 მ.—

---

*) სარგებელი 15 მან., საპაიო 30 მან., სულ (15+30=45 მ.

**) მოძრავ ქონებისა 300 მ., გასესხებული 500 მ., უკან გატანილი 100 მ. და წვრილმ. ხარჯისა 4 მ. 50 კ., სულ (300+500+100+4.50) 904 მ. 50 კ.

4545 მ. მაგრამ თუ შეიცვალა ჯამი პასივისა, შეიცვალა ჯამი აქტივისაც.

ერთის სიტყვით, ჯამი აქტივისა მუდამ უნდა უდრიდეს ჯამს პასივისას და, თუ არ უდრის, მაშინ ჩვენის ანგარიშის წარმოება სწორი არ იქნება.

**ბალანსი.** ზევით ჩვენ ამოვწერეთ ანგარიშის მდგომარეობა 1, 2 და 5 მაისისათვის. ამა თუ იმ რიცხვისათვის ამოწერილს ანგარიშთა მდგომარეობას დაწესებულებისას ეწოდება ბალანსი.

ამბობენ: ბალანსი ამა და ამ დაწესებულებისა ამა და ამ დროს ეს იყოვო. ეს ჰნიშნავს: ამა და ამ დაწესებულების ანგარიშთა მდგომარეობა ამა და ამ რიცხვისთვის ასეთი იყოვო.

ყოველი ბალანსი შესდგება ორ უმთავრეს ნაწილისაგან— აქტივისა და პასივისაგან, რადგანაც თვით დაწესებულების ანგარიშები, როგორც დავინახეთ, განიყოფება იმავე ორ შემადგენელ ნაწილათ: აქტივათა და პასსივათ.

# შემოსავალ-გასავლის დავთარი.

**შემოსავალი და გასავალი.** ყველას უწარმოებია და, თუ არ უწარმოებია, უნახავს მაინც უბრალო შემოსავალ-გასავლის წიგნი, დავთარი.

ერთ მხარეზე (მარცხნივ) სწერენ ხოლმე შემოსავალს, მეორე მხარეზე (მარჯვნივ)— გასავალს. შემოსულ ფულის ჯამს რომ გამოვაკლოთ ჯამი გასულ ფულისა, გავიგებთ, რამდენი დაგვრჩენია (ფული). ეს არის მარტივი ფორმა ანგარიშის წარმოებისა და შემოსავლის ერთად-ერთი წყარო რომ გვქონდეს და ჩვენგან გასული ფული ყოველთვის ერთ დანიშნულებისათვის რომ იხარჯებოდეს, შეიძლება, საჭიროც არ იყოს სხვანაირ დავთრის შემოღება.

მაგრამ, როგორც ახლა ვიცით, ყოველ დაწესებულების ანგარიშები უპირველეს ყოვლისა იყოფა აქტივისა და პასსივის ანგარიშებათ.

როგორც აქტივის რომელსამე ანგარიშს შეიძლება მიემატოს ან მოაკლდეს რამ, ისე პასსივისასაც, და საერთო ამ ორ სხვადასხვანაირ ანგარიშთა მიმატება-მოკლებას მხოლოდ ის ექნება, რომ ორსავე შემთხვევაში ფული შემოდის ან გადის კასიდან. არსებითად კი ეგ შემოსავალი და გასავალი სულ სხვა-და-სხვა ნაირის ხასიათისაა და სხვა-და-სხვა გავლენა აქვს ანგარიშის მდგომარეობაზე.

მაგალითად, ვისესხეთ 500 მან. სეხელმწ. ბანკიდან—კასას მიემატა 500 მან.; ჩვენი ემართა ვიღაც ივანიაშვილს და გადაგვიხადა 500 მ.—აქაც მიემატა კასას 500 მან. საერთო ამ ორ შემთხვევაში ის იყო, რომ ორჯელვე ხუთას-ხუთასი მანეთი მიემატა კასას; განსხვავება კი დიდია: პირველ შემთხვე-

ვაში მოიმატა ჩვენმა ვალმა, პასსივმა, მეორე შემთხვევაში კი უკან დაგვიბრუნეს გაცემული სესხი და ამ სესხის რაოდენობას მოაკლდა (აქტივი).

ასეთივე მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ გასავლის შესახებაც. გავისტუმრეთ ბანკის ვალი 400 მან., დააკლდა კასას 400 მან.; ვასესხეთ იმესაშვილს 400 მან., აქაც აკლდება კასას 400 მან., მაგრამ პირველ შემთხვევაში ჩვენს ვალს (პასსივს) მოაკლდა 400 მან., მეორე შემთხვევაში-კი მოიმატა გაცემულ სესხის რაოდენობამ (აქტივი).

ამნაირად, კასაში შემოსული ფული შეიძლება შეეხებოდეს როგორც პასსივს, ისე აქტივს და იმ გარემოებას, შემოსავალი ან გასავალი შეეხება აქტივისა თუ პასსივის ანგარიშს, სულ სხვა-და-სხვა ნაირი შედეგი აქვს ანგარიშთა საზოგადო მდგომარეობისათვის. როცა კასიდან ფული გადის, ან აქტივის რომელიმე ანგარიში მატულობს, ან პასსივის რომელიმე ანგარიში კლებულობს; ხოლო როცა კასაში ფული შემოდის, ან აქტივის რომელიმე ანგარიში კლებულობს ან პასსივისა მატულობს.

ამიტომ, ცხადია, არ კმარა ჩვენთვის ვიცოდეთ მხოლოდ, რამდენი ფული შემოვიდა ან გავიდა კასიდან, საჭიროა ვიცოდეთ ისიც, თითოეულ ოპერაციას (შემოსავალს ან გასავალს) როგორი გავლენა აქვს აქტივსა და პასსივზე. ამისათვის უბრალო დავთარს, სადაც აღინიშნება ჩვეულებრივ შემოსავალი და გასავალი, უნდა მიუმატოთ რამდენიმე უჯრა, ე. ი. შემოსავალი უნდა გავყოთ ორ ნაწილად—პასსივი და აქტივი (შემოსავალი პასსივისა, შემოსავალი აქტივისა) და გასავალიც —ორ ნაწილად—პასსივი და აქტივი (გასავალი პასსივისა, გასავალი აქტივისა).

ჩავსწეროთ ამნაირ დავთარში შემდეგი მაგალითები:

**შემოსავალი**:

| | | |
|---|---|---|
| სახელმწიფო ბანკიდან ვისესხეთ . . . . | მან. | 4000— |
| შესანახათ შემოიტანა გ. ვეფხვაძემ . . . | „ | 100— |
| ავიღეთ სარგებელი ტ. ირემაძისაგან . . | „ | 4—50 |
| დაგვიბრუნა სესხი ს. ივანიაშვილმა . . | „ | 200— |

**გასავალი:**

ვასესხეთ ტ. ირემაძეს . . . . . . . . . მან. 200—
გავისტუმრეთ ვალი ბანკისა . . . . . „ 500—
თ. უშველიძემ გაიტანა შესანახ. მობარე-
ბული . . . . . . . . . . . . . . „ 50—
ვიყიდეთ მაგიდა. . . . . . . . . . „ 20—

ჩავსწეროთ ეს მაგალითები დავთარში აქტივისა და პასსივის განაწილებით. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ცოტა ადგილის დაჭერისათვის ტექსტი ანუ აღნუსხვა იმისა, თუ ვისგან შემოვიდა ან ვის მიეცა ფული, იწერება დავთრის შუაგულსა. ტექსტი ყოველთვის უნდა იწერებოდეს მოკლედ, მაგრამ ყველასათვის გასაგებათ.

| შემოსავალი. პასსივი. | შემოსავალი. აქტივი. | | გასავალი. პასსივი. | გასავალი. აქტივი. |
|---|---|---|---|---|
| 4000 | | მივიღეთ სახელმწ. ბანკიდან . . . . . . . . | | |
| 100 — | | შესანახათ გ. ვეფხვაძისაგან . . . . . . . . | | |
| 4 50 | | %% ტ. ირემაძისაგან. | | |
| | | ვასესხეთ ტ. ირემაძეს. | | 200 — |
| | | გავისტუმრეთ სახელმწ. ბანკისა. . . . . . . . | 500 — | |
| | | თ. უშველიძეს შესანახათ მობარებული . . . . | 50 — | |
| | | ვიყიდეთ მაგიდა. | | 20 — |
| | 200 — | დაგვიბრუნა სესხი ს. ივანიაშვილმა . . . | | |
| 4104 50 | 200 — | | 550 — | 220 — |

რასაკვირველია, დავთარში უნდა აღინიშნოს რიცხვიც,

როცა ფული შემოდის ან გადის. ჩვენ აქ ეს არ აღგვინიშნავს; ვსთქვათ, ყოველივე ეს მოჰხდა ერთ დღეს. როგორც ჰხედავთ, ჩვენთან შემოსულა სულ მან. 4304 – 5 კ.; აქედან პასსივის ანგარიშებს შეეხება მან. 4104—50 და აქტივისას მან. 200; გასულა სულ მან. 770, რომელთაგან პასსივისა მან. 550, აქტივისა—მან. 220.

როცა კარგად დაუკვირდებით საქმის ვითარებას, დავინახავთ, რომ შემოსავალ-გასავლის მარტო პასსივსა და აქტივზე დაყოფაც საკმარისი არ არის ჩვენის ანგარიშის წარმოებისათვის.

ზევით სულ ხუთიოდე ციფირი ჩავსწერეთ როგორც შემოსავალში, ისე გასავალში. იმათი დანაწილება ჯგუფ-ჯგუფათ, ე. ი. იმის მიხედვით და იმის გასაგებათ, თუ რამდენი ფული გვაქვს მობარებული შესანახათ, რამდენი გვისესხია, რამდენი აგვიღია სარგებელი და სხვ. და სხვ.—ადვილია. მაგრამ მთელის წლის განმავლობაში ათასობით ჩაიწერება ციფირები, როგორც შემოსავალში, ისე გასავალში; მათი დაყოფა წლის დამლევს ჯგუფებათ ძნელიც იქნება და ბევრ, ძლიერ ბევრ, დროსაც მოითხოვს.

ესეც არ იყოს, ჩვენთვის მუდამ ჟამს საჭიროა ვიცოდეთ —რამდენი გვმართებს ვალი, რამდენი თავისუფალი თანხა გვაქვს, რამდენი გვაქვს გასესხებული, აღებული ან მიცემული სარგებელი და სხვ.

აი ამ მოსაზრებით შემოსავალ-გასავლის დავთარი, რომელიც უმთავრესი დავთარია წვრილ კრედიტის დაწესებულებაში, დაყოფილია არა ორ და ოთხ ნაწილათ, არამედ იმდენ ნაწილათ, რამდენი სხვა-და-სხვა გვარ ანგარიშის წარმოებაა საჭირო და შემოღებული ამ დაწესებულებაში. ამ ნაწილებში ორი უმთავრესია: შემოსავალი და გასავალი. თითოეული ამ ნაწილთაგანი თავის მხრივ იყოფა ორ-ორ ნაწილათ: აქტივი და პასსივი. როგორც აქტივი, ისე პასსივი აგრეთვე იყოფიან იმდენ ნაწილათ, რამდენს ერთგვარ ჯგუფს წარმოადგენს თითოეული იმათგანი. თითოეულ ნაწილს ეწოდება ანგარიში. ამ-

ბობენ ხოლმე, კასის ანგარიში, გაცემულ სესხის ანგარიში, გარდამავალ თანხების ანგარიში და სხვ.

ქვევით ჩვენ მოგვყავს ფორმა შემოსავალ-გასავლის დავთრისა, რომელსაც ხმარობენ შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობაში. ამასთანავე აქ აღნუსხულია მაგალითებიც, რომელთანაც შემდეგში გვექნება საქმე.

## ფორმა შემოსავალ-გასავლის დავთრისა.

(იხ. დიდი ცხრილი შემოსავალ-გასავლის დავთრისა).

**ესი შემოს.-გას. ავთრის წარმოებისა.**

როგორც მოყვანილ ფორმიდან სჩანს, მთელი ჩვენი შემოსავალი და გასავალი დანაწილებულია ჯერ აქტივათ და პასსივათ და მერე მრავალ სხვა-და-სხვა ანგარიშათ. ორ უჯრის მაგიერ (ე. ი. შემოსავალ-გასავალი), რასაც უბრალო დავთარში ვხედავთ, აქ სულ 42 უჯრაა და, ზოგი ანგარიში რომ არ გამოგვეტოვებინა (საშუამავლო ოპერაციები), კიდევ მეტი იქნებოდა. როგორც ჰხედავთ, შემოსავლის-გასავლის დავთარში შუაზე იწერება ტექსტი („ვისგან მივიღეთ და ვის მივეცით"), თვე და თვის რიცხვი და მუხლები ოპერაციებისა რიგ-რიგით: 1, 2, 3, 4 და სხვ. ყოველ დღე შემოსავალს და გასავალს უკეთდება ჯამი (უჯრები 16 და 40); გარდა ამისა იწერება ყოველ დღე რაოდენობა კასაში ნაღდათ დარჩენილ ფულისა (41). თითოეულ ანგარიშს თვის ბოლოს და ყოველ გვერდზე უკეთდება ჯამი; გვერდის ჯამი გადადის მეორე გვერდზე და თავში იწერება და იმის ქვეით იწერება ყოველ დღიური მოძრაობა. გვერდის გათავების შემდეგ, ჯერ გამოგვყავს ამ გვერდზე დაწერილ ციფრების ჯამი და მერე იმას მივუმატებთ ჯამს ამ გვერდზე გადმოსულს და თავში დაწერილს. ჯამის ყოველ გვერდზე გამოყვანას და შემდეგ გვერდზე გადატანას ის მნიშვნელობა აქვს, რომ წლის ბოლოს ბევრი მუშაობა აღარ დაგვჭირდება, ჯამები უკანასკნელ გვერდამდის სულ გამოყვანილი გვექნება. ამასთანავე, როცა ჯამები გამოყვანილია, რისამე ჩამატება ან ამოშლა წინანდელ ჩაწერილში აღარ შეიძლება ისე, რომ შეუმჩნეველი დარჩეს და გავლენა არ იქონიოს შემდეგ გამოყვანილ ჯამებზე. ამნაირად ფრთა ეკვეცება ყოველსავე ბოროტ-განზრახვას, რისმე მიმალვას, მიფუჩეჩებას.

როგორც ვსთქვით, შემოსავალ-გასავლის დავთარში იწერება რაოდენობა კასაში დარჩენილ ნაღდ ფულისა (უჯ. 41). თუ დღეისათვის დარჩენილ ფულს (უჯ. 41) მიუმატებთ დღეს შემოსულ ფულს (უჯ. 16) და გამოვაკლებთ ჯამს დღეს გატანილ ფულისას (უჯ. 40), დაგვრჩება რიცხვი მაჩვენებელი კასაში დარჩენილ ფულის რაოდენობისა.

ასე, ჩვენს ფორმაში 10 იანვრისათვის კასაში იყო მან. 750—50. 10 იანვარს შემოვიდა (მუხ. 6 და 7) მან. 1000—10, გავიდა (მუხ. 6 და 8) 25 მან., დარჩა ნაღდათ მან. 1725—60 (მან. 750—50+1000—10 —25).

გამოვიყვანთ თუ არა დავთარში რაოდენობას კასაში დარჩენილ ნაღდ ფულისას, მაშინვე უნდა გავსინჯოთ – მართლა ამდენი დაგვრჩენია, თუ არა. თუ კასაში ამდენი არ აღმოჩნდა, მეტია ან ნაკლები, საჭიროა იმ წამსვე დაუბრუნდეთ დავთარს და ყოველი ციფრი, შემოსავალსა და გასავალში ნაჩვენები, გავსინჯოთ. საჭიროა მოვიგონოთ, მართლა იმდენი მივიღეთ ან გავეცით, რამდენიც გვიწერია, თუ არა. არც მარტო ჩვენს მეხსიერებას უნდა დავემყაროთ, საჭიროა ის საბუთებიც გავსინჯოთ, რითაც მივიღეთ ან გავეცით ფული, თუ ასეთი საბუთები არის. აღმოვაჩენთ თუ არა შეცდომას, იგი მაშინვე უნდა გასწორდეს.

შემოსავალ-გასავლის დავთრიდან ადვილია ყოველ წუთში გაგება ჩვენის ანგარიშების მდგომარეობისა. ასე, თუ გვინდა ვიცოდეთ, რას უდრის ჩვენი პასსივი, ე. ი. რა საღსრის პატრონი ვართ, საჭიროა შემოსავალში ნაჩვენებ პასივის ჯამს გამოვაკლოთ ჯამი გასავალში ნაჩვენებ პასსივის ანგარიშებისა; თუ გვინდა ვიცოდეთ აქტივის ანგარიშების მდგომარეობა, პირ-იქით, გასავალში ნაჩვენებ აქტივის ანგარიშების ჯამს უნდა გამოვაკლოთ ჯამი შემოსავალში ნაჩვენებ აქტივის ანგარიშებისა.

ამნაირად ყოველთვის შეგვიძლია ვიცოდეთ ჩვენის ამხანაგობის ანგარიშია მდგომარეობა, ანუ ბალანსი.

აი, მაგალითად, შევადგინოთ ჩვენ მიერ მოყვანილ ფორმიდან ბალანსი 31 დეკემბერს 1913 წ.

როგორც ზევით ვსთქვით, თუ გვინდა ვიცოდეთ, რამდენია პასსივის რომელსამე ანგარიშზე ან საზოგადოთ პასსივში, შემოსავალს პასსივისას უნდა გამოვაკლოთ პასსივის გასავალი და, პირ იქით, თუ გვინდა აქტივის გაგება, გასავალს აქტივისას უნდა გამოვაკლოთ შემოსავალი.

## პ ა ს ს ი ვ ი.

| | შემოსავალი: | გასავალი: | დანარჩენი: |
|---|---|---|---|
| ძირითადი თანხა: | მან. 1025— | მან. 25 | მან. 1000— |
| სათადარიგო „ | „ 300— | „ — | „ 300— |
| შესანახ. მობარებული | 1050— | „ 50 | „ 1000— |
| ვალი | 1000— | „ 1000 | „ — — |
| გარდამავ. თანხები | „ 20— | „ 10 | „ 10— |
| მოგება და $^0/_0{}^0/_0$ | 202-55 | „ 146-85 | „ 55-70 |
| | | | სულ 2365-70 |

## ა ქ ტ ი ვ ი.

| | გასავალი: | შემოსავალი: | დანარჩენი: |
|---|---|---|---|
| შენახული საკრედ. დაწ-ში | მან. 203— | მან. 100— | მან. 103— |
| სარგებ. ქაღალდ. | „ 225— | „ 225— | „ — — |
| სესხი . . . . . | „ 1060— | „ 110— | „ 950— |
| ქონება . . . . | „ 150— | „ 15— | „ 135— |
| ხარჯები . . . . | „ 146-85 | „ 146-85 | „ — — |
| | | | სულ 1188— |
| | | | კასაშია ნაღდათ 1177-70 |
| | | | სულ 2365-70 |

აქაც ვხედავთ, რომ ჯამი პასსივისა უდრის ჯამს აქტივისას (2365 მ. 70 კ.) და ამასთანავე ვიცით, რა ანგარიშით რამდენი გვაქვს 1 იანვ. 1914 წლ. მიღებული ან გაცემული. უკანასკნელი სვეტები მოყვანილ ცხრილისა წარმოადგენს ბალანსს 1 იანვრისათვის 1914 წ.

**ანგარიშის გადატანა.** უმეტეს შემთხვევაში შემოსავალ-გასავლის დავთარში იწერება კასაში შემოსულ და

გასულ ფულის ტრიალი. მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როცა კასას სრულებით არ ვეხებით.

მაგალითად, ვინმე გ. ფუტკარაძე გვწერს: თქვენთან შენახული მაქვს 200 მან.; გთხოვთ აქედან ჩამოსწეროთ 100 მან. ივ. ჩიტაძის ვალის გასასტუმრებლად, რადგან მაგ ვალის გადახდის თავდები მე ვარო. რა გვექნება ამის წინააღმდეგი? შემოსავალ-გასავლის დავთარში კი ეს შემთხვევა ასე ჩაიწერება: გასავალში უჯრაში „შესანახათ მობარებული“ (პასსივი) ჩავსწერთ 100 მ. (ტექსტი: „ჩამოიწერა თანახმად გ. ფუტკარაძის წერილისა მის ანგარიშიდან“) და შემოსავალში უჯრაში „სესხი“ (აქტივი) ჩავსწერთ 100 მ. (ტექსტი: „ჩაიწერა ივ. ჩიტაძის ვალის გასასტუმრებლად“).

თითქოს ჯერ გამოვიტანეთ კასიდან ფული და მერე ისევ შევიტანეთ. ნამდვილად კი არც გამოგვიტანია და არც შეგვიტანია—ერთის ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე გადავწერეთ. ასეთი შემთხვევა ანგარიშის წარმოებაში ხშირად შეგვხვდება. ფულის ერთ ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე გადარიცხვას კასის ხელშეუხებლად უწოდებთ ანგარიშის გადატანას.

აი კიდევ მაგალითები ანგარიშის გადატანისა: ს. ტურაშვილს ვასესხეთ 100 მ. აქედან დავიჭირეთ სარგებელი 5 მ., მივიბარეთ შესანახათ 50 მან. და დანარჩენი 45 მან. გარდამავალ თანხების ანგარიშზე ჩავწერეთ, სანამ აუფერმანი (მანქანების ფირმის პატრონია) მოიკითხავდეს.

როგორ ჩავსწეროთ ეგ ოპერაცია დავთარში? სესხი გავეცით, ჩვენგან კი ერთი კაპიკიც არ გასულა.

გასავალში უჯრაში „სესხი“ ჩავსწეროთ 100., შემოსავალში „სარგებელი“—5 მ., „შესანახათ მობარებული“ 50 მ. და „გარდამავალი თანხები“—45 მან.

ჩვენს მოყვანილ ფორმაშიაც არის ასეთი შემთხვევები. მაგალ., 31 დეკ. დავითვალეთ სარგებელი მობარებულ ფულისა 1 იანვრამდის (10 მ.); მაგრამ იგი არავისათვის მიგვიცია, ჩავრიცხეთ გარდამავალ თანხების ანგარიშზე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს უმთავრესი წესი ანგარი-

შის წარმოებისა: ყოველივე უნდა ჩაიწეროს მაშინვე, როგორც კი მივიღებთ ვისგანმე ან მივსცემთ ვისმე. ყოველ დღე, მუშაობის გათავების შემდეგ, ჯამი უნდა გაუკეთოთ როგორც შემოსავალს, ისე გასავალს და გამოვიანგარიშოთ დარჩენილ ფულის რაოდენობა. მოიანგარიშეთ ნაღდი ფულიც და, თუ არ ეთანხმება დავთარს, შეცდომა იმ დღესვე იპოვნეთ და შეასწორეთ.

არ არის სხვა საქმე ისეთი, რომელიც მოითხოვდეს მომუშავისაგან იმდენ მუყაითობას, როგორც ანგარიში. ერთი შეცდომა სულ აურ-დაურევს საქმეს. ამისათვის უნდა ვეცადოთ ყოველივე თავის დროზე შეგვქონდეს დავთარში. შემოსავალ-გასავლის დავთარი უმთავრესი დავთარია ჩვენს საქმეში; ამიტომ იმას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

# კერძო ანუ დამხმარე დავთრები.

ყოველი ციფრი, ყოველი ოპერაცია, რაც წვრილ კრედიტის დაწესებულებაში სწარმოებს, უსათუოდ იწერება შემოსავალ-გასავლის დავთარში. მაგრამ ეს დავთარი სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ანგარიში მუდამ რიგზე იყოს და ყოველი საჭირო ცნობა მოგვაწოდოს.

შემოსავალ-გასავლის დავთარი გვიხატავს, როგორც საზოგადო სურათს ჩვენის შემოსავალ-გასავლისას, ისე შემოსავალს და გასავალს თითოეულ ერთგვარ ოპერაციისას კერძოდ. ხოლო ჩვენთვის, მთელ ერთგვარ ჯგუფის ოპერაციის ვითარების გაგების გარდა, აუცილებლად საჭიროა კერძო პირთა ანგარიშის მდგომარეობის ცოდნაც, თუმცა ამ პირს შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი და სულ სხვა-და-სხვა დროს ჰქონდეს საქმე ჩვენთან.

ამ დანიშნულებას კი სავსებით ვერ ასრულებს შემოსავალ-გასავლის დავთარი. ჩვენ რომ გვინდოდეს, მაგალ., გაგება იმისი, თუ რამდენი ჰმართებს ამხანაგობისა ვინმე სილაძეს, შემოსავალ-გასავლის დავთრიდან ამის გაგება ძლიერ გაგვიჭირდება. ბ-ნი სილაძე წლის განმავლობაში შეიძლება ათჯერ იყო ამხანაგობაში: ხან სესხულობდა, ხან ვალს ისტუმრებდა. ყოველისავე ამის თავის მოყრა შემოსავალ-გასავლის დავთრიდან, სადაც ყველაფერი იწერება ქრონოლოგიურად, ე. ი. დროის მიყოლებით და არა კერძო პირთა ანგარიშის მიხედვით, ბევრ დროს მოითხოვს და ძნელიც იქნება ჩვენთვის. ეს ითქმის სხვა ანგარიშების შესახებაც, მაგალ., შესანახათ მობარებულ ფუ-

ლის შესახებ და სხვ. შეიძლება 700—800 წევრი გვეყოლოს, ვინ იცის, როდის და რამდენჯერ იქმნებოდა თითოეული იმათგანი ამხანაგობაში და ყოველ ამათ საქმის ერთბაშად ამოკრება შემოსავალ-გასავლის წიგნიდან შეუძლებელია.

ამიტომ საჭიროა შემოსავალ-გასავლის დავთართან ერთად გვქონდეს თითოეულ ამ დავთარში მოთავსებულ ანგარიშის შესაფერი კერძო დავთრებიც, სადაც თითოეულ პირის ანგარიში ცალკე უნდა იწერებოდეს და აქ თავს უნდა იყრიდეს ყველა ერთგვარი ოპერაცია, ამ პირის მიერ წარმოებული.

ზოგს ასეთს დავთარში იწერება ისეთი ცნობანი, რომელნიც საჭიროა შემოსავალ-გასავლის დავთარში ჩაწერის წინად და ზოგში ისეთი, რომელიც ავსებს შემოსავალ-გასავლის დავთარში ნაჩვენებ ცნობას და ხელს გვიწყობს, ამა თუ იმ ოპერაციის შესახებ უფრო ვრცელი ცნობანი მივიღოთ, ვიდრე ეგ შესაძლებელია შემოსავალ-გასავლის დავთრიდან. ამიტომ ზოგი რუსის ავტორი ყველა ამ დავთარს სამ ჯგუფად ჰყოფს: წინასწარი დავთრები, დამატებითი დავთრები და დამხმარე დავთრები.

თავი გავანებოთ დავთრების კატეგორიებათ დაყოფას და ყველა დავთარს, შემოსავალ-გასავლის დავთარს გარდა, რომელიც თავი დავთარია ამხანაგობაში, უწოდოთ კერძო ან დამხმარე (თუ პირდაპირ ვთარგმნით რუსულიდან — вспомогательныя იქნება დამხმარე) დავთრები.

ასეთი დავთრებია:

1. დავთარი წევრთა,

2. დავთარი სესხის მოთხოვნილებათა,

3. დავთარი მსესხებელთა პირადის ანგარიშებისა,

4. დავთარი შესანახათ მობარებულ ფულის პირადის ანგარიშებისა,

5. დავთარი ვალის ვადებისა,

6. დავთარი ვალისა,

7. დავთარი ინვენტარისა ანუ ქონებისა,

8. დავთარი გარდამავალ თანხებისა,

9. დავთარი მართვა გამგეობის ხარჯებისა,

10. დავთარი სარგებლიან ქაღალდებისა,

11. დავთარი ანდერძისა და შესანახათ მობარებულ ფულის პირობათა აღსანიშნავად,

12. წიგნაკი შესანახად მობარებულ ფულისა,

13. წიგნაკი წევრისა,

14. დავთარი საკრედიტო დაწესაბულებანში შესანახად მიბარებულ ფულისა.

ზოგი ამხანაგობა, ჩამოთვლილ დავთრებს გარდა, აწარმოებს კასის დავთარსაც. მე ეგ მეტად მიმაჩნია, განსაკუთრებით პატარა ამხანაგობისათვის, თუ ყოველივე ოპერაციის დროსვე გადაგაქვთ შემოსავალ-გასავლის დავთარში; შემოსავ.-გასავ. დავთარი იმავე დროს კასის დავთარიცაა.

სპეციალური ანგარიშები (მაგალ., საშუამავლო ოპერაცია) სპეციალურ დავთრების წარმოებას მოითხოვს, მაგრამ იმათ ქვეით შევეხებით.

მარტო ჩამოთვლა იმ დავთრებისა, რაც წვრილ კრედიტის დაწესებულებაში უნდა იქმნას წარმოებული, კაცს გულს გაუტეხს. „ერთის დავთრის წარმოების წესის შესწავლაა ძნელი და ამდენს ვინ შეისწავლისო", იკითხავს ზოგი. ასეთნი ახლავე უნდა ვანუგეშოთ მით, რომ თუ სიძნელეა რამ, ისევ შემოსავალ-გასავლის დავთარია, ხოლო წარმოება დანარჩენ დავთრებისა სულ ადვილი საქმეა. საკმარისია გადაშალოთ რომელიმე კერძო დავთარი და მოხაზულობა იმისი თითონ დაგანახვებთ, სად რა უნდა ჩასწეროთ.

1. **დავთარი წევრთა**. ამ დავთარში იწერება წევრთა (ამხანაგთა) სია, ე. ი. ცნობანი წევრთა რიცხვისა და კრედიტის რაოდენობისა და ყოველივე ცვლილება ამ ცნობათა. ამ დავთარში აღინიშნება შემდეგი ცნობანი: წელი, თვე და თვის რიცხვი წევრათ მიღებისა, კრედიტის მომატებისა და დაუქმებისა. წევრები იწერება რიგზე, მუხლობრივ, იმის მიხედვით, თუ ვინ უწინ შემოვიდა: 1, 2, 3, 4 და სხვ. (ე. ი. წევრი პირველი, წევრი მეორე და სხვ.): იწერება წევრის გვარი, სა-

ხელი და მამის სახელი, წოდება და ბინადრობა; რამდენი კრედიტი გადაუწყვიტეს; ცვლილებანი კრედიტის შესახებ—მომატება, მოკლება და დაუქმება; რაოდენი კრედიტი გადაუწყვიტეს პირადათ, რამდენის თავდებობის უფლება მიეცა. აი ფორმაც ამ დავთრისა: (იხილე ფორმა № 2)

**2. დავთარი სესხის მოთხოვნილებათა**. არსად არ არის ისეთი დაწესებულება, რომელსაც განუსაზღვრელი შეძლება ჰქონდეს. თუ დაწესებულება დიდია, მოთხოვნილებაც ბევრი მისდის, თუ პატარაა—უფრო ცოტა. ყოველ შემთხვევაში დაწესებულებისათვის საჭიროა იცოდეს წინდაწინვე რაოდენობა მოთხოვნილებათა, რათა შეაფასოს ეგ მოთხოვნილებანი და ისე დააკმაყოფილოს.

ამ დანიშნულებას ემსახურება დავთარი სესხის მოთხოვნილებათა. ამ დავთარში იწერება ზეპირი ან წერილობითი განცხადება წევრისა სესხის მიღების შესახებ. გამგეობა ან საბჭო დანიშნულ დროს განიხილავს ყველა ამ დავთარში შეტანილ განცხადებას და შესაფერ გარდაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც შემდეგ მოყანილი იქნება სისრულეში.

ამ დავთარში უნდა აღინიშნოს დრო, თუ როდის განაცხადა წევრმა სურვილი სესხის გატანისა, რიგი მაღებულ განცხადებათა, სახელი და გვარი, გვერდი პირადის ანგარიშის დავთრისა (თუ საჭირო იქნება, გამგეობა გადაათვალიერებს იმის ანგარიშს: რამდენი ჰმართებს, ვალის გადახდაში პირიანია თუ არა და სხვ), რამდენს თხოულობს, რა დანიშნულებისათვის, ვინაა თავდები ან რას აგირავებს და დადგენილება სესხის მიცემისა.

ფორმა ამ დავთრისა:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| Когда заявлено о ссудѣ<br>როდის განაცხადეს სესხის აღება მინდათ<br>Годъ, мѣсяцъ и число<br>წელიწადი თვე და რიცხვი | №№ по порядку заявленій<br>განცხადების №№ მუხლობრივ | Фамилія или прозвище заемщика и обозначеніе первыми буквами имени и отчества<br>გვარი მსესხებლისა და აღნიშვნა პირველ ასოებით სახელისა და მამის სახელისა | № лицевого счета по ссудамъ<br>სესხის პირადი ანგარიშის № | Испрашивается ссуда<br>თხოულობს სესხს<br>Въ суммѣ<br>რაოდენობისა<br>Руб.<br>მან. | На какой предметъ<br>რა საჭიროებისთვის | На какой срокъ (на сколь. мѣс.)<br>რა ვადით (რამდენი თვით) |
| 1913 წ. იანვრის 9 | 2 | ვეფხვაძე ი. ა. | 2 | 10 | —<br>(რაკი 10 მანეთზე მეტი არ არის, არ ვეკითხებით რა საჭიროებისათვის) | 1 თვით |

| 8 | 9 | 10 | 11 | | 12 |
|---|---|---|---|---|---|
| Кто поручитель № или названiе заклада<br>ვინაა თავდები, № ან რას აგირა-ვებს | Постановлено выдать въ ссуду<br>გადაწყვეტ. მიეცეს სესხი | | Когда ссуда выдана<br>როდის მიეცა სეს-ხი | | Замѣтки<br>შენიშვნები |
| | На сколько мѣсяцевъ<br>რამდენ თვით | Сумма<br>რაოდენობა<br>Руб.<br>მან. | Мѣс.<br>თვე | Число<br>რიცხვი | |
| — | 1 | 10 | იანვრ. | 10 | |

3. **დავთარი მსესხებელთ პირადის ანგარიშებისა.** თითოეულ წევრს ამ დავთარში თითოეულ გვერდზე ეწერება ანგარიში აღებულის ვალისა და გასტუმრებულისა. ყოველ წამს აქედან უნდა სჩანდეს, რამდენი ჰმართებს წევრს ჩვენის ამხანაგობისა.

იხილეთ ფორმა № 3:

**4. დავთარი შესანახათ მობარებულ ფულის პირად ანგარიშებისა**. თუ სესხის დავთარში თითოეულ **პირს** მიუჩინეს ცალკე ანგარიში და იქ იწერება მისი გატანილ და შემოტანილ ფულის (ვალის) მდგომარეობა, აქ „პირადი“ ანგარიში მიჩენილი აქვს არა პირს, არამედ ფულს. ასე, რომ შვიდჯერ შემოიტანოს ვინმე გოგიაძემ შესანახათ ას-ასი მანეთი, უნდა მიჩენილ ექმნას შვიდი ანგარიში. №№ აქ იწერება რიგ-რიგათ, რასაკვირველია. დანარჩენს თვით ფორმა ამ დავთრისა პირდაპირ გვეუბნება:

Вкладъ № 1 Разрядъ 1 Срокъ

შესანახად მობარებული ფული. — ხარისხი — ვადა

(Какой документъ выданъ).
(რა საბუთი მიეცა).

Фамилія, имя, отчество ირემაძე ნიკოლოზ

გვარი, სახელი, მამის სახელი

Подпись вкладчика

ხელის მოწერა ფულის მო-მბარებელისა

(ხელს, მოაწერს თუ

| 1 | | 2 | 3 | | 4 | | 5 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Когда внесено или выдано / როდის შემოიტანა ან როდის მიიღო — Годъ, мѣсяцъ и число / წელ. თვე და რიცხვი | | № стр. приходо-расходной книги. / შემოსავალ-გასავლის დავთარში გვერდ. № | Сумма внесеннаго вклада / რაოდენობა შემოტანილ ფულისა | | Сумма выданнаго вклада / რაოდენობა დაბრუნებულ ფულისა | | Остатокъ вклада / რამდენი დარჩა | |
| | | | Руб. მან. | К. კ. | Руб. მან. | К. კ. | Руб. მან. | К. კ. |
| 1913 წ. | | | | | | | | |
| იანვარ. | 15 | 9 | 50 | — | — | --- | 50 | — |
| დეკემბერ. | 28 | 34 | — | -- | 50 | — | — | — |

ექვსის თვით ........ Изъ 6 სარგებლი %

ზაალის ძე ........

წერა იცის)

| 6 | | 7 |
|---|---|---|
| Сумма процентовъ<br>რაოდენობა სარგებლისა | | Росписка вкладчика въ полученіи вклада и процентовъ.<br>ხელის მოწერა ფულის პატრონისა—თავნი და სარგებელი მივიღე. |
| Руб.<br>მან. | к.<br>კ. | |
| — | — | |
| 2 | 50 | |

5. **დავთარი ვალის ვადებისა**. ცხადია, თუ პირნათლად გვინდა გამოვიდეთ ჩვენს მევალეებთან (კრედიტორებთან), თვალყური უნდა გვეჭიროს —ვადა ვალისა არ გამოგვეპაროს. ხშირად მდიდარიც დაუდევრობის გამო ჰკარგავს ხოლმე ნდობას. ამისთვის არსებობს დავთარი ვადებისა, როგორც ვალისა, ისე შესანახათ მობარებულ ფულისა. ეს მობარებულიც ხომ ვალია ჩვენი და კარგი გამგე ამხანაგობისა ამ ვადებსაც უნდა თვალს ადევნებდეს, რათა მუდამ მზად იყოს დააკმაყოფილოს მოთხოვნილება. ჩვენ ორივე ვადებს—ვალისას და შესანახათ მობარებულ ფულისას, ერთს დავთარში ვაერთებთ.

| მარტისა | | | | აპრილისა | | | | მომავალის წლისა | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რა რიცხვსა | ვალია თუ მო-ბარებ. ფული | № საბუთისა | რამდენია | რა რიცხვსა | ვალია თუ მობა-რებ. ფული | № საბუთისა | რამდენია | წელიწადი | თვე და თვის რი-ცხვი | ვალია თუ მობა-რებ. ფული | № საბუთისა | რამდე-ნია |
| 10 | ვალი სას. ბა-ნკისა | | 1000— | | შესანახ. მობარებუ-ლი | | | | დეკე-მბრ. | შესან. მობარ. ფული | 16 | 1000— |
| — | — | — | — | 15 | | 12 | 100 | 1914 | 28 | | | |

ზოგს ამხანაგობას აქვს ასეთივე დავთარი იმის ვადების თვალყურის სადევნებლათ, თუ როდის დგება ვადა ამხანაგობის მოვალეებისა... ეს არ არის საჭირო, თუ თვით ვალდებულების ქაღალდები (ხელწერილები) იქნება დაწყობილი რიგზე ვადის მიხედვით, ე. ი. ჯერ 1 იანვარს, მერე,—2 იანვარს და სხვ.

6. **დავთარი ვალისა**. ამ დავთარში იწერება ჩვენის ვალების ვითარება, ე. ი. როდის ვისესხეთ, ვისგან ვისესხეთ, რამდენი ვისესხეთ, რამდენს სარგებელს ვიხდით, როდის გავისტუმრებთ.

იხ. ფორმა № 4:

**7. დავთარი ინვენტარისა ანუ ქონებისა.** აქ იწერება ისეთი ქონება ამხანაგობისა, რომელიც რამდენსამე წელიწადს იკმარებს და ამიტომ ხარჯშიც შედის ნაწილ-ნაწილ. ჩვეულებრივ წელიწადში შეაქვთ ხარჯში, ე. ი. ჩამოსწერენ ხოლმე პირვანდელ ღირებულებიდან 10% პროცენტს. რაც დარჩება, ის გადაიწერება მეორე წლის დამდეგს შემდეგს უჯრაში (იხილე ქვეით უჯრები 7, 11, 15 და 19), რომელშიაც იწერება აგრეთვე ამ წლის განმავლობაში ნაყიდი ქონება; ამ წლის გასულს კვლავ ჩამოიწერება 10% და გადადის შემდეგს უჯრაში და სხვ. ქვეით დაინახავთ, რომ 1913 წ. ვიყიდეთ შკაფი, ღირებული 150 მან. წლის დამლევს (მუხ. 37) ჩამოვწერეთ ხარჯათ 10%, ე. ი. 15 მან, დარჩა 135 მან. რაიცა შეადგენს ჩვენის ქონების ღირებულებას 1914 წლის თავში. რასაც ამ წლის განმავლობაში ვიყიდით, იმასაც ამ უჯრაში ჩავსწერთ, მაგ. 35 მან. ხოლო 1914 წლის დამლევსაც კვლავ ორივე ქონების ღირებულებიდან ჩამოვსწერთ 10%, ე. ი. 18 მან. 50 კ. (15+3 მ. 50 კ.) და დანარჩენი იქნება ღირებულება ქონებისა 1915 წლის თავში და სხვა.

იხილე ფორმა № 4.

8. **დავთარი გარდამავალ თანხებისა.** ამ ანგარიშზე და ამ დავთარში იწერება ისეთი თანხები, რომელიც დროებით და შემთხვევით არის დაწესებულებაში და მალე ან გატანილი იქნება ან სხვა ანგარიშზე იქნება გადატანილი. მაგალ. ვაგროვებთ ფულს წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ და, როცა განსაზღვრული თანხა შეგროვდება, დანიშნულებისამებრ უნდა გავგზავნოთ. კიდევ მაგალითი: დღეს ჯამაგირი უნდა მიეღო მოანგარიშეს. რადგან არ მოსულა თავის დროზე, დაუწერთ გარდამავალ ანგარიშზე. როცა მოვა, მიიღებს (ხარჯებში კი დღევანდელი რიცხვით ჩავწერეთ) გარდამავალ ანგარიშიდგან.

იხილე ფორმა დავთრისა № 6.

**9. დავთარი გამგეობის ხარჯებისა.** ამ დავთარში იწერება ყველა ხარჯი, რაიცა ამხანაგობის მართვა-გამგეობაზე დაიხარჯება. ვინც ამხანაგობაში იქნება, ფულის მიღებაზედ იქვე მოაწერს დავთარში ხელს, ხოლო ვისაც ისე მიეცემა ფული ან ფოსტით გაეგზავნება, საჭიროა გამოერთვათ კვიტანცია ან ანგარიში (სავაჭროებს). კვიტანცია ან ანგარიში შეიძლება მიეწებოს, ან ჩაკერდეს დავთრის ბოლოში, ხოლო საჭიროა ამ საბუთების დანომრვა 1, 2, 3 და სხვ.

ფორმა დავთრისა:

| 1 | | 2 | 3 | 4 | | 5 | | 6 | | 7 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Годъ, мѣсяцъ и число. წელიწადი, თვე და რიცხვი | | № ст. приходо-расходной книги № შემოსავალ-გასავლის წიგნისა | Кому и за что выдано<br>ვის და რის-თვის მიეცა | **Расходы по управ** მართვა-გამგეობის ხარ<br>Вознагражденіе Правленію и Совѣту<br>სასყიდელი გამგეობას და საბჭოს | | Вознагражденіе служащимъ въ т-вѣ по найму. დაქირავებულ მოსამსახურე-თა სასყიდელი | | Дѣлопроиз., судебные, почтов., герб. и векс. сборы, разъѣз., публик и пр.<br>საქმის საწარმოებ., სასამართ., ფოსტ.-ტელეგრ. გადასახ., წარ.-მოს., გამოცხად. და სხვ. | | Наемъ, содерж. страх. и ремонтъ по-мѣщеній и имущества<br>სახლის ქირა, დაზღვევა და შეკეთება სახლისა და ქონებისა | |
| | | | | Р.<br>მან. | К.<br>კ. | Р.<br>მან. | К.<br>კ. | Р.<br>მან. | К.<br>კ. | Р.<br>მან. | К.<br>კ. |
| | | | Переносъ . .<br>გადმოტანილი . | | | | | | | | |
| 1913<br>იანვ. | 5 | 5 | საანგარაშთ დავთრ., ბლანკები და ვექს. . | — | — | — | — | 25 | 50 | — | — |
| „ | 31 | 15 | იანვრის სახლის ქი-რა . . . . . . . . | — | — | — | — | — | — | 5 | — |
| „ | 31 | 17 | ჯამაგირი მოანგარი-შეს იანვრისა . . . | — | — | 5 | — | — | — | — | — |

| 8 | | 9 | | 10 | | 11 | | 12 | | 13 | | 14 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ленію ჯები | | | | Расх. изъ приб. прошл. года ხარჯ. გასულ. წლის მოგებ. | | | | | | | | **Росписка въ полученіи денегъ** ხელის მოწერა ფული მივიღე |
| Погашеніе стоимости имущества ჩამოწერა ქონების ღირებულება | | | | Отчислено въ капиталы გადაირიცხა თანხებში | | Выдано награды მიეცა საჩუქრათ | | Выдано разнымъ учрежд. и лицамъ მიეცა სხვა და სხვა დაწესებულებას და პირს | | | | |
| Р. მან. | К. კ. | Р. მან. | К. კ. | Р. მან. | К. კ. | Р. მან. | К. კ. | Р. მან. | К. კ. | Р. მან. | К. კ. | |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | | — | — | ანგარიშში ჩაკერებულია ამ დავთრის ბოლოში № 2 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | ხუთი მან. მივიღე თ. ხაჰაპურიძე |
| — | — | - | — | — | — | — | — | — | — | — | — | ნ მან. მივიღე ივ. კაპეტაძე |

**10. დავთარი სარგებლიან ქაღალდებისა.** ამ დავთა[რ]-ში იწერება სარგებლიანი ქაღალდები, რომელსაც ამხანაგო[ბა] შეიძენს. გაყიდვაც ასეთ ქაღალდებისა აქვე აღინიშნება.

ფორმა სარგებლიან

Покупка.
ყიდვა.

| 1. Годъ, мѣсяцъ и число / წელიწადი, თვე და თვის რიცხვი | 2. №№ прих.—расх. книги / №№ შემოს.-გას. დავთრისა | 3. Названіе %% бумагъ / სახელ—წოდება სარგებლიან ქაღალდისა. | 4. Колич. листовъ. / რაოდენი ფურცლისა | 5. №№ %% бумагъ. / №№ სარგ. ქაღალდ. | 6. Номин. сумма / ნომინალური ფასი | 7. Покупная цѣна / ნაყიდობის ფასი | 8. Уплачено по купон. / გადავახდეთ კუპონებისა | 9. Марки, храненіе и страх. / მარკები, შენახვა და დაზღვევა | 10. Мѣсто храненія и № роспис. Госуд. Б. / სადაა შენახული და ხაზინის № | 11. Отмѣтка о продажѣ за № прих. кассы / გაყიდულის აღნიშვნა და კასის № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1913 დეკ. 5 | 25 | 4 % სახელმწ. რენტა | 3 | 173/501<br>173/502<br>173/503 | 300 — | 225 — | 3 50 | | | |

ქაღალდების დავთრისა.

Продажа.
გაყიდვა.

| 12. Годъ, мѣсяцъ и число / წელიწადი, თვე და თვის რიცხვი | 13. №№ прих.—расх. книга / №№ შემოსვ.—გასვ. დავთრისა | 14. Названіе o/o o/o бумагъ / სახელ—წოდება სარგებლიან ქაღალდისა. | 15. Количество листовъ. რაოდენი ფურცელთა | 16. №№ o/o o/o бумагъ / №№ სარგებლ. ქაღალდ. | 17. Номинальная цѣна / ნომინალური ფასი | 18. Покупная стоимотть / ნასყიდობის ფასი | 19. Прибыль / მოგება: Противъ покупн. стоим, / ნასყიდობ. შედარებ. | 20. Прибыль / მოგება: Выручено отъ купоновъ при прод. или размѣнѣ. / კუპონებისა ავლენ | 21. Убытокъ / ზარალი: При продажѣ противъ стоимости / ნასყიდობასთან შედარებით | 22. Примѣчаніе |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 913 ივლ. 28 | 31 | 4 o/o სახელმწ. რენტი | 3 | 173/501<br>173/502<br>173/503 | 300 — | 285 — | 60 — | — 80 | — - | — |

**11. დავთარი ანდერძისა და შესანახათ მობარებულ ფულის პირობათა აღსანიშნავად.** კერძო საკრედიტო დაწესებულებას რუსეთში უფლება არა აქვს ანდერძის მიღებისა შესანახად შემოტანილ ფულზე. ეგ უპირატესობა ეძლევა სახელმწიფო შემნახველ კასებს და წვრილ კრედიტის დაწესებულებასაც. ანდერძი იწერება განსაკუთებულ დავთარში. თქმა არ უნდა, როგორც ყოველივე პირადი ანგარიში წევრისა, ისე ანდერძიც საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს.

**ფორმა დავთრისა:**

| Годъ, мѣсяцъ и число. წელიწადი, თვე და თვის რიცხვი. | №№ по порядку. ნომრები მუხლობრივ | **Фамилія, имя и отчество.** გვარი, სახელი და მამის სახელი. | № Вклада. № შესანახათ მობარებულ ფულისა. | **Содержаніе завѣщательныхъ распоряженій и условія выдачи вкладовъ.** შინაარსი საანდერძო განკარგულებათა და პირობა შენახულ ფულის მიცემისა. | Отмѣтка о перемѣнѣ завѣщательнаго распоряженія или о времени возврата вклада. აღნიშვნა ანდერძის შეცვლისა ან შეცვლილ იმ დროისა, როდესაც უნდა დაუბრუნდეს შესანახ. მობარებ. ფული |
|---|---|---|---|---|---|
| 1913წ. დეკ. 28 | 1 | ხიმშიაშვილი ლევან ზურაბის ძე | 2 | თავნსა და სარგებელს ჩემს სახელზე შემოტანილ ფულისას უანდერძებ და მიეცეს ჩემ სიკვდილს შემდეგ სოფ. ტაბელვანის მომხმარებელს საზოგადოებას საამხანაგო ფარდულების ასაშენებლათ აბრეშუმის პარკისათვის. ხელს ვაწერ ლევან ზურაბის ძე ხიმშიაშვილი. | |

**12. წიგნაკი შესანახათ მობარებულ ფულისა.** ეს პაწია წიგნაკია, რომელიც მიეცემა ყველას, ვინც ჩვენთან ფულს შეინახავს. აქ იწერება დრო ფულის შემოტანისა, ვადა, გატანა ფულისა და სარგებლისა, აღინიშნება რამდენი $^0/_0$ დავპირდით. წიგნაკზე ხელი უნდა მოაწერონ გამგეობის თავმჯდომარემ, ხაზინადარმა და მოანგარიშემ.

### ფორმა წიგნაკისა

გარედან:

**შესანახად მობარებული ფული № 2.**

ერთის წლით

6-$^0/_0$-თ

# წიგნაკი

### შესანახად მობარებულ ფულისა

ლევან ზურაბის ძის ხიმშიაშვილისა.

მიეცა კულაშის საკრედიტო ამხანაგობისაგან 28 დეკემბერს 1913 წელს.

ბეჭედი ამხანაგობისა

თავმჯდომარე გამგეობისა **სპ. არაბიძე**

ხაზინადარი **ელიზბ. თალგამაძე**

მოანგარიშე **ივ. კაპეტაძე**

**შიგნით:**

| 1 | 2 | 3 | | 4 |
|---|---|---|---|---|
| №№ შემოსავლისა | №№ გასავლისა | როდის შემოიტანა ან გაიტანა<br>წელი, თვე და თვის რიცხვი | | რამდენი (ასოებით დაიწეროს) |
| 33 | — | 1913 დეკ. | 28 | ათასი მანათი. |

| 5 | | 6 | | 7 | | 8 | | 9 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოტანა, ჩაირიცხა ან მიეცა | | რამდენი შემოტანა | | რამდენი გაიტანა | | დარჩა | | სარგებელი | |
| მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ |
| — | — | 1000 | — | — | — | 1000 | — | — | — |

13. **წიგნაკი წევრისა.** ეს წიგნაკი მიეცემა ყოველ წევრს ვინც ჩვენგან ფულს სესხულობს.

**პირველი გვერდი:**

# საწევრო წიგნაკი
## Разсчетная Книжка

კულაშის ........ **Ссудо-сберегат. Товарищества**
შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა

Выдано товарищу ივანე ვეფხვაძეს
მიეცა წევრს

Записанному 2 იანვარს 1913 г.
ჩაწერილს წ.

წევრთა დავთარში № 1
въ книгѣ товарищей за

| Годъ, мѣсяцъ и число / წელიწადი, თვე და თვის რიცხვი | Сумма назначеннаго кредита / გადაწყვეტილ კრედიტის რაოდენობა | | | Сумма кредита для поручительства за другихъ товарищей / რაოდენობა სათავდებო კრედიტისა | Сумма отвѣтственности по дѣламъ товарищества / რაოდენობა ამხანაგობის საქმეებში პასუხისმგებლობისა |
|---|---|---|---|---|---|
| | Полнаго (по всѣмъ видамъ ссудъ) / სრული (ყოველ-გვარ სესხის) | Полнаго, кромѣ ссудъ подъ залогъ произведеній труда заемъ. / სრული, გარდა მოვალეთა ნაწარმოების გირაოთი მისაცემ სესხისა | По личному довѣрію / პირადი ნდობით | | |
| | руб. მან. | руб. მან. | руб. მან. | руб. მან. | руб. მან. |
| 1913 წ. იანვ. 2 | 350 — | 200 — | 150 — | 200 — | 700 — |

| 1 | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Годъ мѣсяцъ и число წელიწადი თვე და თვის რიცხვი. | Паи. წილი. Внесено. შემოტანილი | | Состоитъ. აქვს. | | Дивиден. დივიდ. Выдано. მიეცა. | | %% и пени. %% და ჯარ. Уплачено. გადაიხადა. | | Возвращено დაუბრუნდა. | | Для какой надобности взята ссуда რა საჭიროებისათვის მიიღო სესხი. | ссуды. სესხები. Выдано. მიეცა. | Уплочено. გადაიხადა. | остается. რჩება. По личному довѣрію. პირადის ნდობით | За поручительствомъ. თავდებობით. | Подъ залогъ. გირაობის ქვეშ. | Сумма остроченной ссуды რაოდენობა ვადა გაგრძობილ სესხისა. | Сумма поручительства за другого. რამდენშია თავდები სხვისა. | Отмѣтка объ уплатѣ ссуды აღნიშვნა სესხის გადახდისა. | Срокъ ссуды. ვადა სესხისა |
| | Руб. მან. | К. კ. | Руб. მან. | К. კ. | Руб. მან. | К. კ. | Руб. მან. | К. კ. | Руб. მან. | К. კ. | | Руб. მან. | Руб. მან. | Руб. მან. | Руб. მან. | Руб. მან. | Руб. მან. | руб. მან. | | |
| 1913 2/I | 25 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 10/I | — | — | — | — | — | — | — | 10 | — | — | — | 10 | — | 10 | — | — | — | — | გადაიხ. | 10/2 |
| 20/I | — | — | — | — | — | — | — | — | — | 05 | — | — | 10 | — | — | — | — | — | — | — |

**14. დავთარი საკრედიტო დაწესებულებაში შესანახად მიბარებულ ფულისა.** ის საკრედიტო დაწესებულებანი, რომელშიაც ჩვენ ფულს შევინახავთ, თვითონ იძლევიან პატარა წიგნაკებს, სადაც აღინიშნება ჩვენი შეტანილი და გატანილი ფული. ამის მიუხედავათ უბრალო დავთარში მაინც უნდა ვაწარმოვოთ ანგარიში ამ დაწესებულებასთან. საკმარისია უბრალო დავთარში მარცხნივ ჩავსწეროთ——როდის და რამდენი შევიტანეთ, მარჯვნივ—როდის და რამდენი გამოვიტანეთ.

**სად შეიძლება ფულის შენახვა.** მეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, სად შეიძლება ფულის შენახვა. მეტის ფულის კასაში დატოვება მოუხერხებელიცაა და საზარალოც. საკრედიტო დაწესებულებაში კი იძლევიან სარგებელს. ბევრი ფული, რა თქმა უნდა, არ მოგვრჩება შესანახათ, ათას მანეთამდის კი სახელმწიფო შემნახველი კასები იღებენ. თუ ათას მანეთზე მეტი გვექნება, სახელმწიფო შემნახველ კასაში შეტანა არა ღირს, რადგანაც ათას მანეთზე მეტს ნაღდათ არ იღებს და შემნახველისათვის სარგებლიან ქაღალდებს ჰყიდულობს. სარგებლიანი ქაღალდები კი შეიძლება საზარალოც შეიქმნას ჩვენთვის, კურსმა რომ დაიწიოს. ამისათვის თუ ბლომად გვექნა ფული, სჯობს შევიტანოთ ისევ რომელსამე ბანკში, ხოლო როცა ჩვენში კოოპერატ. დაწესებულებათა კავშირები დაარსდება, უსათუოდ კავშირი უნდა შევიტანოთ. კავშირში შესანახათ შეტანილ ფულით ისევ კოოპერატიულნი დაწესებულებანი სარგებლობენ და ამით ხორციელდება დიდებული იდეა ურთიერთის დახმარებისა: დღეს მე მქონდა მეტი, ხვალ შენ გექნება. თუ ორივენი კავშირს მივმართავთ „ლხინშიაც და ჭირშიაც", კავშირს მუდამ ექმნება შეძლება გაჭირვებულს დახმარება გაუწიოს!.. გარდა ამისა, კანონის წინააღმდეგი არ იქნება, თუ მდიდარი ამხანაგობა ახლანდელ ვითარებაში შესანახათ მიაბარებს მეტს ფულს მეზობელ სოფლის ან ქალაქის საკრედიტო ან შემნახველ — გამსესხებელ ამხანაგობას. კოოპერატივი თუ კოოპერატივს ვერ ენდო, სხვა როგორ ენდობა!?

# შემოწმება (გასინჯვა) დავთრებისა.

**დამოკიდებულება დავთართა შორის.** ჩვენ ვიცით ახლა წარმოება როგორც უმთავრეს შემოსავალ-გასავლის დავთრისა, ისე სხვა დავთრებისაც. ვინც კარგად დააკვირდა ამ დავთრების წარმოებას, უსათუოდ შეამჩნევდა, რომ ჩაწერილი ერთს დავთარში მეორდება ხშირად სხვა დავთარშიაც.

ამნაირად კერძო დავთრებს შუა და ამ დავთართა და უმთავრეს დავთარს შორის არსებობს დამოკიდებულება და ყველაფერს, რაც ერთ დავთარში იქნება, გავლენა აქვს სხვა დავთრებზე.

ასე, „დავთარი წევრთა“ და „დავთარი მსესხებელთა პირად ანგარიშებისა“ ერთმანეთზეა გადაბმული და ერთის საშუალებით შეიძლება მეორე გაისინჯოს, მაგალ., მივიღეთ ახალი წევრი. უპირველესად ყოვლისა, რასაკვირველია, იგი ჩაიწერება „წევრთა დავთარში“, სადაც აღნიშნულია წევრის გვარი, სახელი და მამის სახელი, დრო წევრათ მიღებისა, ნომერი წევრისა და გადაწყვეტილ კრედიტის რაოდენობა. რადგან ყოველი წევრი ფულის მსესხებელია, წევრს უნდა მიუჩინოთ პირადი ანგარიში, სადაც უნდა აღინიშნოს იგივე სახელი, მამის სახელი და გვარი, ნომერი წევრისა და გადაწყვეტილ კრედიტის რაოდენობა. ყოველივე ცვლილება, რაიცა, შეიძლება, შემდეგ მოჰხდეს წევრთა დავთარში— მომატება, მოკლება ან სრული დაუქმება კრედიტისა, შეტანილი უნდა იქმნას პირად ანგარიშების დავთარშიც. ამნაირად, რიცხვი წევ-

რთა წევრთა დავთარში უნდა უდრიდეს წევრთა რიცხვს პირად ანგარიშების დავთარში, ჯამი გადაწყვეტილ კრედიტისა (მთლად წევრებისა), ერთის დავთრიდან ამოღებული, უნდა უდრიდეს ჯამს მეორე დავთრიდან ამოღებულს, ნომერი წევრისა ორსავე დავთარში ერთნაირია და სხვ.

ასეთივეა დამოკიდებულება თითქმის ყველა სხვა დავთრებისა. სჯობს მოვიყვანოთ აქ ჩვენი მაგალითები, ჩაწერილი წინ მოყვანილ დავთრებში.

**1. მიღებულია სახელმწიფო ბანკიდან ძირითადი თანხა.** ჩავსწეროთ შემოსავალ-გასავლის დავთარში. (ძირითადის თანხის მიღება შეიძლება მოჰხდეს ერთხელ ან ორხელ, იმისათვის ამ თანხას ცალკე დავთარში არა ვსწეროთ).

**2. მიღებულია პაი ივ. ვეფხვაძისაგან.** ჩავსწეროთ: ა) შემოსავალ-გასავლის დავთარში ბ) მსესხებელთა პირად ანგარიშების დავთარში და გ) წევრის წიგნაკში (უკანასკნელი მას მიეცა).

**3. სესხი მიეცა გ. უიშვილს.** ჩავსწეროთ: ა) სესხის მოთხოვნილებათა დავთარში, ბ) ჩამოვართვით მას ხელწერილი, გ) შემოსავალ-გასავლის დავთარში, დ) მსესხებელთა პირად ანგარიშების დავთარში, ე) წევრის წიგნაკში და ვ) სესხის ვადების დავთარში (თუ ამას ვაწარმოებთ; ამ უკანასკნელის ნიმუში არ მოგვიყვანია).

**4. მიეცა რკინის შკაფში.** ჩავსწეროთ: ა) შემოსავალ-გასავლის დავთარში და ბ) ქონების ანუ ინვენტარის დავთარში.

**5. მიეცა საანგარიშო ბლანკებში, დავთრებში და ვექსილის ქაღალდებში.** ჩავსწეროთ: ა) შემოსავალ-გასავლის დავთარში და ბ) მართვა-გამგეობის ხარჯების დავთარში.

**6. სესხი ივანე ვეფხვაძეს და სარგებელი მისგან**— იგივეა რაც მაგ. 3.

**7. მოკლე ვადით აღებული სესხი სახელმწიფო ბანკიდან.** ჩავწეროთ: ა) შემოსავალ-გასავლის დავთარში, ბ) ვალების დავთარში და გ) ვალების ვადის დავთარში და სხვ.

რადგან დავთართა შორის არსებობს დამოკიდებულება, შეგვიძლიან ყოველთვის დავთრების ერთმანეთთან შედარებით შევიტყოთ, სწორედ გვაქვს დავთრები ნაწარმოები, თუ არა. შეცდომის პოვნაც და გასწორებაც ადვილია.

ყოველ დღე ყველა დავთრის შედარება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ თვეში ერთხელ ეს საჭიროა და დიდ შრომასაც არ მოითხოვს. წლიურ ანგარიშის შედგენის დროს აუცილებლად ყველა დავთარი დაწვრილებით გასინჯული უნდა იქმნას ყოველ დაწესებულებაში, რაც უნდა დიდი იყოს.

დავთრების შემოწმების დროსაც ისე, როგორც ყოველ დღიურ მუშაობის დროს, ჩვენს უმთავრეს ყურადღებას იქცევს „შემოსავალ-გასავლის“ დავთარი. უპირველეს ყოვლისა ამ დავთარში უნდა გაუკეთდეს ჯამი ყველა ანგარიშს. ჩვენს მაგალითში (იხ. ზევით „შემოსავალ-გასავლის“ დავთარი) ასეთი ჯამი არის გაკეთებული შემოსავალ-გასავლის დავთარში. საჭიროა დავთრების შემოწმების დროს ასეთივე ჯამები გაუკეთოთ ყველა კერძო დავთარს და ამ დავთრების ჯამები ცალკე ქაღალდზე ამოვიწეროთ.

ასე, წევრთა დავთრიდგან უნდა შევიტყოთ, სულ რამდენი შემოსულა საანგარიშო დროს განმავლობაში წევრი და რამდენი გასულა, მსესხებელთა პირად ანგარიშების დავთრებში ჯამი უნდა გაუკეთდეს გატანილსა და გადახდილ ვალს, გარდამავალ თანხების დავთარში—შემოსულსა და გატანილ ფულს და სხვ. ყველა ეგ კერძო ანუ დამხმარე დავთრებიდან ამოღებული ჯამი უნდა შეუდაროთ შესაფერ ჯამებს „შემოსავალ-გასავლის“ დავთრისას. ცხადია, ციფრები ორივ წყაროდან ერთნაირი უნდა მიგვეღო. არ არის ოპერაცია, რომ „შემოსავალ-გასავლის დავთარს“ გვერდი აუხვიოს: ყოველი ციფრი, სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა ადგილს ნაჩვენები კერძო დავთარში, იმავე დროს შეტანილი უნდა ყოფილიყო აუცილებლად „შემოსავალ-გასავლის“ დავთარშიაც.

ვსთქვათ, დავთრებიდან ამოწერილ ციფრებმა, რომელსაც

ეძახიან ცნობებს ანგარიშთა ტრიალისას (оборотная вѣдомость), ასეთი სურათი მოგვცა:

**ცნობა ანგარიშთა ტრიალისა 30 აპრილს 1912 წ.**

დავთარი შესანახათ მობარებულ ფულისა:

| | შემოსულა: | გასულა: | დარჩა: |
|---|---|---|---|
| სულ | მან. 1505— | მან. 300— | მან. 1205 – |

**დავთარი მსესხებელთა პირადის ანგარიშებისა:**

| | გაუტანიათ: | შემოუტანიათ: | დარჩა: |
|---|---|---|---|
| სულ | მან. 2350— | მან. 250— | მან. 2100 |

**დავთარი გარდამავალ თანხებისა:**

| | შევოსულა: | გასულა: | დარჩა: |
|---|---|---|---|
| სულ | მან. 830 –50 | მან. 625— | მან. 205—50 |

ასეა სხვა დავთრებიც. (აქ მოყვანილი მაგალითები ეკუთვნის 1912 წ. და ჩვენს „შემოსავ.-გასავლის" დავთრის მაგალითს არ შეადაროთ!) ახლა უნდა ავიღოთ ამავე დროის „შემოსავალ გასავლის" დავთარში გაკეთებული ჯამები. შევადაროთ შესაფერ უჯრებში გამოყვანილი ჯამები. ვსთქვათ, ყველა ციფრები უდრის ერთი მეორეს. არ შეეფერება მხოლოდ დავთარი შესანახათ მობარებულ ფულისა და მსესხებელთა პირადის ანგარიშებისა.

**შეცდომის პოვნა და გასწორება.** პირველ შემთხვევაში „შემოსავალ-გასავლის" დავთარში არის შემოსული სულ მან. 1555 –, ე. ი. მან. 50—მეტი.

მეორე შემთხვევაში კი „შემოსავალ-გასავლ." დავთარში სწერია შემოტანილი 200 მან. (მან. 250—მაგიერ). სადაა შეცდომა, როგორ ვიპოვოთ?

პირველად უნდა ავიღოთ „შემოსავ.-გასავლის“ დავთარი და თითოეული ციფრი, იანვრიდან დაწყებული, (თუ იანვრიდან არ შეგვიმოწმებია), რაც კი ჩაგვიწერია ამ დავთრის შემოსავალში უჯრაში „შესანახათ მობარებული ფული“ (პასსივი), უნდა შევადაროთ დავთარს შესანახათ მობარებულ ფულისას. რადგან „შემოსავ.-გასავლის“ დავთარში ნაჩვენებია გვერდი „პირად ანგარიშებისა“ (უჯრა 42), ეს „ძებნა“ ძნელი არ იქნება. ცხადია, ბოლოს აღმოჩნდება ციფრი, რომელიც სრულებით არ იქნება შეტანილი პირად ანგარიშების დავთარში, ან იქნება შეტანილი, მაგრამ ნაკლები 50 მანეთით (მაგალ. მან. 100—150 მანეთის მაგიერ). ისიც შეიძლება, რომ შეცდომა (50 მ.) რამდენისამე წვრილ შეცდომისაგან შესდგებოდეს. როცა შეცდომას ვიპოვით, გამორჩენილ ციფრს შევიტანთ შესაფერ პირად ანგარიშში.

მეორე შეცდომის ძებნა, ე. ი. როცა კერძო დავთარში მეტია, უნდა დავიწყოთ კერძო დავთრიდან და თითოეული ციფრი, ნაჩვენები კერძო დავთარში, „შემოსავალ-გასავლის“ დავთარში უნდა ვიპოვოთ. არც ესაა ძნელი, თუ მოვიგონებთ, რომ ყოველ ციფრს პირად ანგარიშების დავთარში ეწერება მუხლის ნომერი, რომლითაც ის ციფრი შეტანილია „შემოსავ.-გასავლის“ დავთარში. დაბოლოს უნდა ვიპოვოთ პირად-ანგარიშებში ისეთი ციფრი, რომელიც არაა შეტანილი „შემოსავ.-გასავლის“ დავთარში. უნდა ვსთქვათ ისიც, რომ თუ თავის დროზე, ყოველ დღე, ვადარებდით „შემოსავალ-გასავლის“ ცნობებს ნაღდ ფულს, ასეთი შეცდომა არც კი უნდა მოგვსვლოდა. მაგრამ ესეც შესაძლებელია. შეცდომაა, ვსთქვათ, სწორედ „შემოსავალ-გასავლის“ დავთარში. როგორ გასწორდება?

პირად ანგარიშებში რომ ყოფილიყო ეგ შეცდომა, სულ ადვილად გასწორდებოდა: წითელის მელნით! წაიშალა შეცდომა და ახალი ციფრი დაიწერა. „შესოსავალ - გასავლის“ დავთარში კი წითელი მელანი არ გვიშველის. ამ დავთარში ხომ ყოველ გვერდზე და ყოველ თვიურად გამოგვყავს ჯამი

და თუ, ვსთქვათ, შეცდომა 15 იანვარს მოგვსვლია, ნუ თუ 15 იანვრის შემდეგ 30 აპრილამდის გამოყვანილი ყველა ჯამი უნდი „დავჯღაბნოთ“ წითელის მელნით? ეს არაა საჭირო. ვსთქვათ, დასახელებული შეცდომა შემდგარია ორ შეცდომისაგან. ერთი მოგვსვლია 1 თებერვალს, მეორე—15 თებერვალს. ჩაუწერელია „შემოსავ.-გასავლის“ დავთარში 1 თებერვალს მოტანილი ი. თეთრაძის მიერ 20 მ. და 15 თებერვ. მოტანილი გ. ხარაძის მიერ 30 მან.

ჩვენ ოცდა ათ აპრილს ჩავსწერთ ამ ციფრებს ჩვეულებრივ „შემოსავ.-გასავლის“ დავთარში, ხოლო გავიხსენებთ, რომ ეგ ოპერაცია თებერვლისაა და არა დღევანდელი. აი ტექსტი: „შემოსული 1 თებერვალს ი. თეთრაძისაგან 20 მ. და 15 თებერვ. გ. ხარაძისაგან 30 მან., თავის დროზე ჩაუწერელი „შემოსავ.-გასავ.“ დავთარში.

ზოგი მოანგარიშე ცნობებს ანგარიშთა ტრიალისას არ არდგენს, მოდგება თავიდან და თითოეულ ციფრს შემოსავალგასავლისას ეძებს დამხმარე დავთრებში და იქ ჰნიშნავს (დასანიშნავათ მოანგარიშეები ხშირად ჰხმარობენ ასეთ ნიშანს: V). მერე გადაათვალიერებს ამ დავთრებს, ხომ არაფერია შიგ დაუნიშნავი. შეცდომებს ქაღალდზე ამოიწერს და მერე ერთბაშად შეასწორებს.

პრაქტიკა ყველას დაანახვებს, რომელი წესი უფრო მოსახერხებელი იქნება შეცდომის მოსაძებნად.

# თვიური ანგარიში.

ჩვენ ვიცით დავთრების წარმოება, ვიცით აგრეთვე შემოწმება იმისი, სწორედ არის ნაწარმოები დავთარი, თუ არა. ვისაც უნდა, როდესაც უნდა, მოგვთხოვოს ანგარიში, ჩვენ მზადა ვართ!

შემნახველ-გამსესხებელი და საკრედიტო ამხანაგობა ვალდებულია თვეში ერთხელ წარუდგინოს ანგარიში სახელმწიფო ბანკს, თუ ჰმართებს მისი ვალი, და საგუბერნიო კომიტეტს. კომიტეტისათვის ყოველ თვეში არაა სავალდებულო. დაუგზავნის ამხანაგობა ანგარიშს სხვა-და-სხვა დაწესებულებასაცა, თუ არა, ეგ იმის საქმეა.

მე ვფიქრობ, რომ ყოველი საზოგადო დაწესებულება, რომლის საქმეებიც კარგად მიდის, თავის ანგარიშებს უნდა აქვეყნებდეს. გამოქვეყნება ანგარიშისა შეიძლება ანგარიშების დაგზავნით და გაზეთებში დაბეჭდვით. ამ გზით საზოგადოებას ღონისძიება ეძლევა გაიცნოს დაწესებულების მდგომარეობა და მეტისა თუ ნაკლების ნდობით მოეკიდოს. კოოპერატ. დაწესებულებათა ანგარიშის გამოქვეყნება ერთნაირი ღონეა კოოპერაციის იდეის პროპაგანდისა.

თვიურ ანგარიშის შედგენა სულ უბრალო საქმეა. აიღეთ წვრილ კრედიტის სამართველოს მიერ შედგენილი ბლანკი და იგი თვითონ გეტყვით, სად რა ცნობა უნდა ჩაიწეროს. ჯერ იწერება ცნობანი პასსივისა, მერე—აქტივისა. შევადგინოთ ჩვენის ამხანაგობის 1913 წ. იანვრის ანგარიში.

ქვეით მოგვყავს ფორმა და იქიდან მკითხველი დაინახავს, რომ პირველ გვერდზე მოყვანილია ცნობანი, პირდაპირ ამოღებული შემოსავალ-გასავლის დავთრიდან, მას შემდეგ, რაც

ამ დავთარში იანვრის ოპერაციებს ჯამი გაუკეთეთ. მეორე გვერდზე კი ზოგი დამატებითი ცნობანია.

მოგვყავს ფორმა. იგი იმდენად მარტივია, რომ მუხლობრივ ახსნასა და განმარტებას არ საჭიროებს; საჭიროა მხოლოდ მკითხველი დაუკვირდეს და გასინჯოს, რომელი ციფრი შემოსავალ-გასავლის დავთრის რომელ უჯრიდან არის ამოღებული.

მოვიყვანეთ მარტის ბალანსიც, რათა დაგვენახვებინა მკითხველისათვის, რომ ყველა თვის ანგარიში ერთნაირად კეთდება; განსხვავება მაშინ შეიძლება იყოს, თუ რაიმე ახალი ოპერაცია გაკეთდა საანგარიშო თვის განმავლობაში.

დეკემბრის ბალანსიდან დავინახავთ, თუ სად ჩაიწერა ამ თვეში საჭირო ზოგი ახალი ოპერაცია. მაგრამ ამაზე ქვევით.

## იანვრის თვიური ანგარიში

ჩვენ მოყვანილ ფორმებ-მაგალითებში (ნიმუშად) შევავსეთ ციფრებით პირველი გვერდი ანგარიშისა. არ შეგვივსია მეორე გვერდი იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ეგ სულ ადვილია და, რადგან ჩვენს დავთრებში (ნიმუშებში) სულ ორ-სამ წევრთან გვქონდა საქმე, ცხადია, ის სამი წევრი არ გვეყოფოდა თვიურ ანგარიშის მეორე გვერდზე მოყვანილ ცნობათა დასაკმაყოფილებლად. თუ გინდ პირველი მუხლი ავიღოთ: „რამდენი გყავდათ წევრი ამხანაგობის მოქმედების დაწყებისას?“ ჩვენ სამაგალითო დავთარში ორი თუ სამი წევრი გვყავს დასახელებული, ნამდვილად კი, ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, საქმეს 2—3 წევრით ვერ დაიწყებთ; ვერ დაიწყებთ პრაკტიკულ მოსაზრებათა გამო და ვერც წესდების ძალით (მუხ. 9, 131 და 132).

# წლიური ანგარიში.

თვიურ ანგარიშზე მეტ შრომას მოითხოვს წლიურ ანგარიშის შედგენა, თუმცა არც ეს არის მაინცა და მაინც ძნელი, თუ წლის განმავლობაში დავთრებს რიგზე ვაწარმოებდით.

**დავთრების დაბოლოვება.** 31 დეკემბერს თავდება ყველა საკრედიტო დაწესებულების საანგარიშო წელი. იწყება იგი 1 იანვარს.

ამიტომ 31 დეკემბერს ჩვენ უნდა დავაბოლოვოთ გასულ წლის დავთრები და ამასთანავე გავიგოთ — ზარალი უნახავს ჩვენს დაწესებულებას ამ წლის განმავლობაში, თუ მოუგია რამე.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გასინჯვა იმისი, ყველაფერი სწორედ გვაქვს ჩაწერილი 31 დეკემბრამდის, თუ არა. შემდეგ, ვიდრე დეკემბრის თვიურ ჯამს გაუკეთებდეთ თავს, ე. ი. შემოსავალ-გასავლის, დავთარს, საჭიროა შემდეგის ანგარიშების ჩაწერა და ანგარიშიდან ანგარიშზე გადარიცხვა:

წელიწადი თავდება, ცხადია, თუ რაიმე ხარჯი დაგვრჩენია გაუსტუმრებელი ამ წლისა, ახლა უნდა გავისტუმროთ. მომავალ წელში შარშანდელ ხარჯის გადატანა უსამართლობაა. ასეთი ხარჯები კი შეიძლება იყოს. მაგალ., სარგებელი აღებულის ვალისა და შესანახად მობარებულის ფულისა. თუ ვალის სარგებელს წლის ბოლოს ვიხდით და ასეთი ვადა 10 იანვარს დგება, ცხადია ამ ვალით წელს გვისარგებლია და უსამართლობა იქნება, რადაც 10 დღისთვის მთელის წლის სარგებელი მომავალ წლის ხარჯში შევიტანოთ. იგი დღეს, 31 დეკემბერს, უნდა შევიტანოთ ან ჩამოვსწეროთ მაინც ხარჯათ

და შეტანით იანვარში შეიძლება წავილოთ ან გაუგზავნოთ სახელმ. ბანკს. ასე უნდა მოვიქცეთ შესანახად მობარებულ ფულის სარგებლის შესახებაც. ვსთქვათ, მობარებულ ფულის ვადა თავდება მომავალ მარტში. პატრონი მარტამდის არ მოვა ჩვენთან, მაგრამ დღეს, 31 დეკემბ., უნდა ვიანგარიშოთ სარგებელი, რაც იმას ერგება დღემდის და წლევანდელ ხარჯში შევიტანოთ. ხელში მიცემის მაგიერ, ამ სარგებელს ჩავსწერთ იმის სახელზე გარდამავალ თანხების ანგარიშზე (იხ. შემოსავ - გასავლის დავთარი). მარტში, როცა პატრონი გამოცხადდება, დავითვლით ანგარიშს სამის თვისას (იანვარი, თებერვალი და მარტი), დანარჩენი კი გარდამავალ თანხებზე იყო და იქიდან ჩამოვსწერთ. ამნაირად, გამოვიანგარიშებთ შესანახად მობარებულ ყველა ფულისა და ვალის სარგებელს ამ წლისას და ჩავსწერთ გასავალში „მიცემული სარგებელი", ე. ი. ვაჩვენებთ ხარჯათ; ხოლო, რადგან ეგ ფული მართლა არ მიგვიცია ჯერჯერობით და დროებით ჩვენთან რჩება, ჩავსწერთ „გარდამავალ თანხების ანგარიშზე". მერმის, როცა მიცემის დრო დადგება, პირდაპირ ჩამოვსწერთ ამ ანგარიშიდან ამ თანხას, მიუმატებთ იმას ამ წლის სარგებელსაც და მივსცემთ.

მისაცემ სარგებელს გარდა, ჩვენს ყურადღებას იქცევს მოძრავი ქონება: ყოველ წელიწადს ამ ანგარიშიდან 10% (მეათედი) ხარჯათ უნდა ჩამოიწეროს, რადგან ყოველი ქონება ცვდება, ფუჭდება თანდათან. ასე რომ, თუ 400 მ. გვაქვს მოძრავი ქონება, 40 მან. ხარჯათ ჩამოიწერება. ჩვენ 150 მან. ქონება გვქონდა, 15 მანეთი ჩამოვსწერეთ (იხ. შემოსავ.-გასავლის დავთარი). ჩავსწერეთ „გასავალში" უჯრაში „ხარჯები მართვა-გამგეობისა" 15 მ. და „შემოსავალში" უჯრაში „ქონება" — 15 მ.

სხვა მიმდინარე ხარჯებიც უნდა გადავათვალიეროთ. იქნება მოანგარიშეს ერგება ჯამაგირი ამ წლისა და არ მიგვიცია, იქნებ შეშა ვიყიდეთ, დავსწვით კიდეც და ჯერ არ გაგვისტუმრებია შეშის ვალი და სხვ. ასეთ ხარჯებს მომავალ წლის ხარჯათ ხომ ვერ ვაჩვენებთ? ამიტომ ყველა ასეთი ხარ-

ჯიც გასავალში უნდა აღვნიშნოთ (უჯრა „ხარჯები“) და, რადგან მიცემული არაა ჯერ-ჯერობით, იმავე დროს ჩავსწეროთ გარდამავალ თანხებზე (შემოსავალი).

ამნაირად ერთი და იგივე ციფრი, როგორც მისაცემ სარგებლის გამოანგარიშების დროს, ისე ქონების დაფარვისა და სხვა ხარჯების აღნიშვნის დროს, იწერება გასავალშიც და შემოსავალშიც; კასას ამით არც აკლდება, არც ემატება, მაგრამ სურათი ჩვენთა ანგარიშთა მდგომარეობისა (მოგება და ზარალი) კი ძლიერ შეიცვლება.

არც უიმედო ვალები უნდა დაგვავიწყდეს ამ დროს. ასეთი უიმედო ვალები (დარწმუნებულნი ვართ — ვერ გადავახდევინებთ) ზარალში — ხარჯში უნდა ჩავსწეროთ გასავალში, და იმავე დროს შემოსავალში — უჯრა საგანგებო თანხებისა („ზარალის დასაფარავი). თუ მერმის გამობრუნდა საქმე და მოვალეს გადავახდევინეთ რამ, ამ თანხას კვლავ მოგებაში შევიტანთ; თუ ვერაფერი გადავახდევინეთ, გადავრიცხავთ სესხის დასაფარავად.

თუ ხარჯებს ვერ დავფარავთ ამ წლისას, არც შემოსავალი უნდა დავივიწყოთ. მაგალ., თუ სარგებლიანი ქაღალდები გვაქვს — კუპონები, თუ ბანკში ფული გვაქვს შენახული — სარგებელი და სხვ. უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. თუ ფული გვაქვს ბანკში შენახული, სარგებელს ამ ფულისას ჩავსწერთ შემოსავალში (უჯრა — „სარგებელი და მოგება“), ხოლო იმავე დროს — რადგან ფული არ მიგვიღია ჯერ-ჯერობით — გასავალშიც (უჯრა „ფული, შენახ. საკრედ. დაწესებ.-ში“); ეს იმას ჰნიშნავს, რომ სარგებელი მიემატა შენახულ ფულს.

თუ სარგებლიანი ქაღალდები გვაქვს, უნდა მოვსჭრათ კუპონები, გამოვაკლოთ 5% სახ. გადასახადი, და დანარჩენი ჩავსწეროთ შემოსავალში („სარგებელი და მოგება“), ხოლო ნაღდ ფულის მაგიერ შეგვიძლია დახურდავებამდის კუპონები დავაწყოთ კასაში *).

*) კუპონებისა და სარგებლ. ქაღალდების შესახებ ქვევით გვექნება საუბარი.

ახლა ყოველივე ჩაწერილი გვაქვს. მაშ, შეგვიძლია ჯამი გაუკეთოთ ყველა უჯრას.

ჩვეულებრივ გაუსვამთ ხაზს და გამოგვყავს ჯამები. შევადარებთ უჯრებს 9 და 10 „მოგება და სარგებელი“ და 36, 37, 38 და 39 „ხარჯები“. უმცროსს ჯამს ამ ორ რიგიდან დავსწერთ ქვეით ხაზზე უჯრებში 15 და 31 („ხარჯები და ზარალი“, „სარგებელი და მოგება“); კვლავ ხაზს გაუსვამთ და ჯამებს გამოვიყვანთ. (ჩვენს მაგალითში უმცროსი იყო ჯამი ხარჯებისა 36, 37, 38 და 39) და უდრის 146 მ. 85 კ.

**მოგება და ზარალი.** დასასრულ გამოვიყვანთ ჯამებს მთელის წლისას. კიდევ გავხაზავთ და ქვევით ჩვეულებრივ ბალანსს გამოვიყვანთ, ე. ი. შემოსავალს გამოვაკლებთ გასავალს—პასივში და გასავალს გამოვაკლებთ შემოსავალს—აქტივში. ასე გავიგებთ, თუ რამდენია წლის დამლევს თითოეულ ანგარიშზე. 9 და 10 უჯრის ჯამს („მოგება და სარგებელი“) გამოაკლდება ჯამი 36, 37 38 და 39 („ხარჯები“), თუ ეს უკანანასკნელი პირველზე ნაკლებია და, რაც დარჩება, იგი იქნება წმინდა მოგება. ხოლო თუ ჯამი ხარჯებისა მეტია, მაშინ ამას (ჯამს უჯრებისას 36, 37, 38 და 39) გამოაკლდება ჯამი სარგებლისა და მოგებისა (9 და 10) და, რაც დარჩება, იგი იქნება ჩვენი ზარალი.

ჩვენს მოყვანილ მაგალითში 9 და 10 უჯრის ჯამია 202 მ. 55 კ., ხოლო ხარჯებისა 146 მ. 85 კ. ამნაირად, წმინდა მოგებაა (202 მ. 55 კ.—146 მ. 85 კ.)=55 მ. 70 კ.

საზოგადოდ ჩვენი ბალანსი 1 იანვრისათვის 1914 წ. არის შემდეგი:

**პასსივი.**

| | | |
|---|---|---|
| 1. ძირითადი თანხა . . . . | . . მან. | 1000— |
| 2. სათადარიგო „ . . . . . . . . | . „ | 300— |
| 3. შესანახ. მობარებული ფული | . „ | 1000— |
| 4. გარდამავალი თანხები . . . . | „ | 10 — |
| 5. მოგება 1913 წლისა . | . . . . „ | 55—70*) |
| | სულ „ | 2365—70 |

*) წმინდა მოგება მოჰყვა პასსივში; ზარალი რომ ყოფილიყო, იგი მოჰყვებოდა აქტივში.

**აქტივი.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | საკრედ. დაწეს. შენახული . . . . . | მან. | 103— |
| 2. | სესხი . . . . . . . . . | „ | 950— |
| 3. | ქონება . . . . . . . | „ | 135— |
| 4. | კასა (ნაღდათ) . . . . . . . . . . . . | „ | 1177—70 |
| | სულ . | „ | 2365—70 |

აქტივი კვლავ პასსივს უდრის და ჯამი ბალანსისა არის 2365 მ. 70 კ.

რათა ნათელი იყოს მკითხველისათვის ანგარიშის დაბოლოვების წესი, საჭიროა სულ თვალ წინ ჰქონდეს შემოსავალ-გასავლის სანიმუშო ფორმა, ჩვენ მიერ წინად მოყვანილი. გარდა ამისა, აქვე მოგვყავს დეკემბრის თვიური ანგარიში. იგი, როგორც დაინახავთ, ახალს არაფერს წარმოადგენს თავის თავად. ქვევით მოყვანილია ფორმა წლიურ ანგარიშისა, რომელიც იმავ ნაწილებს შეიცავს, რასაც ყოველ თვიური ანგარიში და თითქმის ისევე შესდგება, როგორც თვიური ანგარიში.

თავისთავად იგულისხმება, რომ წლიურ ანგარიშის შედგენის წინ დააბოლოვეთ როგორც შემოსავ.-გასავლისა, ისე ქრძო--დამხმარე დავთრებიც და ცნობანი ერთი-მეორეს შეუფარდეთ და გასინჯეთ.

რაკი ყოველივე დამზადებული გაქვთ, მოიწვევთ საბჭოს და იგი განიხილავს წლიურ ანგარიშს. საბჭოს მიერ განხილული და შემოწმებული წლიური ანგარიში წარედგინება სათანადო დაწესებულებებს.

# დავთრების წარმოება მეორე და შემდეგს წლებში.

იწყება მეორე წელი ამხანაგობის ცხოვრებისა და ანგარიშის წარმოებისა.

იგივე დავთრები, იგივე წესი წარმოებისა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შარშან ახალი საქმე დავიწყეთ; ყოველ ოპერაციას პირველად ვსწერდით, პირველად ვაწესებდით ანგარიშს. ჯერ შემოსავალი გვქონდა, მერე გასავალი. ახლა ასე აღარ არის საქმე. შეიძლება ორ იანვარს პირველად გასავალითვე მოგვიხდეს საქმის დაწყება. მერე რაო? აქ გასაკვირი არაფერია. წლის ბოლოს ბევრი რამ ანგარიშები დაგვრჩა და მდგომარეობა ჩვენის ანგარიშებისა 31 დეკემბრის ბალანსით გამოვსახეთ.

მაშ, ამ ბალანსითვე უნდა დავიწყოთ საქმე. შემოსავალ-გასავალის დავთარში პირველ ხაზზე გადავსწერთ ყველა იმ ციფრებს, რაც ბალანსშია. ეს ციფრები დაიწერება იმ ხაზზე, სადაც გადმოტანილ ციფრებს ვსწერდით ხოლმე. 1 უჯრა — ძირითადი თანხა — 1000 მან., 2 უჯრა — სათადარიგო თანხა — 300 მან. და სხვ. ახალია აქ მხოლოდ წმინდა მოგება და ამ წმინდა მოგებას (55 მან. 70 კ.) ჩვენც ახალ უჯრაში ჩავსწერთ. შემოსავ.-გასავლის დავთრების ფორმაში არის ხოლმე ერთი ან ორი ზედ მეტი ცარიელი, უსათაურო, უჯრა, როგორც პასსივში, ისე აქტივში. ასეთი ცარიელი უჯრებია დანიშნული სწორედ ასეთ შემთხვევებისათვის. ჩვენც ერთ ასეთ ცარიელ უჯრას (რასაკვირველია, პასსივში) შემოსავალში და ერთსაც გასავალში დავაწერთ სათაურს: წმინდა მოგება

1913 წლისა და ამ უჯრაში, შემოსავალში, ჩავსწერთ 55 მ. 70 კ.*). შეიძლება ეს თანხა გარდამავალ თანხების ანგარიშზედაც დაიწეროს დროებით. დანარჩენი ოპერაციები ჩვეულებრივ წესით წავა.

როცა საზოგადო კრება შესდგება, იგი დაადგენს, თუ როგორ განაწილდეს წმინდა მოგება. ვსთქვათ, დაადგინეს: 12 მან. მიემატოს სათადარიგო თანხას, 24 მან.—ძირითად თანხას (საკუთარი ძირითადი თანხა), დანარჩენი 19 მ. 70 კ. გადაიდოს საკუთარ შენობის ასაგებად.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ, თანახმად 80 მუხ. წესდებისა, წმინდა მოგების განაწილების დროს არა ნაკლებ 20% მიემატება სათადარიგო თანხას და 40% არა ნაკლები ძირითად თანხის (საკუთარი) შესადგენად გადაიდება.

ვფიქრობ, თქვენ ახლა იცით, როგორ უნდა ჩაიწეროს დავთარში საზოგადო კრების დადგენილება. ეს შემთხვევა იგივეა, რაც წლის დამლევს სხვა და სხვა ხარჯისა და შემოსავლის შესახებ გავაკეთეთ: ფული უნდა ჩამოიწეროს წმინდა მოგებიდან და გადაირიცხოს დასახელებულ ანგარიშში. ამიტომ ვსწერთ ტექსტს: „თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა ამ და ამ რიცხვის თარიღით, წმინდა მოგება 1913 წლისა განაწილდა ასე... დავსწერთ როგორ განაწილდა. ციფრები ჩაიწერება უჯრებში: გასავალში იმ უჯრის შესაფერ უჯრაში, რომელზედაც ახლა ირიცხება წმინდა მოგება, ჩავსწერთ: 55 მ. 70 კ., ხოლო შემოსავალში: ძირითად თანხის უჯრაში 24 მ., სათადარიგო თანხის უჯრაში 12 მ. და საგანგებოდ დანიშნულ თანხათა უჯრაში 19 მ. 17 კ. ამნაირად, ერთი და იგივე ციფრი ჩაიწერება შემოსავალში და გასავალში. კასის მდგომარეობა არ შეცვლილა, ხოლო ჩვენმა ანგარიშებმა კი გამოიცვალა სახე: აღარაა მოგება, გადმოსული 1913 წლიდან, მიემატა ძირითად თანხას 12 მ. და 1024 მან. გახდა, მიემატა სათადარიგო თანხას და 312 მან. შეიქმნა; გაჩნდა ახალი ანგა-

---

*) ზარალი რომ ყოფილიყო, ჩაიწერებოდა აქტივში.

რიშიც: განსაკუთრებული თანხა (სახლის შესაძენად) 19 მ. 70 კ.

ანგარიშის წარმოება სხვაფრივ ჩვეულებრივ სახეს იღებს. იგივე თვიური ანგარიშები, იგივე წლიური. რასაკვირველია, უკანასკნელ (თვიურისა და წლიურის) ანგარიშების შედგენის დროს, ყურადღებას მიაქცევთ ახლა იმ უჯრებს, სადაც სწერია: „ამ წლის 1 იანვრისათვის იყო“. შარშან ჩვენ ამ უჯრებს ვსტოვებდით უყურადღებოთ, რადგან საქმე ახალი დაწყებული იყო; ახლა კი შარშანდელ ანგარიშებთანაცა გვაქვს საქმე იმდენად, რამდენადაც იმათ ჩვენ რამე გადმოგვცეს და ეს გარემოება უნდა აღინიშნოს ყველგან, სადაც ამას მოითხოვენ.

# საშუამავლო ოპერაციები.

წვრილ კრედიტის ამხანაგობათა წესდების §§ 74, 75, 76 და 77 მუხლთა თანხმად, შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობას შეუძლიან აწარმოვოს ეგრედ წოდებული საშუამავლო ოპერაციები.

თუ რა ოპერაციებია ეგ საშუამავლო ოპერაციები, ანუ შუამავლობა, ამას მოგვითხრობს § 75 წესდებისა. აი აქ რას ვკითხულობთ: „ამხანაგობა ჰკისრულობს საშუამავლო საქმეს, რომლისათვის საჭიროა ფულის დახარჯვა (მაგალ., საშინაო ავეჯის შეძენა, მიწის იჯარით აღება და სხვ.), მხოლოდ ამხანაგობის მონდობილობით და მათის ხარჯით; თვითონაც შეუძლია გააკეთოს საშუამავლო საქმე თავის ხარჯით და იყიდოს გასაყიდათ ამხანაგობის მეურნეობის ნაწარმოები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისთვის განსაკუთრებული თანხა აქვს შედგენილი, ხოლო არ შეუძლია ისარგებლოს საზოგადო საწარმოვო თანხით (წვრილ კრედ. დებულ., მუხ. 14)". და ქვევით: „§ 76. საზოგადო კრება დაადგენს, რა საშუამავლო მოქმედება მიაჩნია შესაძლებელად და აგრედვე აღნიშნავს და განსაზღვრავს პირობებს, რომლითაც ამხანაგობა იხელმძღვანელებს ამ გვარ მოქმედების დროს"...

ამნაირად, მოკლედ რომ მოვჭრათ, საკრედიტო კოოპერატივს შეუძლია შუამავლობა გასწიოს თავის წევრთა და სხვა დაწესებულებათა, კერძო კაცთა ან დაწესებულებათა შუა, როცა წევრნი საქონელს ჰყიდულობენ ან თავის ნაწარმოებს რასმე ჰყიდიან. ბევრნაირია შუამავლობა და შეიძლება სულ სხვა-და-სხვა დარგს მეურნეობისას შეეხებოდეს.

უმთავრესი აქ ისაა, რომ წვრილ კრედიტის ამხანაგობას შეუძლიან საშუამავლო სამსახური გაუწიოს მხოლოდ წევრებს და ისიც არა საზოგადო საწარმოვო თანხებით, არამედ განსაკუთრებულ თანხით, რომელიც ამ დანიშნულებისათვის უნდა იყოს გადადებული.

**წესები საშუამავლო ოპერაციებისათვის.** საშუამავლო ოპერაციების შესახებ წვრილ კრედიტის დაწესებულებანი უნდა ხელმძღვანელობდნენ განსაკუთრებულ წესებით, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს წვრილის კრედიტის სამმართველოს მიერ (§ 76). მაგრამ არის წესებიც, შემუშავებული და სანიმუშოდ დადებული თვით სამმართველოს მიერ. თუ ამ წესებს აიღებს სახელმძღვანელოდ ამხანაგობა, მაშინ წინასწარ ნებართვის აღება საჭირო არ არის. საზოგადო კრება დაადგენს, შემოღებული იყოს საშუამავლო ოპერაციებიო და გამგეობაც ამ გადაწყვეტილებას შეატყობინებს მხოლოდ საგუბერნიო კომიტეტს (явочный порядокъ).

არსებობს რამდენიმე სხვა-და-სხვა გვარი წესი შუამავლობისათვის, გამოცემული წვრილ კრედიტის სამმართველოს მიერ. ორი მათ შორის დამტკიცებულია 12 სეკდ. 1906 წ. და შეეხება, პირველი: გარეშეთა და დაწესებულებათაგან გასასყიდათ მობარებულ საქონელს; მეორე: საქონლისა და ნაწარმოების ყიდვა-გაყიდვაში შუამავლობის მოწყობის საქმეს. არის აგრედვე წესებიც, დამტკიცებული 12 ივლისს 1907 წ., რომელიც შეეხება მიწის იჯარით აღებაში შუამავლობის გაწევას.

რასაკვირველია, ყველა ეს წესი სანიმუშოდ არის შედგენილი და გამოცემული; შეგვიძლია სახელმძღვანელოდ თვალწინ დავიყენოთ, მაგრამ მაგ წესებით არ განისაზღვრება ამხანაგობათა მოქმედების საშუამავლო მოღვაწეობის ასპარეზი.

თანხმად ზევით მოყვანილ წესებისა, წვრილ კრედიტის ამხანაგობას შეუძლია იკისროს შუამავლობა: ყოველგვარ საქონლის და სამუშაო იარაღის (აგრედვე მუშა საქონლის— ცხენის, კამეჩის, ხარის) ყიდვაში კერძო კაცთა, სავაჭროთა და

დაწესებულებათაგან; შეუძლია შუამავლობა გაუწიოს წევრებს საკუთარ ნაწარმოების—ხორბალი, ღვინო, ხილი, ბოსტნეული, ნერგი და სხვ.—გაყიდვაში.

ყოველსავე ამას ამხანაგობა უნდა აწარმოებდეს ან წევრთა შორის შეგროვილ თანხით, ან ცალკე ამ დანიშნულებისათვის გადადებულ თანხით. აქედან, ზარალის დროსაც, თუ ეგ ზარალი ამხანაგობას საშუამავლო საქმემ მიაყენა, ამხანაგობა პასუხის მგებელია არა საზოგადო თანხებით, არამედ განსაკუთრებით ამ საქმისათვის გადადებულ თანხით და იმ ამხანაგთა ქონებით, რომელნიც ამ საქმეში იღებენ მონაწილეობას.

ამხანაგობას უფლება ეძლევა, თუ ნივთიერი მდგომარეობა ამისათვის ხელს უწყობს, გააშენოს მთელი საწყობები, როგორც გასაყიდათ მოტანილ იარაღისა და საქონლისათვის, ისე ამხანაგთა ნაწარმოებთათვის.

ყოველივე წვრილმანი, რაც საშუამავლო ოპერაციებს შეეხება, განმარტებული უნდა იყოს განაკუთრებულ წესებში და ეგ წესები საზოგადო კრების მიერ უნდა იყოს დამტკიცებული.

საზოგადო კრებამ უნდა დაადგინოს: რა და რა საქონლის გამოწერაში იშუამავლოს, რა და რა ნაწარმოების გასაღებაში? რა და რა სამეურნეო იარაღი გამოიწეროს, რომელ ფირმებთან იქონიოს საქმე? ააშენოს თუ არა საკუთარნი ფარდულნი და საწყობნი?

როგორც საქონელი, ისე საწყობი, რომელშიაც იგი ინახება, უსათუოდ დაზღვეული უნდა იყოს.

როცა ერთ-ერთი წევრი წარადგენს განცხადებას და გამოაცხადებს სურვილს, ესა და ეს საქონელი (მაგ. გოგირდი, შაბ-იამანი და სხვ.) შეიძინეთო, გამგეობამ უნდა გამოაკრას თავის სადგომში განცხადება და, თუ შესაძლებელია, ძვირად არ დაჯდება და წევრნი ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებულნი არიან, გაზეთშიაც კი უნდა გამოაცხადოს: არის, თუ არა, წევრთა შორის მსურველი იმავე საქონლის შეძენისა. რაც მეტი მსურველი აღმოჩნდება და რამდენადაც მეტ საქონელს

გამოიწერს ამხანაგობა ერთბაშად, იმდენად უკეთესია და უფრო იაფად დაუჯდებათ ის საქონელი წევრთ.

ყოველი წევრი განცხადებისათანავე იხდის ბეს. ბეის გამორთმევა აუცილებელია. ხშირად ყოფილა იმის მაგალითი, რომ წევრი მოუთმენლად თხოულობს საქონლის ან სამეურნეო იარაღის გამოწერას; ამხანაგობა გამოიწერს, საქონელი მოვა და წევრი... უარს ამბობს: „აღარ მინდა, მე სხვანაირი მეგონა, გადავიფიქრეო" და სხვ. საქონელი გაუსაღებელი რჩება ამხანაგობას, უფუჭდება და ზარალი მოსდის.

ეს რომ არ მოჰხდეს, საჭიროა, საქონლის დამკვეთს ბე გამოერთვას და ისიც იმდენი, რომ მერე იმის მიტოვება საზარალო იყოს მისთვის. აქ სახუმარო არაფერია, ყველამ უნდა ასწონ-დასწონოს, რასაც აკეთებს და თავის მოუფიქრებელ ნაბიჯით, სხვა—ამ შემთხვევაში საზოგადო დაწესებულება—არ უნდა აზარალოს.

თუ მოჰხდა ისეთი შემთხვევა, რომ საქონლის გამომწერმა, მიუხედავათ ბეის გადახდისა, საქონლის დახსნაზე, ე. ი. დანარჩენ ფულის შეტანაზე, უარი განაცხადა, მისი წილი საქონელი სხვას მიეყიდება; თუ რამ დარჩა აქედან, დანარჩენი ბეის შემტანს დაუბრუნდება; ხოლო თუ ამხანაგობამ იზარალა, ბეის შემტანი პასუხის მგებელია არამცთუ ბეით, არამედ უნდა ჰზღოს მთელი ზარალი, რაც ამხანაგობას ამ საქონლის გამოწერამ მიაყენა (რასაკვირველია, თუ ეგ ზარალი დამოკიდებული იყო სწორედ საქონლის გამოწერაზე და არა სხვა მიზეზზე ან გამგეობის დაუდევრობაზე).

ამხანაგობას შეუძლიან, ბე თუ აქვს მიღებული, დანარჩენ თანხის კვალობაზე, თვითონ დაიგირავოს საქონელი, რასაკვირველია, თუ ეს საქონელი ისეთია, რომ იმის დაგირავება არ ეწინააღმდეგება ამხანაგობის წესდებას (მაგალ., შეიძლება დაგირავება სამეურნეო იარაღისა და სხვ.).

ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენ-ამ ამხანაგობა-კოოპერატივებმა. ასეთის დახმარებით, ე. ი. ერთის მხრით შუამავლობის გაწევით სამეურნეო იარაღების გა-

მოწერაში და მეორე მხრით ამავე იარაღების დაგირავებით, ჩვენი ამხანაგობანი შეაძლებინებენ ჩვენს წვრილ მეურნეებს გაუმჯობესებულ ტეხნიკაზე გადავიდნენ. გლეხთა 80—90%-ს არ შეუძლია ჩვენში შეიძინოს გაუმჯობესებული იარაღი და, რა გინდ ბევრი უკითხოთ ლექციები დანიისა და იტალიის მეურნის შესახებ, იგი კიდევ დიდხანს იძულებული იქნება მამა-პაპურ გუთანს, თოხსა და ძველებურ ნამგალს თავი არ დაანებოს.

ეს უნდა ითქვას ადგილობრივ ნაწარმოების გასაღების შესახებაც. ამხანაგობანი აქ ეხმარებიან წევრსა არა მარტო მყიდველის მოპოვებით, არამედ—რაც უფრო საყურადღებოა — (მყიდველი შეიძლება ისეც გამოჩნდეს) იგი სესხის მიცემით ამ ნაწარმოებთა გირაოს ქვეშ შეაძლებინებს წევრს პირნახული უფრო შერჩეულ დრომდე შეინახოს და პირველსავე ჩარჩს არ ჩაუგდოს ხელში.

სამწუხაროდ, ეგ საქმე თავისთავად იმდენად მწვავე და საჭირბოროტოა, რომ უადგილოა აქ იმაზე დიდხანს გაჩერება; ეს ჩვენ დაგვაცილებს პირდაპირ საგანს ამ შრომისას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნაწარმოების გასაღებაში შუამავლობის მოწყობის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ რაიონებში, სადაც ბლომად მოდის: პური, თივა, სიმინდი, ქერი, მატყლი, ბამბა, თამბაქო, ხილი და სხვ. ღვინის მიღებაც შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ, რადგან ღვინო ყველა დასახელებულ საგნებზე მეტათ ფაქიზია და მოითხოვს განსაკუთრებულ სარდაფებს, რაიცა სამძიმოა ჯერ-ჯერობით ჩვენებურ ამხანაგობათათვის, იმის დაგირავებასა და გასაღებას განსაკუთრებულის სიფრთხილით უნდა მოქცევა.

მაგრამ ყოველ ამისათვის, როგორც ვსთქვით, საჭიროა განსაკუთრებული თანხა. ამოდენა თანხის შოვნა ერთის ამხანაგობისათვის ძნელია; ამიტომ საშუამავლო ოპერაციების ფართო ნიადაგზე დამყარება შეუძლებელია, ვიდრე ჩვენში საკრედიტო კოოპერატივთა კავშირები არ დაარსდება.

მარტო ის გარემოება, რომ ამხანაგობა ხელს შეუწყობს

გლეხს გაუმჯობესებულ იარაღის ან თესლის შეძენაში, მარტო ის, რომ მიწის მუშა ამხანაგობისაგან „ხელს მოინაცვლებს“, მაზანდის აწევას დაუცდის და ჩარჩ-ბაცაცების ხელში არ ჩავარდება, მარტო ესეც საკმარისია, რომ საშუამავლო ოპერაციები დიდ სასარგებლო საქმეთ ჩავთვალოთ.

მაგრამ ამ ოპერაციებს ცოტაოდენი სხვა, პირდაპირი სარგებლობაც მოაქვს ამხანაგობისათვის.

ვსთქვათ, ამხანაგობა იღებს რამდენისამე ფირმისაგან საქონელს გასასყიდად. თუ ეს საქმე კარგად მიდის ამხანაგობაში, სულ მცირე ჯილდოც რომ აიღოს ამხანაგობამ თავის სასარგებლოდ, ამ ოპერაციებიდანაც ცოტაოდენ მოგებას ჰნახავს. თუ ამასთანავე ამხანაგობის მონდობილობითაც იწერს სხვა რამ საქონელს, ცოტაოდენ მოგებას იქიდანაც ჰნახავს.

ასე, იარაღი რამ ხუთი მანეთი რომ ჰღირდეს, 80 კაპ. გამოგზავნისა აილონ, ამხანაგობა 20 კაპ. დაუმატებს თავის გასამრჯელოდ და ექვს მანეთად გაჰყიდის.

**სხვა და სხვა გვარი შუამავლობა.** საშუამავლო ოპერაციებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წვრილ კრედიტის ანგარიშის წარმოებაში. საშუამავლო ოპერაციები შეიძლება დაიყოს სამ უმთავრეს ჯგუფად.

პირველი—როცა რასმე ვყიდით ამხანაგების მონდობილობით;

მეორე —როცა რასმე ვყიდულობთ ამხანაგების მონდობილობით და

მესამე—როცა ამხანაგობა თვითონ ჰყიდულობს განსაკუთრებულ თანხით.

ავიღოთ პირველი შემთხვევა. ამხანაგობა ჰყიდის თავის წევრთა ნაწარმოებს. რა დავთრები იქნება საჭირო?

**საჭირო დავთრები.** 1. საჭიროა ვიცოდეთ: რა მივიღეთ და ვისგან მივიღეთ, ე. ი. საჭიროა პირად ანგარიშების დავთარი.

2. საჭიროა ვიცოდეთ: რა საქონელი, ანუ ნაწარმოები, მივიღეთ სულ ყველასაგან და რამდენი, ე. ი. საჭიროა დავთარი გასაყიდათ მიღებულ საქონლის.

ამნაირად პირველ შემთხვევისათვის საჭიროა ორი ახალი დავთარი: დავთარი პირად ანგარიშებისა (საშუამავლო) და დავთარი (ჟურნალი) გასაყიდად მიღებულ საქონლისა. როცა წევრი საქონელს მოგვიტანს, ჯერ ჩავსწერთ მის პირად ანგარიშში (შემოსავალი) და მერე გასაყიდად მიღებულ საქონლის დავთარში (შემოსავალი). როცა საქონელი გაიყიდება, ისევე პირად ანგარიშების დავთარში (გასავალი) და გასაყიდად მიღებულ საქონლის დავთარში (გასავალი) დავნიშნავთ, რომ ამდენი საქონელი გავიდა. ხოლო აღებულ ფულს ჩავსწერთ „შემოსავალ-გასავლის“ დავთარში შემოსავალში და აღვნიშნავთ საშუამავლო ოპერაციების პირად ანგარიშების დავთარში.

როგორც ჰხედავთ, აქ დაგვჭირდა „შემოსავალ-გასავლის“ დავთარიც; ხოლო იმ დავთარში, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, საშუამავლო ოპერაციებისათვის უჯრა არ დაგვრჩენია. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ ზევით მოვიყვანეთ ფორმა ისეთ დავთრისა, რომელსაც აწარმოებენ ისეთნი ამხანაგობანი, სადაც საშუამავლო ოპერაციებს ადგილი არა აქვს. ის ამხანაგობანი კი, რომელთაც შემოღებული აქვთ საშუამავლო ოპერაციები, აწარმოებენ დავთარს, სადაც, ჩვეულებრივ უჯრებს გარდა, არის უჯრებიც საშუამავლო ოპერაციებისათვის. ჩვენ ქვევით ამ უკანასკნელ სახის „შემოსავალ-გასავლის“ დავთარსაც მოვიყვანთ.

როცა წევრი გაიტანს ფულს საშუამავლო ოპერაციებისას, ჩავნიშნავთ „შემოსავალ-გასავლის“ დავთარში (გასავალში) და საშუამავლო ოპერაციების პირად ანგარიშების დავთარში.

აი ფორმა გასაყიდათ მიღებულ საქონლის დავთრისა ანუ ჟურნალისა (ამხანაგი, ვსთქვათ, მჭედელია და თოხები მოგვიტანა გასაყიდად):

ამხანაგს მიეცემა კვიტანცია, რომლის ნახევარი (ტალონი) ჩვენ დაგვრჩება.

 აი ფორმაც კვიტანციისა.

Талонъ квитанціи № 2.

**ტალონი კვიტანციისა № 2.**

Складъ ..............................................................................

საწყობი

.................................................. საკრედიტო редитнаго Ссудо-сберегательнаго შემნახვ.-გამსესხ. ამხანაგობისა Товарищества

1913 года мая 1 дня принято отъ товарища № 20 . . . . . . . . Рев. Зантадзе на коммиссію для продажи срокомъ отъ вышеозначеннаго числа на 1 годъ.

1913 წელსა მაისის 1 დღესა მივიღეთ ამხანაგ რევ. ზანტაძისაგან საკომისიოთ გასაყიდათ დღეიდან ერთის წლის ვადით.

| РОДЪ ТОВАРА. რა საქონელია. | Качество товара. როგორია. | Пудовъ. რამდენი ფუთია. | Цѣна за пудъ. ფუთი როგორ. | | НА СУММУ. რამდენისაა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | Руб. მ. | К. კ. | Руб. მ. | К. კ. |
| | | | | | | |

Принялъ завѣдующій складомъ.

მიიღო საწყობის გამგემ.

При возвратѣ товара или вирученной отъ продажи суммы должно быть удержано:

საქონლის უკან გატანის ან აღებულ ფულის მიცემის დროს უნდა გამოერიცხოს.

| | | | |
|---|---|---|---|
| за храненіе . . . . . . . . . . . . . . შესანახი | | руб. მ. | коп. კ. |
| „ коммиссію (въ случаѣ продажи) . . საკომისიო (თუ გაიყიდა) | 1 | „ | „ |
| „ страхованіе . . . . . . . . . . . დასაზღვევი | | | 50 |

..................................................

Итого . . . . 1 руб. 50 коп.
სულ მ. კ.

Члены Правленія
წევრნი გამგეობისა

Счетоводъ
მოანგარიშე

Форма $\frac{\text{№ 48.}}{\text{1907 г.}}$

# კ ვ ი ტ ა ნ ც ი ა

Квитанція № 2.

საწყობი
Складъ ..............................................................................................................

| | საკრედიტო Кредитнаго | ამხანაგობისა |
|---|---|---|
| ........................................ | Ссудо-сберегательнаго. შემნახვ.-გამსესხებ. | Товарищества |

1913 года мая 1 дня принято отъ товарища № 20 . . . . Реваза Зантадзе на коммиссію для продажи срокомъ отъ вышеозначеннаго числа на 1 годъ.

1913 წელსა მაისის 1 დღესა მივიღეთ ამხანაგ რევაზ ზანტაძისა-გან საკომისიოდ გასაყიდად დღეიდან ერთის წლის ვადით.

| РОДЪ ТОВАРА. რა საქონელია. | Качество товара. როგორია. | Пудовъ. რამდენი ფუთია. | Цѣна за пудъ. ფუთი როგორ. | | НА СУММУ. რამდენისაა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | Руб. მ. | К. კ. | Руб. მ. | К. კ. |
| | | | | | | |

Принялъ завѣдующій складомъ
მიიღო საწყობის გამგემ

При возвратѣ товара или вырученной отъ продажи суммы должно быть удержано:

საქონლის უკან გატანის ან ფ ულის მიცემის დროს უნდა გამოერი-ცხოს:

| | | |
|---|---|---|
| за храненіе . . . . . . . . . . . . . შესანახი | руб. მ. | коп. კ. |
| „ коммиссію (въ случаѣ продажи) . . საკომისიო (თუ გაიყიდა) | 1 „ | „ |
| „ страхованіе . . . . . . . . . . . . | „ | 50 |
| Всего . . . . სულ | 1 руб. მ. | 50 коп. კ. |

Члены Правленія
წევრნი გამგეობისა

Счетоводъ
მოანგარიშე

არის საჭირო აგრეთვე „ბეღლის დავთარი“. ეს საჭიროა მაშინ, როცა ბევრს ქერსა, სიმინდსა და სხვ. ამის მინაგვარ საგნებს ვიღებთ და განსაკუთრებული ბეღელი გვაქვს ყოველ ამისათვის აგებული ან დაქირავებული. ან დავთარში იწერება, რამდენი ტომარა ან ფუთი შემოვიდა ან გაიტანეს ბეღლიდან.

აი ფორმა ამ დავთრისა:

სიმინდისა

Счетъ . . . . . . .

ანგარიში

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Время пріема или выдачи. დრო მიღებ. და მიცემ. | | Отъ кого принято или кому выдано. ვისგან მივიღეთ ან ვის მივეცით. | № квитанціи. № კვიტანციისა. | Первый сортъ марка № პირველი ხარისხი. | | | Второй сортъ марка № მეორე ხარისხ. | | | Третій сортъ марка № მესამე ხარისხ. | | | Четв. сортъ марка № მეოთხ. ხარისხ. | | |
| Годъ и мѣсяцъ. წელიწადი და თვე. | Число. თვის რიცხვი. | Фамилія или прозвище. გვარი და სახელი. | | Принято. მივიღეთ. | Выдано. მივეცით. | Остается. დარჩა. | Принято. მივიღეთ. | Выдано. მივეცით. | Остается. დარჩა. | Принято. მივიღეთ. | Выдано. მივეცით. | Остается. დარჩა. | Принято. მივიღეთ. | Выдано. მივეცით. | Остается. დარჩა. |
| | | | | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. | пуд. |
| 1913 მაისის | 1 | რევაზ ზანტაძისაგან | 2 | 100 | — | 100 | | | | | | | | | |
| ივლისის | 9 | სევ. წეროძეს (მიეყიდეთ). | — | — | 50 | 50 | | | | | | | | | |

რა დავთრებია საჭირო, როცა ამხანაგის მონდობილობით ვყიდულობთ საქონელს?

1. პირად ანგარიშის დავთარი იმათთვის, ვინც რისამე ყიდვას დაგვავალებს და

2. დავთარი მონდობილობით ნაყიდ საქონლისა.

რაც შეეხება ფულის ტრიალს ამ საქმის შესახებ, ამისთვისაც საჭიროა „შემოსავალ-გასავლის“ დავთარს მოემატოს შესაფერი უჯრები: პასსივში — „საქონლის საყიდლად შემოტანილ ფულისა“ და აქტივში — „ნაყიდის საქონლისა“.

მოჰხდება ხოლმე, და ძლიერ ხშირადაც, რომ ამხანაგობას საქონელი არ მოაქვს სავაჭროდან. ამხანაგობა სწერს ფირმას (სავაჭრო დაწესებულებას) ბარათს, რომელსაც ეწოდება ორდერი: ამის მომტანს მიეცით ესა და ეს საქონელიო. ფირმაც მისცემს და ჩვენ დაგვაწერს ვალად. მაშ, საჭიროა კიდევ დავთარი ამ ფირმებთან ანგარიშის საწარმოებლად: „დავთარი პირად ანგარიშებისა საქონლის გამყიდველთა და მომწოდებელთა“.

დავთრების ფორმები:

დავთარი იმათ პირად ანგარიშებისა, ვინც ყიდვას დაგვავალებს.

არის საჭირო აგრეთვე „ბეღლის დავთარი“. ეს საჭიროა მაშინ, როცა ბევრს ქერსა, სიმინდსა და სხვ. ამის მინაგვარ საგნებს ვიღებთ და განსაკუთრებული ბეღელი გვაქვს ყოველ ამისათვის აგებული ან დაქირავებული. ან დავთარში იწერება, რამდენი ტომარა ან ფუთი შემოვიდა ან გაიტანეს ბეღლიდან.

აი ფორმა ამ დავთრისა:

Счетъ . . . . . . .
ანგარიში სიმინდისა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Время пріема или выдачи. დრო მიღებ. და მიცემ. | | Отъ кого принято или кому выдано. ვისგან მივიღეთ ან ვის მივეცით. | | Первый сортъ марка № პირველი ხარისხი. | | | Второй сортъ марка № მეორე ხარისხ. | | | Третій сортъ марка № მესამე ხარისხ. | | | Четв. сортъ марка № მეოთხ. ხარისხ. | | |
| Годъ и мѣсяцъ. წელიწადი და თვე. | Число. თვის რიცხვი. | Фамилія или прозвище. გვარი და სახელი. | № квитанціи. № კვიტანციისა. | Принято. მივიღეთ. пуд. | Выдано. მივეცით. пуд. | Остается. დარჩა. пуд. | Принято. მივიღეთ. пуд. | Выдано. მივეცით. пуд. | Остается. დარჩა. пуд. | Принято. მივიღეთ. пуд. | Выдано. მივეცით. пуд. | Остается. დარჩა. пуд. | Принято. მივიღეთ. пуд. | Выдано. მივეცით. пуд. | Остается. დარჩა. пуд. |
| 1913 მაისის | 1 | რევაზ ზანტაძისაგან | 2 | 100 | — | 100 | | | | | | | | | |
| ივლისის | 9 | სევ. წეროძეს (მიეყიდეთ). | — | — | 50 | 50 | | | | | | | | | |

რა დავთრებია საჭირო, როცა ამხანაგის მონდობილობით ვყიდულობთ საქონელს?

1. პირად ანგარიშის დავთარი იმათთვის, ვინც რისამე ყიდვას დაგვავალებს და

2. დავთარი მონდობილობით ნაყიდ საქონლისა.

რაც შეეხება ფულის ტრიალს ამ საქმის შესახებ, ამისთვისაც საჭიროა „შემოსავალ-გასავლის“ დავთარს მოემატოს შესაფერი უჯრები: პასსივში — „საქონლის საყიდლად შემოტანილ ფულისა“ და აქტივში — „ნაყიდის საქონლისა“.

მოჰხდება ხოლმე, და ძლიერ ხშირადაც, რომ ამხანაგობას საქონელი არ მოაქვს სავაჭროდან. ამხანაგობა სწერს ფირმას (სავაჭრო დაწესებულებას) ბარათს, რომელსაც ეწოდება ორდერი: ამის მომტანს მიეცით ესა და ეს საქონელიო. ფირმაც მისცემს და ჩვენ დაგვაწერს ვალად. მაშ, საჭიროა კიდევ დავთარი ამ ფირმებთან ანგარიშის საწარმოებლად: „დავთარი პირად ანგარიშებისა საქონლის გამყიდველთა და მომწოდებელთა“.

დავთრების ფორმები:

დავთარი იმათ პირად ანგარიშებისა, ვინც ყიდვას დაგვავალებს.

Товарищъ № 11.
ამხანაგი

| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 | 6 | | 7 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Получено Товариществомъ для покупки. მიიღო ამხანაგობამ საქონლის საყიდლად. | | | | | | | | | |
| …дъ, мѣсяцъ и число. …წელიწადი, თვე და თვის რიცხვი. | № ст. прихода кассы. | № ქისის შემოს. | Нмзваніе и описаніе предметовъ покупки. რა საქონელი უნდა ვიყიდოთ. | На какой срокъ. ვადა. | Количество. რამდენი | Цѣна назначенная заказчикомъ. როგორ უნდა ვიყიდოთ. руб. მ. | к. კ. | Внесенная на покупку сумма. შემოიტანა ფული. руб. მ. | к. კ. |
| 913 | | | | | | | | | |
| ვნი-სის 2 | | | ერთი საუკეთესო სისტემის გუთანი. | | | 100 | | 20 | |

თედორე ბულბულაძე

| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | | 13 | | 14 | | 15 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Списано со счета за выданный Т-вомъ товаръ<br>ჩამოიწერა ანგარიშიდან გატანილ საქონლისა | | | | | | | | Удержанный комиссіоный процентъ.<br>დავიჭირეთ საკომისიო. | | Возвра щенный остаток<br>დაბარჩე დან რამდ ნი და ბრუნეთ | |
| Годъ, мѣсяцъ и число.<br>წელიწადი, თვე და თვის რიცხ. | № ст. расхода кассы.<br>№ კასის გასავ. | Названіе и описаніе выданнаго.<br>რა საქონელი გაიტანა. | Количество.<br>რამდენი. | По цѣнѣ.<br>ფასი. | | На сумму.<br>რამდენისა. | | | | | |
| | | | | Р. მ. | к. კ. | Р. მ. | к. კ. | Р. მ. | к. კ. | Р. მ. | к |
| | | | | | | | | | | | |

როგორც წინადაცა ვსთქვით, თვით საწყობი უნდა იყოს დაზღვეული, აგრედვე საქონელიც. აი ფორმა იმ ბლანკისა, რომელიც გაეგზავნება საქონლის დასაზღვევად დამზღვევ საზოგადოების აგენტს.

. . . . . . . дня 191 года.

## Извѣщеніе о страхованіи

От . . . . Кредитнаго / Ссудо-сберегательнаго Т-ва

**въ Агентство .**

На основаніи временныхъ правилъ, утвержденныхъ Г. Министромъ Финансовъ 24 Іюня 1894 года, предлагаются къ застрахованію нижеслѣдующіе продукты:

1. Имя, фамилія и званіе владѣльца сельско-хозяйственныхъ продуктовъ . .

2. Мѣсто храненія продуктовъ (уѣздъ, село, имѣніе или городъ, названіе улицы и № дома, станція желѣзной дороги и пр.) . . . . . . . . .

3. Родъ продуктовъ (табакъ, пшеница, рожь и пр.) .

4. Количество продуктовъ въ пудахъ или четвертяхъ . .

5. Родъ постройки хранилища (изъ какого матеріала

стѣны и крыша) и его назначеніе (жилой домъ, амбаръ, сарай и пр.) . . . . . . . .

6. Размѣръ выданной ссуды . . . . . . . . . . . .

7. Сумма, предлагаемая къ застрахованію (прописью) . .

8. Съ какого числа и на какой срокъ предлагается страхованіе . . . . . . . . .

9. Особыя замѣчанія . .

Предсѣдатель

Члены Правленія

Форма № 49. / 1907 г.

დავთარი მონდობილობით ნაყიდ საქონლის.

Счетъ
ანგარიში

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | 6 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | Куплено. ვიყიდეთ. | | | | | |
| Годъ, мѣсяцъ и число. წელიწად. თვე და თვის რიცხვი. | № ст. расхода кассы. № კასის გასავლის. | Описаніе купленнаго. რა ვიყიდეთ. | Количество. რაოდენ. | Цѣна. ფასი. | | Сумма. რამდენ. ფულ. | |
| | | | | Руб. მ. | К. კ. | Руб. მ. | К. კ. |
| | | | | | | | |

| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | | 14 | | 15 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | В Ы Д А Н О. მივეცით. | | | | | | | | | Удержанный комиссіонный. საკომისიოთ და-ვიჭირეთ. | |
| | | КОМУ. ვის. | | | | | | | | | |
| Годъ, мѣсяцъ и число. წელიწადი, თვე და თვის რიცხვი. | № ст. прихода кассы. № კას. შემოს. | Имя и фамилія. სახ. და გვარ. | № товарищ. № ამხ. | Описаніе выданнаго. რა მივეცით. | Количество. რაოდენობა. | цѣна. ფასი. | | сумма. რამდენი ავილეთ. | | | |
| | | | | | | Р. მ. | К. კ. | Р. მ. | К. კ. | Р. მ. | К. კ. |
| | | | | | | | | | | | |

## Счетъ № 3. კავკასიის საიმპერატორო ანგარიში

| 1 | | 2 | 3 | 4 | | 5 | | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Годъ, мѣсяцъ и число. წელიწადი, თვე და თვის რიცხვი. | | № ст. расхода кассы. № კასის გასავლისა. | № ордера. № ორდერისა. | Сумма произведенныхъ уплатъ. რამდენი მივეცით. | | Остатокъ долга. დარჩა ვალი. | | Росписки въ полученiи платежа. ხელის მოწერა, რომ მიღებული აქვთ. |
| | | | | Руб. მ. | К. კ. | Руб. მ. | К. კ. | |
| 1913 წ. ივნისის | 15 | 39 | 25 | 30 | — | 16 | — | |

სასოფლო-სამეურნეო საზოგად. საწყობი

| 7 | | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | | 15 | | 16 | | 17 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Число. წელიწადი, თვე და თვის რიცხვი. | | № ст. прихода кассы. № ქასის შემოსავლ. | № ордера. № ორდერისა. | Кому выданъ. ვის მიეცით. Фамилія или прозвище. სახელი და გვარი. | № товарища. № ამხანაგისა. | На получ. какихъ товар. რა საქონლისა. Названіе. სახელწ. | Количество. რაოდენობა. | Цѣна. როგორ. Р. მ. | К. კ. | Сумма ордера. სულ რამდენისაა. Р. მ. | К. კ. | Срокъ платежа по ордеру. ვადა ფულ. შემოტ. | | Отмѣт. объ упл. (№ ст. расх. кассы). დანიშ. ფულ. შემოტ. (ქასის გასავლის №). |
| 913 ნვრ. | 15 | | 1 | ს. ჯინჭველაძეს | 15 | აბრეშ. თეს. | 3 კ. | 2 | — | 6 | — | ივნ. | 20 | |
| ებ. | 20 | | 2 | გრ. კერპაძეს. | 18 | გუთ.—სის. | 1 | 40 | — | 40 | — | ივნ. | 15 | |

მესამე რიგი საშუამავლო ოპერაციებისა, როგორც ვსთქვით, არის ყიდვა საქონლის განსაკუთრებულ თანხით. ეს „განსაკუთრებული თანხა“ უნდა შესდგეს ან მოგებიდან გადადებულ ფულით ან შემოწირულებით ან ამხანაგთაგან ამ დანიშნულებისათვის კერძოდ შეგროვებულ ფულით.

ამხანაგობა აქ გამოდის, როგორც ვაჭარი: ჰყიდულობს საქონელს და მერე ჰყიდის წევრთ; ჰყიდის, რასაკვირველია, არა ისეთის მოგებით, როგორც კერძო ვაჭარი, არამედ უფრო შეღავათიან ფასად.

აქ საჭიროა „დავთარი საქონლისა“ და „შემოსავალ-გასავლის“ დავთარში უჯრები „შეძენილი საქონელი“. ამ უჯრის „შემოსავალში“ ჩავსწერთ აღებულ ფულს, „გასავალში“ ყიდვაზე დახარჯულ თანხას. მოგება და ზარალი კი ამ ოპერაციისა ისე იწერება, როგორც წინა ოპერაციებისა (უჯრაში: მოგება ან ზარალი საშუამავლო ოპერაციებისა).

როგორც ჰხედავთ, საშუამავლო ოპერაციებიც „შემოსავალ-გასავლის“ დავთართან არის დაკავშირებული და მათი შემოწმებაც ისე უნდა მოჰხდეს, როგორც სხვა კერძო დავთრებისა. ხოლო „საქონლის დავთარში“ ნაჩვენებ საქონლის რაოდენობას უნდა შეედრებოდეს საქონლის რაოდენობა ნამდვილად, როგორც „შემოსავ.-გასავლ.“ დავთარში ნაჩვენებ რაოდენობას შეეფერება ყოველთვის ნაღდათ დარჩენილ ფულის რაოდენობა.

აი ფორმა „შემოსავალ-გასავლის“ დავთრის სრულის ფორმისა, ე. ი. აქ ნაჩვენებია უჯრები საშუამავლო ოპერაციების ჩასაწერადაც. ეს ფორმა შვიდის უჯრით მეტია წინად მოყვანილ ფორმაზე. ეს შვიდი უჯრა სულ საშუამავლო ოპერაციებს ეხება: ამისათვის ასეთ ფორმის დავთარს („შემოსავ.-გასავლისას“) აწარმოებენ მხოლოდ იმ ამხანაგობაში, სადაც საშუამავლო ოპერაციებს აქვს ადგილი.

**მამულის იჯარით აღება.** განსაკუთრებულ ყურადღებას საშუამავლო ოპერაციათა შორის მივაქცევ მამულის იჯარით აღებას წევრთათვის. ეს საქმე ნებადართულია წვრილ კრედიტის ამხანაგობათათვის 24 ივლისს 1907 წ.

ჩვენში რომ მამულის ნაკლებობაა და გლეხთა უმრავლესობა სხვის მამულის დამუშავებით ირჩენს თავს, ეგ აღარავისათვის საიდუმლო არ არის. გლეხი უმეტეს შემთხვევაში ან უბრალო სოფლის მუშაა, დღიური, ან ამუშავებს მემამულის მიწას სანახევროდ, სამესამედოდ და სხვ.

ამნაირად ჩვენებური გლეხი მიწის ქირას იხდის ნამუშევარით (ღალა), რაიცა ძლიერ საზარალოა მისთვის. გარდა ამისა, ხშირად გლეხი იღებს იჯარით მამულს არა პირდაპირ მემამულისაგან, არამედ იჯარადარისაგან. ჩვენში წვრილი მემამულეც კი ხშირად იჯარით გასცემს ხოლმე მამულს, რადგანაც ვერ უცდის სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათა გამო ჭირნახულის მოსვლას და უნდა ნაღდად აიღოს ფული; მეორე იჯარადარი გლეხებს აძლევს სანახევროდ, სამესამედოდ და სხვ.

ცხადია, გლეხს რომ პირდაპირ გამოერთმია ასეთ შემთხვევაში მამული მემამულისათვის, უფრო იაფად გამოვიდოდა; მაგრამ იმას ფული არ ჰქონდა, მემამულეს კი ახლა ეჭირვებოდა ფული.

გარდა ამისა, მრავალი თავისუფალი მამული აქვს ჩვენში ბანკებს დარჩენილი; არც ესენი იძლევია ხანდახან მამულს წვრილ-წვრილად იჯარით; ერთ გლეხს ბევრის აღება არც ესაჭიროება და არც შეუძლიან. აი აქ საჭიროა დახმარება გაუწიოს წვრილ კრედიტის ამხანაგობამ თავის წევრს.

მისთვის მოგებად ისიც კმარა, თუ მემამულესაგან ნაღდ ფულად იქირავეს (მაშინ მემამულე უფრო იაფად მისცემს) და ათას გვარ მოურავისა და იჯარადრის „პატივისცემას“ გადარჩა.

ამისათვის კი კაჭიროა, საზოგადო კრებამ დაადგინოს მამულის იჯარით აღება წევრთათვის. აქ ამხანაგობას შეუძლიან იხელმძღვანელოს წვრილ კრედიტის სამმართველოს მიერ 24

ივლისს 1907 წ. გამოცემულ წესით*). მერე გამოიანგარიშებს, ვის რამდენი მიწა ეჭირვება და იქირავებს საერთოდ იმდენ მიწას, რამდენიც ყველა წევრისათვის არის საჭირო. ფული ამ საქმისათვის შეიძლება დაიხარჯოს საზოგადო თანხიდან.

მიწა განაწილდება მოთხოვნილების თანხმად, ხოლო საიჯარო გადასახადს, ვისაც შეუძლიან, შემოიტანს, ვისაც არ შეუძლიან, იმას ამხანაგობა დააწერს ვალათ („სესხი“) ჩვეულებრივ წესით.

სამწუხაროდ, აქ არ შეგვიძლია დიდხანს ვილაპარაკოთ ამ ოპერაციის შესახებ, მაგრამ ურჩევთ ჩვენს კოოპერატორებს ყურადღება მიაქციონ ამ მეტად საინტერესო საქმეს. ასეთი წესი იჯარით მამულის აღებისა განსაკუთრებით გახშირებულია იტალიაში. იქ გლეხთა ამხანაგობანი არამც თუ შეერებულის ძალით ქირაობენ მამულს, იძენენ საერთოდ იარაღს, ჰხნავენ და სთესენ ერთად და მხოლოდ ჰირნახულს ინაწილებენ.

ჩვენშიაც იყო ამხანაგობანი, რომელთაც სცადეს რაღაც ასეთი (ამხანაგობა „ნადი“ სოფ. კულაშში და „მშრომელთა კავშირი“ სოფ. ჭაგანში ქუთაისის მაზრა), მაგრამ არ გამოდგა. არ გამოდგა იმიტომ, რატომაც ჩვენში არ გამოდგება ხოლმე ბევრი სხვა სახის კოოპერატივიც -- უპირულობის, დაუდევრობის გამო და უმთავრესად იმიტომ, რომ დასახელებულ ამხანაგობებს საფუძვლად წოდებრივობა დაუდვეს -- მარტო აზნაურები შეკავშირდნენ — და ისეთებმა მოინდომეს „მუშაობა“, რომელთაც ხარის უღელში შებმაც კი არ იცოდნენ...

იტალიაში, რასაკვირველია, მეტი შეგნებაა, მეტი კოოპერატიული აღზრდაა. რაც იქ შესაძლებელია, იგი ჯერ-ჯერობით ნაადრევია ჩვენში. ამიტომ წესი მთელის მუშაობის გაერთიანებისა ჩვენში ჯერ ფეხს ვერ მოიკიდებს. ხოლო მიწის იჯარით აღებაც, საერთო მანქანების ყიდვაც კი ყოველგან იხეირებს, სადაც იმას ხელს მოჰკიდებენ და მოხერხებით გაუძღვებიან.

---

*) იხ. ბოროდაევსკის წიგნში „Сборникъ по мелкому кредиту“.

# სესხი გირაოს ქვეშ.

ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ სესხის გაცემის შესახებ გირაოს ქვეშ.

ჩვენ ვიცით, როგორ იწერება გაცემული სესხი „შემოსავალ-გასავლის“ დავთარში. აქ არავითარ ცვლილების შეტანა არაა საჭირო. მაგრამ საჭიროა დავთარი, სადაც იწერება როგორც გირაო მიღებული, ისე დაბრუნებული უკან.

არსებობს ამისათვის ორნაირი დავთარი. ერთნაირი დავთარი ისეთ საქონლისა ანუ ნაწარმოებისათვის, რომელიც ასაწყავია (ფუთობით, კოდობით და სხვ.), მაგალითად, სიმინდისა, ხორბლისა, ქერისათვის და სხვ. მეორე ნაირი დავთარი ისეთ საქონლისათვის, რომელიც ითვლება რიცხვით: ერთი ცალი, ორი ცალი და სხვ. მაგალ., გუთანი.

. რადგან პირველ დარგის გირაო შეიძლება ბევრნაირი იყოს, დავთარში თითოეულ დარგის გირაოსათვის (პური, ქერი, სიმინდი და სხვ.) ცალკე უჯრაა.

აი ამ დავთრის ფორმაც:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 10 | 11 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Годъ, мѣсяцъ и число. წელიწადი, თვე და თვის რიცხვი. | Принято. მიღებულია. | | | | | | | | Оцѣнка пуда продукта, по которой онъ принятъ. | | Опредѣлено Правленіемъ къ выдачѣ въ ссуду на пудъ. | | Выдано. მიეცა. | | | | | | | |
| | № квитанціи. № კვიტანციისა. | Вѣсъ прод. въ пудахъ по родамъ его. წონა ნაწარ. ფუთ. | | | | | | Сортъ. ხარისხი. | | | | | № квитанціи. № კვიტანციისა. | Вѣсъ прод. въ пудахъ по родамъ его. წონა ნაწარ. ფუთ. | | | | | | Сортъ. ხარისხი. |
| | | სიმინდი. | ფეტვი. | ქერი. | ამრეკ. ვარკ. | | | | Р. მ. | К. კ. | Р. მ. | К. კ. | | სიმინდი. | ფეტვი. | ქერი. | ამრეკ. ვარკ. | | | |
| | გად. перен. | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| 20 | 21 | 22 | 23 | | 24 | | 25 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| От кого принято или кому выдано. / ვისგან მიგიღეთ ან ვის მივეცით. | | | Ссуды. / სესხი. | | | | |
| № ст. приходо-расходной книги. № შემ.-გას. დავთ. | Имя отчество (начальныя буквы) и фамилія или прозвище. / სახელი, მამის სახელი და გვარი. | № товарищ. № ამხანაგისა. | Выдано товариществомъ. / მიეცა. | | Получено товариществомъ. / მივიღეთ. | | Примѣчаніе. / შენიშვნა. |
| | | | Руб. | Коп. | Руб. | Коп. | |
| | გადმოტანილ. Переносъ. | | | | | | |

ფორმა ცნობისა, სახელმწიფო ბანკში წარსადგენი, იმ ამხანაგობისაგან, რომელიც სესხს გირაოს ქვეშ იძლევა.

---

Въ . . . . . . . . Отдѣленіе Государственнаго Банка.

## ВѢДОМОСТЬ

За . . . . . . . . мѣсяцъ 191 . . года.

. . . . . Кредитнаго / Ссудо-сберегательнаго Товарищества по

залоговой операціи.

| Названіе и сортъ товара. | Оставалось къ 1 пудовъ. | Принято пудовъ. | Выдано пудовъ. | Остается къ 1.................. пудовъ. | Всего остается къ 1..... ......... ссудъ на сумму. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

Члены Правленія {

Счетоводъ

Члены Повѣреннаго Совѣта {

Форма $\frac{№\ 27}{1907\ г.}$

# ვადა-გასული სესხის გადახდევინება.

ქვეყანაზე იდეალურად მოწყობილი, ისე, როგორც ადამიანს უნდა, ბევრი რამ არ არის. ყოველ საქმეში მოსალოდნელი უსიამოვნება და, რა გასაკვირველი იქნება, თუ წვრილის კრედიტის დაწესებულებაშიაც ვერ ავსცდეთ ასეთს უსიამოვნებას.

**პირიანი და უპირული მსესხებელნი.**

როცა ფულის გატანაა, მაშინ ყველა ტკბილად გელაპარაკება, ამხანაგობის მაღალ დანიშნულებასა და ზნეობრივ პრინციპებზე ლაღადებს; მაგრამ როცა ვალის გადახდის დრო მოვა, ზოგს ეგ დიდმნიშვნელოვანი სიტყვები ავიწყდება. სვინიდისიერი და პატიოსანი კაცი, რასაკვირველია, ვალს რომ ვერ იხდის, თავის სიტყვას რომ ვერ ასრულებს და პირ-ნათლად ვერ გამოდის ამხანაგობის წინაშე, ხშირად მეტსა სწუხს და ჰდარდობს, ვიდრე თვით ამხანაგობის გამგენი; ხოლო, სამწუხაროდ, არიან ისეთი ვაჟბატონებიც, რომელთაც გაძარცვა-გაგლეჯა ამხანაგობისა დიდ ყოჩაღობათ და საქებ საქმეთ მიაჩნიათ. ასეთი ვაჟბატონები, იმის მაგიერ, რომ იზრუნონ, ვალი როგორ გადავიხადოთო, იმასა ფიქრობენ, რა საშუალებას მიჰმართონ, რომ ვალის გადახდა თავიდან ავიცილოთო.

ბევრს ის გარემოება ჰლუპავს, რომ არ ესმის დანიშნულება წვრილ კრედიტის დაწესებულებისა და ფული გააქვს სულ გამოუსადეგარ, არა ნაყოფიერ საგნისათვის; ზოგსაც ჰგონია, რომ ფულს ხაზინა მუქთად ურიგებს, მანიფესტი აპატიებს ვალსაო და სხვა და სხვა.

წინადაც მოგახსენეთ და კვლავაც უნდა განვიმეოროთ, რომ მოვალეობაა მეთაურთა და გამგეობისა ყოველივე კარგად აუხსნან წევრთ თვით საკრედიტო ამხანაგობის დაარსების წინად, გააცნონ და განუმარტონ ყველას წესდება და ის მოვალეობანი, რომელსაც წევრი კისრულობს. წესდება ზედმიწევნით უნდა იცოდეს არამცთუ მარტო გამგეობამ, არამედ ამხანაგობის ყოველმა წევრმა.

ორი შემთხვევაა გასარჩევი, როცა წევრი ვალს ვერ იხდის: ერთი—შეუძლებლობა, სიღარიბე; მეორე—ჯიუტობა, სურვილი ნასესხებ ფულის შერჩენისა.

პირველ შემთხვევას, რასაკვირველია, ადვილად არაფერი ეშველება. გამგეობის მოვალეობა იყო თავიდანვე ისე მოეხერხებინა საქმე, რომ ფული არ მიეცა ისეთებისათვის, ვინც თავის დროზე დაბრუნებას ვერ მოახერხებდა. საკრედიტო ამხანაგობა საქველმოქმედო დაწესებულება არ არის და ღარიბებს შემწეობას ფულის ჩუქებით ხომ ვერ აღმოუჩენს? მაგრამ შესაძლებელია, კაცს რაიმე მოულოდნელი უბედურება დაატყდა თავსა (ცეცხლი გაუჩნდა, ჭირმა საქონელი გაუწყვიტა, სიკვდილი, მოუსავლობა და სხვ.); ნუთუ ასეთ შემთხვევაში ამხანაგობაც ყელში უნდა სწვდეს უბედურ ადამიანს? არა. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის გამგეობას სრული უფლება აქვს მოვალეს დრო მისცეს და პატიოსან წევრს ხელი შეუწყოს, რათა პირ-ნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა (მუხ. 70 და 73).

მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ წევრი არ იხდის ვადაზე ფულს და არც რაიმე პატივსადები მიზეზი სჩანს: არ უნდა და არ იხდის, მორჩა და გათავდა! ასეთ წევრთა დაზოგვა შეუძლებელია.

გამგეობას არავითარი უფლება არა აქვს, არც ზნეობრივი და არც იურიდიული, რაიმე შეღავათი მისცეს ამათ, როგორმე ხელი დააფაროს.

ასეთნი წევრნი ზარალს აყენებენ ამხანაგობას, ე. ი. იმათ, რომელნიც, ნივთიერ მდგომარეობით, შეიძლება უფრო დაბ-

ლაც იდგნენ, ვიდრე ეგ „გაჯიუტებული“ ვაჟბატონები: ამხანაგობაში ხომ ხელშეკრულებაა და, თუ ვინმემ არ გადიხადა, ზარალი ყველა ამხანაგს გადახდება.

ასეთ შემთხვევაში გამგეობა ვალდებულია მიჰმართოს იძულებით გადახდევინებას. უნდა იჩივლოს. ხოლო ჩივილის წინად მაინც უნდა გამოიჩინოს სიდარბაისლე და შეატყობინოს, როგორც თვით მსესხებელს, ისე იმის თავმდებს: გთხოვთ ვალი გადაიხადოთ, თორემ იძულებული ვართ გიჩივლოთო.

**წესი გადახდევინებისა.** თქვენ იცით, რასაკვირველია, რომ ჩვეულებრივ ყოველი ხელწერილი და თამასუქიც განსაჩივრებულ უნდა იქმნას სასამართლოში; იქ საქმე გაირჩევა, გადაწყდება და, შემდეგ ამისა, იძლევიან აღმასრულებელ ფურცელს (исполнительный листъ), რომლის ძალით შეგვიძლია მოვალეს აუწეროთ მამული, დაუჭიროთ ჯამაგირი და სხვ. ცხადია, ასეთი წესი ვალის გადახდევინებისა ბევრ ხარჯს მოითხოვს და დიდხანსაც გრძელდება: პასუხისმგებელს, ე. ი. მოვალეს, სასამართლოში უფლება აქვს იმართლოს თავი და, თუ გაჯიუტდება, ხან მოწმეს დაასახელებს, ხან ავადმყოფობის მოწმობას წარმოადგენს, ხან რას და ხან რას. არის შემთხვევა, როცა უბრალო და ნათელი საქმე ხელწერილის (და ვექსილისაც) შესახებ თვეობით და წლობით გრძელდება სასამართლოში.

ასეთის გაზვიადებულის წესით საქმის დევნა, რა თქმა უნდა, ძლიერ ძნელი იქნებოდა პატარა საკრედიტო ამხანაგობისათვის, სადაც უმეტეს შემთხვევაში გამგეობის წევრნი მუქთად მსახურებენ და არც არავითარი გამოცდილება აქვთ იურიდიულ საქმეებსა და დავიდარაბაში. მაგრამ კანონი ამ მხრივ დიდ შეღავათს აძლევს წვრილ კრედიტის დაწესებულებას.

თანახმად 71 და 72 მუხ. წესდებისა, წვრილ კრედიტის ამხანაგობა უპირულ წევრთ სასამართლოში არ უჩივის. გამგეობა ატყობინებს მხოლოდ ადგილობრივ პოლიციას, ადმინისტრაციას (სოფლის მართველობა) და ეს უკანასკნელი ვალდებულია მსესხებელს პირდაპირ აუწეროს ქონება ან სხვა ლო-

ნე იხმაროს ფულის ასაღებად არა უგვიანეს შვიდის დღისა გან
ცხადების მიღების შემდეგ.

უნდა გვახსოვდეს მხოლოდ, რომ ადმინისტრაციისათვის (ვსთქვათ, სოფლის სამმართველოში) განცხადების გაგზავნა არ კმარა. ამხანაგობის გამგეობამ კვალ-და-კვალ უნდა სდიოს სასოფლო სამმართველოს წარმომადგენლებს, სანამ გაცემული სესხი და გაწეული ხარჯები სრულად არ იქნება ანაზღაურებული.

რაკი საქმე საჩივრამდის მივიდა, მერე ენერგიული ღონის ძიების მიღებაა საჭირო, რათა ერთისა და ორის უპირულ მოვალის შეუბრალებლად დატუქსვის შემდეგ, სხვა უპირული მოვალეებიც გონს მოვიდნენ და უფრო ადვილად გადაიხადონ ვალი.

ამისათვის კი საჭიროა, გამგეობამ კარგად იცოდეს წესები გადახდევინებისა, რადგანაც ხშირად პოლიციის წარმომადგენლებს სრულებით არა გაეგებათ-რა ამ საქმისა.

განცხადებაში, რომელსაც ამხანაგობა უგზავნის სოფლის სამმართველოს, აღნიშნული უნდა იყოს სახელი და გვარი, ბინადრობა მსესხებლისა და იმის თავდებისა და რამდენი ვალი (თავნი), სარგებელი და ხარჯი უნდა გადაჰხდეთ იმათ.

**ჯარიმა.** აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ წვრილ კრედიტის ამხანაგობას კანონი არ უშლის ვადაგასულ სესხს ჯარიმა შეაწეროს, ვსთქვათ 12%. მართალია, ამის შესახებ, სანიმუშო წესდებაში არაფერია ნათქვამი, მაგრამ არის განმარტებანი, რომელიც ამის უფლებას ანიჭებს გამგეობას. საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, რომ ჯარიმა უნდა დაითვალოს თავნ ვალზე და არა თავნზედაც და სარგებელზედაც. (Циркул. Управл. по дѣламъ мелкаго кредита отъ 14 іюня 1910 г. № 176).

დადგენილება ჯარიმის გადახდევინებისა ამხანაგობას შეუძლია მიიღოს საზოგადო კრებაზე და შეიტანოს იმ საზოგადო წესთა შორის, რომლითაც გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს. ჯარიმის გადახდევინებას ის მნიშვნელობა ექნება, რომ მსესხებელი იმის შიშით უფრო ეცდება ვალის თავის დროზე

გადახდას. ხოლო, თუ საზოგადო კრებამ დაადგინა ჯარიმის გადახდევინება, არავის შეუძლია თავი იმართლოს იმით, რომ ეგ წესდებაში არ სწერია (მუხ. 109); შესაძლებელია, ასეთი დადგენილება წესდებაშიც იქმნას შეტანილი, რასაკვირველია, ჩვეულებრივის წესით.

განცხადება საკრედიტო ამხანაგობისა ყოველისავე მიზეზის გარეშე დაუყონებლივ უნდა მოიყვანოს ადმინისტრაციამ სისრულეში და არავითარ გამოკითხვასა და საქმის გამოძიებაში არ უნდა შევიდეს.

არავითარი თავის მართლება მსესხებლის მხრივ შესაწყნარებელი არ არის და პოლიცია ვალდებულია შეაჩეროს გადახდევინება მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ თვით გამგეობიდანვე მიიღებს ცნობას, ან თუ სასამართლოდან ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. ისე კი, თუნდაც საჩივარი აღძრას მსესხებელმა, პოლიცია განაჩენს ვერ დაუცდის და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შეიძლება შეჩერდეს იმის მოქმედება, თუ იგი ამ დრომდის რაიმე მიზეზის გამო არ დასრულებულა.

სასოფლო სამმართველოს თუ პოლიციას უფლება არა აქვს რაიმე საბუთი მოსთხოვოს გამგეობას; ერთად ერთი საბუთი მისთვის არის განცხადება გამგეობისა გადახდევინების შესახებ.

სოფლის სამმართველო თუ პოლიცია ჰმოქმედობს ისე, როგორც გამგეობა უჩვენებს, ე. ი. უნდა ასწეროს ის, რასაც გამგეობა დაასახელებს.

გამგეობა წინდაწინ შეატყობინებს მოვალეს, რომ მისი ქონება იქნება აღწერილი, ხოლო ქონების აღწერის შემდეგ ჰნიშნავს დღეს საჯარო ვაჭრობისას.

ვადა საჯარო ვაჭრობისა არ უნდა აღემატებოდეს ერთს თვეს ან თვე ნახევარს.

საჯარო ვაჭრობა სწარმოობს ან სასოფლო სამმართველოში ან მოვალის ბინაზე.

ვაჭრობას უნდა დაესწრნენ წვრილ კრედიტის ამხანაგო-

პის წარმომადგენელნი და თვით მოვალეც. მაგრამ ამათი დასწრება არაა სავალდებულო და ვაჭრობა შეიძლება ამათ დაუსწრებლადაც მოჰხდეს.

ვაჭრობა იწყება იმ ფასიდან, რომელიც გადასახდელია. აღებულ ფულით უნდა დაკმაყოფილდეს ჯერ სახელმწიფო გადასახადების ვალი და მერე ვალი ამხანაგობისა. მაგრამ თუ მამული დაგირავებული იყო ამხანაგობაში, მაშინ უპირატესობა ეძლევა ამხანაგობის ვალს.

ვაჭრობა თითოეულ აწერილს საგანზე ცალკე სწარმოებს.

თუ პირველი საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, ინიშნება ხელმეორედ და მეორე ვაჭრობის დროს აწერილი საქონელი შეიძლება უფრო იაფად გაიყიდოს, ვიდრე პირველ ვაჭრობაზე იყო დანიშნული, შეიძლება თვით ამხანაგობასაც დარჩეს.

თუ გაყიდულ საქონელში აღებულიდან რამ გადარჩა ვალებს, ეს დანაშთენი პატრონს უბრუნდება.

**რის აღწერა არ შეიძლება.**

ყველაფრის აღწერა არ შეიძლება. არ შეიძლება აღწერა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ყოველ დღიურ სატარებელ ტანსაცმელისა, აუცილებლად საჭირო საცვლებისა და ჭურჭლეულობისა, საჭირო ქვეშსაგებისა (ლოგინისა) და ტახტისა და საზოგადოდ საეკლესიო ნივთებისა და სამოსწავლო წიგნებისა, საბუთებისა, სახელმწიფო სამსახურის მოხელის ფორმის ტანსაცმელისა, არსებობისათვის აუცილებლად საჭირო საქონლისა (პირუტყვი) და სამუშაო იარაღისა (ერთი ძროხა ან ორი თხა), სამის თვის საკმარის სარჩოსი და სათესლედ სამყოფ ხორბლისა, სიმინდისა და სხვ.

ასეთია კანონი მოძრავ ქონების შესახებ. რაც შეეხება უძრავ ქონებას, იმის აღწერა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილების თანახმად.

ვალის გადახდევინების ნიადაგზე ხშირად უსიამოვნება ჰხდება პოლიციის წარმომადგენელთა და ამხანაგობის გამგეობის წევრთა შორის. ამის მიზეზი უმთავრესად კანონის უცოდინარობაა.

**ცირკულიარები.** ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, რომ კანონი ყოველისავე ნათქვამის შესახებ და უმთავრესად იმის შესახებ, რომ ვალის გადახდევინება მოვალეობაა ადგილობრივ პოლიციისა ან სოფლის სამმართველოსი, ჯერ ნაჩვენებია წვრილ კრედიტის ამხანაგობათა წესდებაში -- მუხ. 71 და 72; მერე ნათქვამია მრავალ ცირკულიარში, რომელთაგან დავასახელებ, აქ ცირკულიარს: циркул. управл. по дѣламъ мелкаго кредита отъ 2 авг. 1908 г. № 114,—„наставленіе о взысканіи долговъ съ заемщиковъ учрежденій мелкаго кредита административнымъ порядкомъ" და ცირკულიარებს შინაგან საქმეთა მინისტრისას ადგილობრივ გუბერნატორთა მიმართ: № 25 отъ 18 апрѣля 1907 г. და № 27 отъ 24 апрѣля 1908 г. ორსავე ამ უკანასკნელ ცირკულიარში შინაგან საქმეთა მინისტრი სწერს გუბერნატორებს, რომ ხელი შეუწყონ წვრილ კრედიტის ამხანაგობის გამგეობას ვალის გადახდევინებაში და ყური უგდონ, რომ ადგილობრივი პოლიცია და სოფლის სამმართველოები საქმეს ფიცხელის ყურადღებით ასრულებდნენ.

თანხმად № 70 4 ნოემბრ. 1909 წ. ცირკულიარისა, გუბერნატორებს ევალებათ წარადგინონ სამინისტროში ცნობანი იმის შესახებ, თუ რამდენი სესხი გადაუხდევინებია ადგილობრივ ადმინისტრაციას წვრილ კრედიტის ამხანაგობათა სასარგებლოდ, რათა ამნაირად ნათელი იყოს, რაოდენ საქმიანობას და ერთგულებას იჩენენ ამ მხრივ ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.

ფორმა უწყებისა მსესხებელს:

# უ წ ყ ე ბ ა

ამხანაგს № 000 გიორგი ზაალის ძეს უიშვილს . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

თქვენ მიერ ამხანაგობიდან გატანილ 1913 წლის 12 თებერვ. მოცემულის ხელწერილით სესხის 60 მან. ვადა გავიდა 12 ივლისს ამავე 1913 წ., რისთვისაც გაცნობებთ, დაუყოვნებლივ გადაიხადოთ ეგ ვალი; თუ არ გადაიხდით, გამგეობა შეუდგება, თანხმად ამხანაგობის წესდებისა, სესხის იძულებით გადახდევინებას.

**გამგეობის წევრნი:** {

ფორმა უწყებისა თავმდებს:

# უ წ ყ ე ბ ა

თავმდებს ამასა და ამას . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ვადა წევრის № 00 გ. ზ. უიშვილის 60 მან. სესხისა, რომელიც ჩვენ მივეცით თქვენის თავდებობით 1913 წლის 12 თებერვ., გავიდა 12 ივლისს ამა 1913 წელსა. გამგეობა ამა და ამ ამხანაგობისა მოგიწოდებთ თქვენ დაუყოვნებლივ გადაიხადოთ ეს ვალი და თან გაფრთხილებთ, რომ, თუ არ გადაიხდით, იგი, ამხანაგობის წესდებისა და თქვენ მიერ მოცემულის ვალდებულების ქაღალდის თანახმად, შეუდგება სესხის იძულებით გადახდევინებას.

**გამგეობის წევრნი:** {

**გ ა მ გ ე ო ბ ა**
ამა და ამ სოფლის
საკრედიტო
**ამხანაგობისა**
30 ივლისს 1913 წ.
№ 000

ამა და ამ სოფლის სამმართველოს

ამა და სოფლის მცხოვრებმა ამანა და ამან

გადააცილა ვადა ამხანაგობისაგან 12 თებერვალს 1913 წ. აღებულ სესხისა, რომელიც უნდა გადაეხადა 12 ამ თვესა. ვალია ამხანაგობისა ამ სესხით 62 მ.– – . . კ., ამაში:

| | |
|---|---|
| გადაუხდელი სესხი | 60 მ. . . კ. |
| სარგებელი | . მ. 60 კ. |
| ჯარიმა . | . 1 მ. 10 კ. |
| ხარჯი | . . მ. 30 კ. |

ამხანაგობის გამგეობა ხელმძღვანელობს 13 მუხ. უმაღლესად დამტკიცებულით 7 ივნისს 1904 წ. დებულებისა

Форма № 46 1907 г.

წვრილ კრედიტის შესახებ *), და უმორჩილესად სთხოვს ამა და ამ სოფლის სამმართველოს, ამის მიღებისათანავე, არა უგვიანეს შვიდის დღისა, შეუდგეს ხსენებულის პირის ქონების აღწერას და, აღწერილობის შედგენისათანავე, დაჰნიშნოს აღწერილ ქონებაზედ ვაჭრობა და, როგორც დღე და საათი აღწერის დაწყებისა, ისე ადგილი და დრო ვაჭრობისაც შეატყობინოთ წინდაწინვე გამგეობას.

თუ აღწერას და ვაჭრობას დანიშნულ დროზე ვერ დაესწრო რწმუნებული ამხანაგობისა, ამით არ უნდა შეჩერდეს გადახდევინების წესი.

**წევრნი გამგეობისა:** {

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ, თანხმად 1912 წ. გამოსულ ცირკულიარისა, იმ სოფლის გლეხთ, რომელშიაც ამხანაგობა არსებობს, ახდევინებს ვადა გასულ სესხს ადგილობრივი სოფლის სამმართველო, გარეშე სოფლების მცხოვრებ-წევრებს კი პოლიცია (ბოქაული და სხვ.) იხ. циркул. управлен. по дѣламъ мелкаго кредита № 262 отъ 5 декабря 1912 г.

—

*) ამონაწერი კანონიდან: „ვადა გასულ სესხს წვრილ კრედიტის დაწესებულება ახდევინებს პოლიციისა და სოფლის სამმართველოს შემწეობით. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან იმოქმედონ წვრილ კრედიტის დაწესებულების ჩვენების თანახმად, არა უგვიანეს შვიდის დღისა, დღიდან მიღებისა ამის შესახებ ხსენებულ დაწესებულებიდან განცხადებისა. გაყიდვის დროს, რანაირიც უნდა იყოს გადასახადი, ვალი წვრილ კრედიტისა ანაზღაურებულ უნდა იქმნას უწინარეს სახელმწიფო თუ სხვა რაიმე გადასახადისა (მუხ. 13 დებულება წვრ. კრედ. შესასებ), თუ გაყიდული საგანი დაგირავებული იყო ამხ.-ში და მსესხებელს ჰქონდა მოსახმარად დატოვებული.

# სარგებლიანი ქაღალდები.

საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო მოკლე ცნობანი სარგებლიან ქაღალდების შესახებ. სარგებლიან ქაღალდებთან, რასაკვირველია, ყველა წვრილ კრედიტის დაწესებულებას არ ექნება საქმე. საქმე სარგებლიან ქაღალდებთან უპირველეს ყოვლისა ექნებათ იმათ, ვისაც თავისუფალი ფული აქვთ.

მაგრამ არც მარტო „თავისუფალ“ ფულზეა საქმე დამოკიდებული. § 31 სანიმუშო წესდებისა ამბობს, რომ ამხანაგობა ვალდებულია ნაწილი თავის ქონებისა,— არა ნაკლები თავის მოვალეობათა ერთის მეოცედისა (ძირითადი თანხა არ უნდა ჩაითვალოს)— მუდამ შენახული ჰქონდეს სახელმწიფო ბანკში ან შემნახველ კასაში, ან ამ ფულით უნდა შეიძინოს სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც უნდა ინახებოდეს იმავე შემნახველ კასებში ან სახელმწიფო ბამკშიო.

ამნაირად, ამ მუხლის თანახმად, თუ შესანახად მობარებული ფული და ვალი, გარდა ძირითად თანხისა, გვაქვს 5000 მან., 250 მან. ან სახელმწიფო ბანკსა და კასაში უნდა გვქონდეს შენახული, ან სახელმწ. სარგებლიანი ქაღალდი უნდა ვიყიდოთ. თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ ყველა ამხანაგობანი არ იცავენ ამ მოთხოვნილებას სასტიკად, მაგრამ ეს დარღვევაა კანონისა და არა ნორმალური მოვლენა. კანონი რომ ამბობს, $^{1}/_{20}$ თქვენთა მოვალეობათა ბანკში გქონდეთ შენახულიო, ამით, სხვათა შორის, იმის თქმა უნდა, რომ ჩვენ მუდამ მზად ვიყოთ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილებანი.

ასეა თუ ისე, წვრილ კრედიტის ამხანაგობას დიდ შეხვდება საქმე სარგებლიან ქაღალდებთან; ხოლო საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ ისინი არ უნდა გამოეკიდონ ამ საქმეს;

არ შეიძლება წვრილ კრედიტის დაწესებულებაში სწარმოებდეს განსაკუთრებული ოპერაცია სარგებლიან ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისა; ამ ოპერაციას ბირჟაზე თამაშის ხასიათი აქვს და სრულებით არ შეეფერება წვრილ კრედიტის დაწესებულებათა დანიშნულებას; ეს კომერციულ ბანკების საქმეა.

თვით დაწესებულების საჭიროებისათვის შეხვდებათ აქ გამგეობის წევრებს საქმე სარგებლიან ქაღალდებთან; ამიტომ საჭიროა იცოდნენ, რას წარმოადგენს იგი, როგორ შეიძლება იმის ყიდვა, გაყიდვა, რას ეძახიან კუპონს და სხვ.

შეიძლება ზოგმა ისიც არ იცოდეს, რა არის სარგებლიანი ქაღალდი, რას უწოდებენ იმას?

ხშირად სახელმწიფო, ქალაქი, სააქციონერო ამხანაგობა სესხულობს ფულს თავის საჭიროებისათვის. არის შემთხვევა, როცა ისინი ისე, როგორც კერძო კაცნი, სესხულობენ პირდაპირ კერძო კაცისა ან დაწესებულებისაგან. ხშირად კი მიმართავენ სხვა ღონისძიებას: გამოსცემენ ხოლმე ვალდებულების ქაღალდებს, ასე ვსთქვათ თამასუქებს, სხვა-და-სხვა ღირებულებისას—100 მ., 125 მ., 500 მ., 1000 მ. და სხვ. და ამბობენ: ვინც ამ ჩვენ ვალდებულების ქაღალდს—უცხო სიტყვით obligation—ანუ ობლიგაციას შეიძენს, ვალდებული ვიქნებით ვაძლიოთ იმას წელიწადში ამდენი და ამდენი (განსაზღვრული წინდაწინ) სარგებელიო, მაგალ. 5%, 4% და სხვ. *) ამ ობლიგაციის ანუ %%-იან ქაღალდის შეძენა ყველას შეუძლიან, იგი უსახელოა, როგორც ქაღალდის ფული.

*) ხშირად ობლიგაციას ვერ არჩევენ აქციისაგან. აქცია სულ სხვაა. აქცია იგივე პაია, იმის პატრონი მონაწილეა სააქციონერო საზოგადოებისა და იღებს სარგებელს არა წინდაწინ განსაზღვრულს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენს მოიგებს საზოგადოება. იმის პატრონმა შეიძლება მოგების მაგიერ ზარალიც ჰნახოს. ობლიგაციის პატრონი კი მუდამ ერთნაირ სარგებელს იღებს, არც მეტს, არც ნაკლებს და არავითარი დამოკიდებულებაც არა აქვს თვით სააქციონერო ამხანაგობასთან.

**კურსი და ნომინალური ღირებულება.** თუ სარგებლიან ქაღალდის შეძენა სახეიროა, ე. ი. თუ კარგ სარგებელს იძლევა, თუ იმის გამომცემის (სააქციონერო საზოგადოების, ქალაქისა ან სახელმწიფოს) საქმეები კარგად მიდის და არაა შიში, რომ დადგება ისეთი მომენტი, როცა იმას არ შეეძლება ამ ვალდებულებათა ობლიგაციების დახსნა-განაღდება, მაშინ ასეთ სარგებლიან ქაღალდს ბევრი მყიდველი უჩნდება, მოთხოვნილება მატულობს და მატულობს. ის ფასი, რაც ამ ქაღალდებს აწერია, ანუ ნომინალური ფასი, მატულობს, 100 მან. მაგიერ ახლა იძლევიან 100 მან. 50 კ., 101 მ., 102 მ. და სხვ. სამაგიეროდ, თუ სარგებლიან ქაღალდების მდგომარეობა ვერ არის კარგად უზრუნველყოფილი, გამომცემელის მდგომარეობა რაიმე ეჭვს ჰბადებს, ან სარგებელი ცოტაა და სხვ., სარგებლიან ქაღალდებს ნაკლებად ყიდულობენ. მაშინ ნომინალურ ფასსაც არ იძლევიან. ას მანეთიან ქაღალდებში იძლევიან 99 მან., 95 მან. და ნაკლებსაც.

ძვირად მოხდება, რომ სარგებლიანი ქაღალდი, გამოსული ბირჟაზე, გასაყიდათ გამოსული, იყიდებოდეს ისე, რაც იმას აწერია 100—100 (al pari). იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნილებაა ბირჟაზე ამა თუ იმ სარგებლიან ქაღალდისა, ფასი ამ ქაღალდისა მატულობს ან კლებულობს. ამნაირად მყიდველ-გამყიდველისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნომინალურ ფასს ქაღალდისას, ე. ი. იმ ფასს, რაც ზედ აწერია, არამედ იმ ფასს, როგორ ფასშიაც იგი იყიდება. აი ამ უკანასკნელ ფასს ჰქვია კურსი სარგებლიან ქაღალდისა, ანუ საბირჟო ფასი.

ჩვენ ვსთქვით, რომ სარგებლიანი ქაღალდები ეს ერთნაირი ხელწერილებია, თამასუქებია. მაშასადამე მსესხებელი ვალდებულია განსაზღვრულ ვადაზედ გამოისყიდოს.

**ტირაჟი.** ამიტომ სახელმწიფო, როცა ნებას აძლევს ვისმე, ან თვითონ კისრულობს სარგებლიან ქაღალდების გამოცემას, მაშინვე იმასაც დაადგენს ხოლმე, რომ გამომცემელმა ეს ქაღალდები ამა და ამ დროს უნდა გამოისყიდოსო, ვსთქვათ,

60 წლის განმავლობაში. გამომცემელიც ვალდებულია დაჰყოს, დადგენილების თანახმად, მთელი გამოცემული ქაღალდები რამდენსამე ნაწილად და ყოველ წელიწადს განსაზღვრული რიცხვი ქაღალდებისა გამოისყიდოს ხოლმე. გამოსყიდვის დროს იგი იხდის ნომინალურ ფასს, ე. ი. რაც ზედ აწერია. ამნაირად, თუ კურსი ნომინალურზე მაღალია, ქაღალდის ხელში მქონებელი წააგებს, თუ დაბალია - მოიგებს. რათა ყველა მქონებელი $^0/_0{}^0/_0$ ქაღალდებისა ერთ გარემოებაში იდგეს, მოვალე ახდენს „ლოტარეიას“ და იმ ნომრის ქაღალდებს გამოისყიდის, რომელსაც წილი შეხვდება. ამ წილის ყრით ქაღალდების გამოსყიდვას ეწოდება ტირაჟი.

**სხვა-და-სხვა სარგებლიანი ქაღალდი.** ცხადია, თუ სარგებლიანი ქაღალდი ბევრად მაღლა ფასობს ნომინალურ ღირებულებაზე, ტირაჟში გამოსვლა ქაღალდისა მეტად საზარალოა პატრონისათვის. რათა თავიდან აიცილონ ასეთი ზარალი, ძვირფასიან ქაღალდებს აზღვევენ ხოლმე პატრონები და კერძო ბანკებიც იღებენ დასაზღვევად. ასე, მაგალ., იზღვევა მომგებიანი სარგებლიანი ქაღალდები, რომელზედაც რამდენსამე სიტყვას ქვევით ვიტყვით. თუ დაზღვეული ბილეთი ტირაჟში გამოვიდა, ბანკი, დამზღვევი ამ ბილეთისა, ვალდებულია მისცეს ბილეთის პატრონს ტირაჟში გამოუსვლელი ბილეთი ან კურსის თანახმად დააკმაყოფილოს. ამნაირად, თუ ისეთი სარგებლიანი ქაღალდები გვაქვს, რომელიც იზღვევა, უნდა დავაზღვევოთ წინდაწინ, რომ ტირაჟში გამოსვლით ზარალი არ მოუვიდეს ამხანაგობას. ასეთია სარგებლიანი ქაღალდები: I, II და III ხუთ პროცენტ. მომგებიან შინაგ. სესხის ბილეთები (Бил. I, II и III внутренн. 5% сь выигр. займа); მესამე სესხისას ეწოდება აგრედვე „სახელმწიფო სათავ.-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელი“. ყველა კერძო ბანკი იღებს ამ ბილეთებს დასაზღვევად. და როგორ შეიძლება არ დავაზღვევოთ, როცა ბილეთი I სესხისა ღირს ნომინალურათ 100 მ., კურსია 450 მ. დაახლოვებით; მეორე სესხისა ღირს ნომინალ. 100 მან., კურსია დაახლოებით 350 მ. და მესამე

ღირს ნომინალურათ 100 მან., კურსია დაახლოებით 315 მ. ამ ბილეთებს ჰქვია „მომგებიანი ბილეთები“, რადგან არის თითოჯელ ტირაჟი მოგებისა: ვისაც წილი ხვდება, ის იგებს

წ ე ლ ი წ ა დ შ ი

200 ათას მანეთიდან ხუთას მანეთამდის.

მოგება I სესხის ბილეთებისა არის 2 იანვარს,
„ II „ 1 მარტს,
და „ III „ „ „ 1 მაისს.

ტირაჟი და, მაშასადამე, დაზღვევის ვადაც არის წელიწადში ორჯელ:

ტირაჟი I სესხისა: 2 იანვარს და 1 ივლისს,
II 1 მარტს 1 სეკდემბერს,
და „ III „ 1 მაისს 1 ნოემბერს.

სხვა ქაღალდებს შორის უფრო ხშირად შეგხვდებათ საქმე 4% სახელმწიფო რენტანსთან და ჩვენის ბანკების—ქუთაისის (მიხეილის) და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკების— 5% გირავნობის ფურცლებთან.

**კუპონი.** როგორც ვსთქვით, სარგებლიანი ქაღალდები იძლევა სარგებელს. ამისათვის ამ ქაღალდებს ზედ აქვს დართული ცალკე ფურცლად პაწია ბილეთები, რომლის ვადა დგება ზოგისა ორჯელ და ზოგისა ოთხჯელ წელიწადში. ესაა სარგებელი; ორჯელ თუ იღებთ, იღებთ სარგებელს ნახევარ-ნახევარ წლისას, ოთხჯელ თუ იღებთ,—სამ-სამის თვისას. ამ პაწია ბილეთებს, რომელზედაც დაწერილია სარგებელი სარგებლიან ქაღალდებისა, ეწოდება კუპონი. კუპონს მოსჭრით და წარადგენთ ბანკში. იქ გამოერიცხვენ 5% სახელმწ. გადასახადს და დანარჩენს მოგცემენ. ვსთქვათ, გაქვსთ 100 მან. 5% სარგ. გირავნ. ფურცელი ტფილისის სათავ.-აზნ. ბანკისა. იმას ეჭრება წელიწადში ორი კუპონი, ე. ი. ნახევარ-ნახევარ წლისა, თითო 2 მ. 50 კ. როცა ამ კუპონს წარადგენთ ბანკში, (ყველა ბანკი ახურდავებს), იქ გამოერიცხავენ 5% სახელმწ. გადასახადს, ე. ი. 13 კაპ., და მოგცემენ 2 მ. 37 კ.

4% სახელმწ. რენტას აქვს ოთხი კუპონი — 1 მარტს, 1 ივნისს, 1 სეკდემბრ., 1 დეკემბერს.

I სესხისას (მომგებიანს) 2 იანვარს და 1 ივლისს;
2 „ „ 1 მარტს და 1 სეკდემბერს;
III „ „ 1 მაისს და 1 ნოემბერს;

ტფილისის და ქუთაისის ბანკების გირავნობის ფურცლებს—2 იანვრისა და 1 ივლისისა.

უახლოეს ვადის კუპონს ეწოდება მიმდინარე კუპონი, ხოლო გასულ ვადისას—კუპონი გასულის ვადისა.

როცა სარგებლიან ქაღალდს ვყიდით ან ვყიდულობთ, უნდა გვახსოვდეს არა მარტო კურსი ქაღალდებისა, არამედ კუპონებიც, რომელიც თან ახლავს.

**ყიდვა-გაყიდვა სარგებ. ქაღალდებისა.** ასე, ვსთქვათ, ვყიდულობთ ტფილისის ბანკის 5% გირავნობის ფურცელს. ნომინალ. —100 მან., კურსით — 83 მან. დღეს 23 ივლისია. ივლისის კუპონი მოჭრილია, მიმდინარე კუპონი (იანვრისა) არის. მას ერგება 83 მან. და კიდევ კუპონისა 23 დღისა, რადგანაც დღემდის ჩვენი არ ყოფილა ეგ ქაღალდი და სარგებელიც იმას ერგება. 23 დღის სარგებელი 5% იქნება — 32 კაპ., გამოვრიცხოთ აქედან 5% სახელმწ. გარდასახადი, ე. ი. 2 კ., დარჩება 30 კ. ამნაირად, ერგება იმას სულ 83 მ. 30 კაპ. სამაგიეროდ, 1 იანვარს ჩვენ მივიღებთ სარგებელს ექვსის თვისას, ე. ი. 1 ივლისიდან პირველ იანვრამდის, თუმცა 23 დღე ქაღალდი ჩვენთან არ ყოფილა.

ასე, გაყიდვის დროსაც ჩვენ უნდა ავიღოთ არა მარტო კურსით ღირებულება, არამედ კუპონის ფასიც იმის კვალობაზე, თუ რომელი კუპონი ახლავს. მაგალითად, ზევით მოყვანილ ბილეთს თან ივლისის კუპონიც (ვადა გასული) რომ ჰქონოდა, იმ კუპონის ფასიც უნდა მიგვეცა 2 მ. 37 კ. (13 კაპ. სახელ. გადასახადია). მაშინ გამომცემელი წაიღებდა სულ 85 მ. 67 კაპ. (83 მ. კურსი + 2 მ. 37 კ. ვადა გასულ კუპონისა + 30 კაპ. 23 დღისა).

მოვიყვანეთ მოკლე ცნობანი სარგებლიან ქაღალდების

შესახებ, მაგრამ, თუ გარემოებამ არ გვაიძულა, ჩვენ სარგებლიან ქაღალდის ყიდვა-გაყიდვას არ უნდა გამოვეკიდოთ. ეს, როგორც ვსთქვი, არაა საქმე წვრილის კრედიტის ამხანაგობისა. სად შეგვიძლიან რომელსამე მივარდნილ სოფლიდან თვალ-ყური ვადევნოთ კურსს და ვიყიდოთ ქაღალდი მაშინ, როცა ხელსაყრელია, და გავყიდოთ, როცა ძვირია. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის სჯობს ყიდვა ისეთ ქაღალდებისა, რომლის კურსი მაინცა და მაინც დიდ ცვალებადობას არ განიცდის.

%% ქაღალდები საკრედიტო კოოპერატივმა სახელმწიფო ბანკში უნდა შეინახოს. იმასვე უნდა მიანდოს ამ ქაღალდების მოვლა, ე. ი. მისცეს „на храненіе и на управленіе". მაშინ უზრუნველ ყოფილი ვიქნებით, რომ ბანკში თავის დროზე დააზღვევენ, თავის დროზე მოსჭრიან კუპონს, გამოსცვლიან და სხვ.

საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ ტირაჟში გამოსული ბილეთი (სულ ერთია მომგებიანის სესხისა იქნება, თუ ჩვენის საადგილ-მამულო ბანკებისა), შემდეგის კუპონის ვადის დადგომამდე უნდა გაიყიდოს (მომგებიანი ბილეთები არა უადრეს სამის თვისა დღიდან ტირაჟში გამოსვლისა). უნდა გაიყიდოს ან გამოიცვალოს იმიტომ, რომ ამ ხნიდან ისინი სარგებელს აღარ იღებენ და, თუ კუპონები მაინც ჩამოვსჭერით და გავყიდეთ, სულ გამოგვირიცხამენ იმ კუპონების ფასს, რაც ამ ბილეთს დააკლდება დღიდან ტირაჟში გამოსვლისა, როცა თვითონ ამ ბილეთის გაყიდვა მოგვინდება.

ამისათვის, თუ ბილეთები სახელმწიფო ბანკისათვის არ მიგვიცია „на управленіе", თვითონვე თვალყური უნდა ვადევნოთ ტირაჟს. უნდა გამოვიწეროთ ტირაჟის ტაბლიცები: მომგებიან ბილეთებისა - სახელმწიფო ბანკიდან (ღირს 5 კაპ.), ჩვენის ბანკებისა — თვით ამ ბანკებიდან — უფასოდ გამოჰგზავნიან.

# დასასრული.

გავათავეთ წვრილ კრედიტის საკოოპერაციო დაწესებულებათა ანგარიშისა და საქმის წარმოების კურსი.

არავითარი პრაქტიკული საქმე ყურის დაგდებით ან წიგნის წაკითხვით არ შეისწავლება. ანგარიშის წარმოებაც პრაქტიკული საქმეა. ამიტომ საუკეთესო სკოლა ანგარიშისა და საქმის წარმოების შესასწავლად პრაქტიკა არის.

მე ვფიქრობ, ვისაც საკრედიტო კოოპერატივში მუშაობა მოუხდება, იმას პრაქტიკა დაანახვებს, რომ ბევრი რამ წვრილმანი ამ დაწესებულებათა საქმისა და განსაკუთრებით ანგარიშის წარმოების წესში სულ ზედმეტია. იგი მხოლოდ ართულებს და აძნელებს საქმეს, ხოლო ყოველისავე ანგარიშის უმთავრესი მოთხოვნილებაა სიმარტივე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ეს საკოოპერაციო დაწესებულებათათვის, რომლის ხელმძღვანელთ გარემოება ხელს არ უწყობს სპეციალური განათლება მიიღონ. რუსეთის კოოპერატორთა პირველ კრებაზედ მოსკოვში, 1908 წ., გამოჩენილი პრაქტიკები კოოპერაციისა ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ როგორც თვით კანონს წვრილ კრედიტის ამხანაგობათა შესახებ, ისე ანგარიშის წესს ამ დაწესებულებაში ბიუროკრატიული ბეჭედი აზისო.

თვითონ ვალაევი, ავტორი საუკეთესო და თითქმის დღემდის ერთად-ერთ სახელმძღვანელოსი წვრილის კრედიტის დაწესებულებათა ანგარიშის წარმოებისა, ამტკიცებდა აქ, თუმცა საფუძველი წვრილ კრედიტის დაწესებულებაში შემოღებულ ანგარიშისა კარგია, მაგრამ ისეა სხვა-და-სხვა წვრილმანებით გართულებული, რომ ძლიერ ძნელია იგი ადგილობრივ მო-

ანგარიშეთათვისაო; რათ უნდოდათ ეს 48 უჯრა ყოველ დღიურ დავთარშიო, კითხულობდა ბ-ნი ვალაევი, როცა საკმარისი იყო სულ 17 უჯრაო... (იხ. „труды I коопер. съѣзда").

მართლაც ნაკლულევანება ბევრი აქვს არსებულ ფორმას ანგარიშის წარმოებისას; მაგრამ, თუ იმავე ვალაევს, რომლის სახელმძღვანელო წვრილ კრედიტის სამმართველომ მოიწონა, მეტი ვერაფერი მოუხერხებია არსებულ წესის შესაცვლელად, გარდა საუკეთესო წიგნის შედგენისა ამ „აუარებელ უჯრებიან დავთრების" საწარმოებლად, მით უფრო ჩვენს ხელთ არ არის რაიმე ცვლილების შეტანა და გასწორება *).

როგორც ახლა მოგეხსენებათ, 122 მუხლი წესდებისა კატეგორიულად მოითხოვს, რომ ანგარიში სწარმოებდეს სამმართველოს მიერ შემუშავებულ წესით.

წვრილ კრედიტის ინსპეკტორებს შეუძლიათ ზოგ შემთხვევაში შეუმსუბუქონ მოანგარიშეებს უმნიშვნელო წვრილმანების წერა; მათვე შეუძლიათ თავისი პრაქტიკული დაკვირვებანი გააცნონ ცენტრალურ სამმართველოს და ამნაირად შეიძლება ნელ-ნელა მაინც გაუმჯობესდეს ტეხნიკა ანგარიშის წარმოებისა.

როგორც ჩვენის საუბრის დასაწყისში ვსთქვით, ფორმალური მხარე ყოველის საქმისა მოსაწყენია და მოსაბეზრებელი, მაგრამ თქვენს ხელთ არის, ბატონებო, სულიც კოოპერატიულ მოძრაობისა.

ნუ ჩააქრობთ ამ „სულს", არამედ გააღვივეთ და გააძლიერეთ!..

---

*) როცა ჩვენი წიგნი იბეჭდებოდა, რუსულ ენაზე გამოვიდა ახალი სახელმძღვანელო—**И. Ф. Трапезниковъ—„Операціи кредитнаго товарищества"**. ახალი არაფერია, არსებითად იგივეა, რაც წიგნი ვალაევისა.

# სარჩევი.

გვ.

**წინასიტყვაობა** . . . . . . . . . . . . . . III

**შესავალი.** მნიშვნელობა ანგარიშის წარმოების ცოდნისა კერძო კაცისა და საზოგადო დაწესებულებისათვის. ანგარიშის წარმოების მნიშვნელობა საკოოპერაციო დაწესებულებათათვის. ზნეობრივი და იურიდიული მოვალეობანი ანგარიშის მწარმოებელისა. კანონი ანგარიშის წარმოების შესახებ. კანონი საკოოპერაციო დაწესებულებათა შესახებ საზოგადოდ და კერძოდ საკოოპერაც. დაწესებულებაში ანგარიშის წარმოების შესახებ. ენა და ანგარიში. ანგარიში საკოოპერაციო დაწესებულებაში და სამშობლო ენა . . . . . . . . . . . . . . 1

**საქმის წარმოება.** საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელნი ამხანაგობანი. წევრთა მოვალეობანი. ნებართვის აღება. თხოვნა. რაიონი მოქმედებისა. პირველი საზოგადო კრება. ზოგიერთი წვრილმანი წევრთა მიღების შესახებ. არჩევნები თანამდებობის კაცთა. ხარჯთ-აღრიცხვა. წესები. რწმუნება. ოქმი საზოგადო კრებისა. შეერთებული სხდომა საბჭოსი და გამგეობისა. საჭირო ცნობანი სახელმწიფო ბანკიდან სესხის მიღებისათვის. გრძელ-ვადიანი სესხი. მოკლე-ვადიანი სესხი. სოლო-ვექსილი. სპეციალური სახელდახელო ანგარიში. ფორმები სხვა-და-სხვა ქაღალდისა . . . . . . . . . . . . . . 14

**საზოგადო ცნობანი ანგარიშის წარმოების შესახებ.** ძირითადი თანხა. პასსივი. აქტივი. ბალანსი. მაგალითები საკრედიტო კოოპერატივის ცხოვრებისა . . . . . . 66

**შემოსავალ-გასავლის დავთარი.** შემოსავალი და გასავალი. ნაწილები შემოსავალ-გასავლის დავთრისა. წესი ამ დავთრის წარმოებისა. ჯამი დღიური, თვიური და წლიური.

გვ.

ანგარიშის გადატანა. ფორმა შემოსავალ-გასავლის დავთრისა და მაგალითები მთელის წლისა . . . . . . . . . 72

**კერძო ანუ დამხმარე დავთრები**. 1. დავთარი წყვრთა. 2. დავთარი სესხის მოთხოვნილებათა. 3. დავთარი მსესხებელთა პირადის ანგარიშებისა. 4. დავთარი შესანახათ მობარებულ ფულის პირადის ანგარიშებისა. 5. დავთარი ვალის ვადებისა. 6. დავთარი ვალისა. 7. დავთარი ინვენტარისა ანუ ქონებისა. 8. დავთარი გარდამავალ თანხებისა. 9. დავთარი მართვა-გამგეობის ხარჯებისა. 10. დავთარი სარგებლიან ქაღალდებისა. 11. დავთარი ანდერძისა და შესანახათ მობარებულ ფულის პირობათა აღსანიშნავად. 12. წიგნაკი შესანახათ მობარებულ ფულისა. 13. წიგნაკი წევრისა. 14. დავთარი საკრედიტო დაწესებულებაში შესანახად მობარებულ ფულისა . . 82

**შემოწმება (გასინჯვა) დავთრებისა**. დამოკიდებულება დავთართა შორის. შეცდომის პოვნა და გასწორება . 107

**თვიური ანგარიში**. მაგალითები . . . . . . 113

**წლიური ანგარიში.** დავთრების დაბოლოება. მოგება და ზარალი. დეკემბრის თვიური ანგარიში. წლიურ ანგარიშის ფორმა . . . . . . . . . . . . . . . . . 116

**დავთრების წარმოება მეორე დ შემდეგს წლებში**. 122

**საშუამავლო ოპერაციები**. წესები საშუამავლო ოპერაციების შესახებ. სხვა-და-სხვა გვარი შუამავლობა. საჭირო დავთრები. შუამავლობა მიწის იჯარით აღებაში . 125

**სესხი გირაოს ქვეშ** . . . . . . . . . 147

**ვადა-გასულ სესხის გადახდევინება**. პირიანი და უპირულნი მსესხებელნი. წესი გადახდევინებისა. ჯარიმა. რის აწერა არ შეიძლება. ცირკულიარები. ფორმები . . . . . 151

**სარგებლიანი ქაღალდები**. კურსი და ნომინალური (სახელ-დებული) ღირებულება. ტირაჟი. სხვა-და-სხვა გვარი სარგებლიანი ქაღალდები. კუპონი. ყიდვა-გაყიდვა სარგებლიან ქაღალდისა . . . . . . . . . . . . . . 161

**დასასრული** . . . . 168